www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 26 ივნისი, 2004 წელი. №150 (699) | ფასი 50 თეთრი

# 48-საათიანი მგზავრობის შემდეგ

### მაკლაფლინი თბილისური დახვედრით კმაყოფილია




მსოფლიოს უდიდესი გიტარისტი მესამე დღეა თბილისშია. ინგლისელი და ინდოელი მუსიკოსების გაჭიანურებული და დამღლელი მგზავრობა უსიამოვნოდ სრულდება - სტუმრებმა დაკარგეს ბარგი ინსტრუმენტებით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჯონ მაკლაფლინს, შეინარჩუნოს განწყობა.

ვახო ბასილიას ფოტო

## პრეზიდენტი ჩვეულ ფორმაშია

ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის "წითელათი" ავადმყოფობის თაობაზე. როგორც მინისტრმა განაცხადა, პრეზიდენტს 2 დღის განმავლობაში ვირუსული ინფექცია ჰქონდა, მაღალი სიცხეებით. ამჟამად მიხეილ სააკაშვილი თავს კარგად გრძნობს და "მხიარულ განწყობაზეა". პრეზიდენტის გამოჯანმრთელების ფაქტი გუშინ საღამოს ტელეკომპანია "რუსთავი-2"-სთვის სააკაშვილის მიერ მიცემული ინტერვიუთიც დადასტურდა. პრეზიდენტმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და უახლოეს ხანში დაგეგმილი ვიზიტების შესახებ ისაუბრა.

*24 საათი*

## ხელისუფლება ასლან აბაშიძისთვის მიცემულ პირობას ასრულებს

### ასლან აბაშიძის ქალიშვილი ხელშეუხებელია, ქონება - არა

სოფიკო ჩხაიძე

*ჩვენი ხელისუფლებისთვის მაშინ უფრო შეიძლებოდა პრეტენზიის წაყენება, როცა ასლან აბაშიძეს და მის უახლოეს გარემოცვას (ცხადია, ოჯახსაც) ხელშეუხებლობის გარანტიით აღჭურვილს უშვებდა საქართველოდან, ვიდრე ახლა, მავანთა შეფასებით, თითქოს ხელშეუხებლობის შესახებ მიცემულ სიტყვას რომ ტეხს, სინამდვილეში კი აბაშიძეების ოჯახს აიძულებს, აჭარის მოსახლეობას იმის ნაწილი მაინც დაუბრუნოს, რაც წლების მანძილზე წაართვა, მოჰპარა, გამოსძალა.*

თუმცა, თუ ხელისუფლების მხრიდან ასლან აბაშიძის მოსკოვში ხელშეუხებლობის გარანტიით გაშვებას კანონით გაუთვალისწინებელი, მაგრამ პოლიტიკურად სწორი (თუნდაც, ხალხის უსაფრთხოების დაცვა და სისხლისღვრის აცილება) გადაწყვეტილება ედო საფუძვლად, ფინანსურ პოლიციაში დიანა აბაშიძის რამდენიმედღიან დაკითხვას კონკრეტული კანონის - სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლი უდევს საფუძვლად, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადასახადების დამალვას ითვალისწინებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

— პოლიტიკა —

### აჭარის სტატუსის კონტურები უკვე გამოიკვეთა



გუშინ საქართველოს პარლამენტმა, 173 ხმით 9-ის წინააღმდეგ, პირველი მოსმენით მიიღო კონსტიტუციური კანონპროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის" შესახებ.

A3

— უცხოეთი —

### ამერიკელთა უმრავლესობას აღარ მოსწონს ერაყის კამპანია

გუშინ სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ამერიკელთა უმრავლესობა აშშ-ს სამხედრო ოპერაციას ერაყში მხარს არ უჭერს. აღნიშნული შედეგი აშშ-ს გავლენიანი მედიასაშუალებების მიერ ერთობლივად ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა.

A5

— სამართალი —

### ინფორმაციამ პოლიციელებისგან გაჟონა



შსს-ს მიერ დაგეგმილმა სპეცოპერაციებმა კახეთის რეგიონშიც გადაინაცვლა. თუმცა, ჩატარებული სამი ღონისძიებიდან წარმატებული მხოლოდ ერთი აღმოჩნდა, რადგან სპეცოპერაციების შესახებ ინფორმაცია "გაიყიდა".

A7

— ნომრის სტუმარი —

### ქვეყანას პოლიტიკურ მნიშვნელობას მხოლოდ პოლიტიკოსები არ ანიჭებენ



პირველი ევროპელები, ოქრომრავალი კოლხეთი - ერთად ეს ქვეყნის უძლიერესი ბრენდია.

B1

— ამინდი —

| | 26/6 | 27/6 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 33 |
| ქუთაისი | 31 | 32 |
| ბათუმი | 24 | 28 |
| სოხუმი | 26 | 29 |
| ფოთი | 27 | 30 |
| თელავი | 33 | 32 |
| ზუგდიდი | 31 | 32 |
| გორი | 29 | 29 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3270 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4923 |
| რუბლი | 0.0661 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 გულახდილად | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## სალომე ზურაბიშვილი მოლაპარაკებებით კმაყოფილია



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი რუსეთის სამთავრობო დელეგაციასთან გამართული დღევანდელი მოლაპარაკებებით კმაყოფილია. ზურაბიშვილის განცხადებით, დიპლომატიური ეტიკეტი არ ითვალისწინებდა ამჟამად რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩთან ვალერი ლოშჩინინთან და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილესთან იური ზუბაკოვთან მოლაპარაკებებს სამხრეთ ოსეთის საკითხზე,ვინაიდან სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრო მხოლოდ საგარეო საქმეებს კურირებს. თუმცა, როგორც სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, აღნიშნული შეხვედრა მაინც შედგა და მინისტრს იმედი აქვს, რომ დღევანდელი მოლაპარაკებები გახდება წინაპირობა იმისა, რომ არსებული აზრთა სხვადასხვაობა მხარეებს შორის შეჯერდება და ახლო მომავალში კონფლიქტის დარეგულირებას ხელს შეუწყობს.

როგორც სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, ქართულმა მხარემ რუსეთს როკის გვირაბში ერთობლივი საბაჟო პუნქტის გახსნა შესთავაზა. ზურაბიშვილის თქმით, რუსულ მხარეს, ჯერჯერობით, თანხმობა არ მიუცია, თუმცა არც უარყო ეს წინადადება. აქედან გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ რუსეთი გაგებით მოეკიდება ქართული მხარის ამ მოთხოვნას და გაითვალისწინებს იმ ეკონომიკურ ზარალს, რომელიც საქართველოს როკის გვირაბიდან შემოდინებული კონტრაბანდით ადგება. თავის მხრივ, ვალერი ლოშჩინინიც შეხვედრით კმაყოფილებას გამოთქვამდა. ლოშჩინინის განცხადებით, როგორც ქართულმა, ასევე რუსულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით განხორციელდეს.

ლოშჩინინის თქმით, გუშინვე გაიმართა საქართველოს პრეზიდენტისა და რუსეთის პრეზიდენტის სატელეფონო საუბარი, თუმცა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების საუბრის დეტალების გახმაურებისგან ლოშჩინინმა თავი შეიკავა.

*ინტერ-პრესი*

## სოხუმის ხელისუფლება გალის რაიონის სოფლებში სასუქების შეტანის მცდელობას აპროტესტებს

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით გალის რაიონის სოფლებში აფხაზურ მხარესთან შეუთანხმებლად სასუქების შეტანის მცდელობას აპროტესტებს და საქართველოს ხელისუფლებას რეგიონში ცალმხრივი მოქმედებებისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდებს.

"აფხაზეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი ჰუმანიტარული პროექტის განხორციელება სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აფხაზეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებულად და კოორდინირებულად უნდა ხორციელდებოდეს," - ნათქვამია გალის რაიონში მინერალური სასუქების შეტანასთან დაკავშირებით აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო უწყების განცხადებაში. განცხადების ავტორთა მტკიცებით, აფხაზური ხელისუფლების მოთხოვნის მიუხედავად, რომ ქართულ მხარეს მინერალური სასუქები აფხაზეთში არ შეეტანა, საქართველოს ხელისუფლებამ ყურად არ იღო სოხუმის ხელისუფლების თხოვნა, რითიც "პროვოკაციული ქმედებებით დაარღვია მოსკოვის შეთანხმება."

სოხუმის საგარეო უწყების მესვეურთა განცხადებით, სოხუმის ხელისუფლება არ დაუშვებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მხარის იმგვარ "ცალმხრივ და უპასუხისმგებლო მოქმედებებს, რომლებიც რეგიონის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნიან". აფხაზური მხარე გაეროსა და აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის სხვა მონაწილეებს მოუწოდებს, აიძულონ ქართული მხარე, უარი თქვას კონფლიქტის ზონაში იმ სახის დესტრუქციულ მოქმედებებზე, რომლებიც მოლაპარაკებათა პროცესს ხელს უშლიან.

*ინტერ-პრესი*

## შეხვედრამ კეთილგანწყობილ ატმოსფეროში ჩაიარა

რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანისთვის ფედერაციაში შესაბამისი ინფრასტრუქტურაა საჭირო, - განაცხადა რუს ჟურნალისტებთან ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა იგორ სავოლსკიმ, რომელიც სამხედრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებში რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობს. სამხედრო საკითხებში რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში მიღწეულ შეთანხმებებთან დაკავშირებით სავოლსკიმ აღნიშნა, რომ კონსულტაციები უკვე ჩატარებული მოლაპარაკებების ექვსი რაუნდის გაგრძელებად იქცა.

ქართულ დელეგაციას, რომელიც ექსპერტებისგან შედგება, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე ხელმძღვანელობს. სავოლსკის თქმით, "შეხვედრამ კეთილგანწყობილ ატმოსფეროში ჩაიარა. გამოიხატა მხარეთა სურვილი, მოიძებნოს იმ პრობლემათა გადაჭრის გზები, რომელთა ირგვლივაც აზრთა სხვაობაა" და რომ "მხარეები შეთანხმდნენ, მოლაპარაკებათა ოფიციალური მე-9 რაუნდი ივლისის ბოლოს, თბილისში ჩაატარონ". მან ასევე აღნიშნა, რომ მხარეები მივიდნენ დასკვნამდე - "ხელი მოეწეროს სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის მარეგულირებელ ჩარჩო-შეთანხმებას და რომ ასეთი შეთანხმების მომზადება დროს მოითხოვს". სავოლსკის ინფორმაციით, "მიღწეულია შეთანხმება დიდ ჩარჩო-ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე."

როგორც სავოლსკიმ განაცხადა, მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოში ანტიტერორისტული პოტენციალის გასამყარებლად რუსული ბაზების ინფრასტრუქტურის გამოყენების იდეაც. კონკრეტული გადაწყვეტილებები განხილულ იქნება მოლაპარაკებათა შემდეგ რაუნდზე, რომლის დაწყებამდეც ჩატარდება კონსულტაციები ექსპერტთა დონეზე. "ეს ერთ-ერთი საშუალებაა სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გასაფართოებლად," - აღნიშნა მან.

*პრაიმ-ნიუსი*

## უტყვი დავით თევზაძე ნატო-ში საქართველოს ელჩობას სიტყვის უთქმელად დატოვებს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ნატო-ში საქართველოს ელჩის დავით თევზაძის უკან გამოწვევის თხოვნით მიმართა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე ელჩად საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის დასაწყისში სწორედ რომ პრეზიდენტის წარდგინებით დაამტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ვრცელდებოდა ინფორმაციები თავდაცვის უწყებაში აღმოჩენილი კორუფციის ფაქტებთან მისი კავშირის შესახებ. ვარდების რევოლუციაგამოვლილმა პარლამენტმა უსიტყვო დავით თევზაძის კანდიდატურას უსიტყვოდვე დაუჭირა მხარი. წინააღმდეგი მხოლოდ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ზაზა შერაზადაშვილი იყო. ამავე დროს კი, საზოგადოებაში ჩნდება ერთი აქტუალური კითხვა - თუ რა დამსახურება ჰქონდა ედუარდ შევარდნაძის თავდაცვის მინისტრს ახალი ხელისუფლებისადმი. როგორც საბოლოოდ გამოიკვეთა, თევზაძე არც ისე ერთგულად ედგა გვერდში რევოლუციონერ ხელისუფლებას, იმისათვის, რომ იგი ნატო-ში მართლა გაეგზავნათ.

ელჩად დამტკიცებიდან დღემდე, თევზაძე ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში არ ჩასულა და იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში თბილისში იმყოფებოდა. ელჩის მოვალეობას კი კვლავ ასრულებდა დავით დონდუა, რომელიც, წესით, თევზაძის დამტკიცების შემდეგ გამოწვეული უნდა ყოფილიყო.

როგორც "24 საათთან" ინტერვიუში პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინე გაბაშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტის თხოვნა უკვე რამდენიმე დღეა, რაც კომიტეტშია, საკანონმდებლო ორგანო კი მას მალევე განიხილავს, თუმცა კომიტეტის თავმჯდომარე დავით თევზაძის ასე "დაჩაგვრის" მიზეზს არ აკონკრეტებს.

**"ფაქტობრივად, დავით თევზაძე არ შემდგარა როგორც საქართველოს ელჩი ნატო-ში, მას ამ თანამდებობაზე არც ერთი დღე არ უმუშავია და, როგორც ჩანს, ახლა პარლამენტის მიერ ამის ფორმალური გაფორმება უნდა მოხდეს,"** - ამბობს გაბაშვილი.

ამასთანავე, საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი არ გამორიცხავს, რომ ეს ფაქტი ნატო-ს მომავალ სამიტს უკავშირდებოდეს, რომელიც სტამბულში გაიმართება და მასში მონაწილეობას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიიღებს.

**"ნატო-ს ელჩობა განსხვავებული სამსახურია და, როგორც ჩანს, პრეზიდენტმა სამიტის წინ ცვლილება საჭიროდ მიიჩნია,"** - განმარტავს გაბაშვილი.

რაც შეეხება სახელისუფლებო ძალას, იგი ამ საკითხის პარლამენტში განხილვას და შესაბამისი უწყებების განმარტებებს ელოდება.

როგორც ჩვენთან საუბარში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ აღნიშნა, იგი არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რატომ არ მოხდა დავით თევზაძის ნატო-ში საქართველოს ელჩად ამუშავება, ერთი კი ცხადია, საკითხი პარლამენტმა აუცილებლად უნდა განიხილოს და მასზე იმსჯელოს.

**"არ ვიცი, რატომ არ შედგა დავით თევზაძის ამ თანამდებობაზე მუშაობა, ან აქამდე რატომ არ გაემგზავრა იგი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში, თუმცა მგონია, რომ ეს რაღაც ტექნიკური პრობლემა იყო,"** - თქვა მან.

ამასთანავე, ნადირაძეს უჭირს ამ ეტაპზე გადაჭრით იმის თქმა, იქნება თუ არა თვითონ ან საპარლამენტო უმრავლესობა იმის მომხრე, რომ თევზაძის კანდიდატურა კვლავ იქნეს განხილული აღნიშნულ თანამდებობაზე. **"ამ საკითხზე უმრავლესობა იმსჯელებს და ერთობლივ გადაწყვეტილებას მიიღებს,"** - ხაზგასმით აღნიშნავს პრეზიდენტის გუნდის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი.

ამასთანავე, ნამდვილად უცნობია, თუ რას იტყვის ყველაფერ ამის შესახებ თავად დავით თევზაძე, მოსალოდნელია, რომ იგი საკითხის კომენტირებას მის საყვარელ მდგომარეობას - დუმილს ამჯობინებს.

*ნინო გომართელი*

## სეზონური ტარიფები ხორბლის იმპორტიორებისთვის

ადგილობრივი ხორბლის მწარმოებლების სასარგებლოდ იმპორტირებისთვის სეზონური საბაჟო ტარიფების შემოღების საკითხი პარასკევს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ხევიაშვილმა დასვა. სეზონური ტარიფის შემოღება ითვალისწინებს ოთხი თვის განმავლობაში იმპორტიორების 12-პროცენტიანი საბაჟო დაბეგვრის რეჟიმში გადაყვანას, რაც, ხევიაშვილის განმარტებით, ადგილობრივი ხორბლის მწარმოებელს მოსავლის რეალიზების საშუალებას მისცემს. მოქმედი საგადასახადო რეჟიმით, ხორბლის იმპორტი საბაჟო გადასახადიდან გათავისუფლებულია, რის ხარჯზეც იმპორტირებული ხორბლის სარეალიზაციო ფასი ადგილობრივ მარცვლეულზე იაფია და ქართველ მეწარმეს კონკურენტუუნარო პირობებში აქცევს, - აღნიშნა მან. ეს ინიციატივა მისაღებია პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძისთვისაც, თუმცა აღნიშნული შეღავათის კანონმდებლობით დარეგულირება მას სექტემბრამდე შეუძლებლად მიაჩნია, რადგან საკითხი შესათანხმებელია დსთ-სა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრ ქვეყნებთან. ასევე, ხევიაშვილი აცხადებს, რომ შემოდგომამდე საკითხის გადატანა მისი ამოქმედების ერთი წლით გადავადებას გულისხმობს, რადგან საგადასახადო შეღავათს ეფექტი მოსავლის აღების პერიოდში აქვს, სექტემბერში საკითხის განხილვის დაწყება კი აღებული მოსავლის "დამარხვას" ნიშნავს. ამასთან, "პრაიმ-ნიუსთან" ინტერვიუში ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ზურაბ ტყემალაძე სეზონური ტარიფის დაუყოვნებლივი შემოღების აუცილებლობაზე საუბრობს. მისი განცხადებით, მსო-სთან პრობლემის მოგვარების საშუალებას იძლევა სათანადო დანართში ცვლილებების შეტანა, რასაც მსო-სა და დსთ-ს წევრ ქვეყნებთან გაფორმებული სამთავრობათშორისი ხელშეკრულება ითვალისწინებს.

ხევიაშვილი სეზონური ტარიფების შემოღების საკითხის დაყენებას სამშაბათს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე აპირებს.

**პრაიმ-ნიუსი**

## გერმანელები ქართული სანაპირო დაცვის სამსახურს წარმატებულად აღიარებენ



*გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელი, პოლიციის დირექტორი ბოდო კაპინგი ჩვენი ქვეყნის სანაპირო დაცვის სამსახურის საქმიანობას წარმატებულს უწოდებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული სამსახური ნაყოფიერ მუშაობას საკმაოდ მძიმე პირობებში ახერხებს.*

საქართველოში ოთხდღიანი ვიზიტით მყოფმა გერმანიის სასაზღვრო სამსახურის დელეგაციამ ფოთსა და აჭარის რეგიონში სანაპირო დაცვის ოპერაციების ქვედანაყოფები მოინახულა, შეაფასა ხომალდ "აიეტის" მექანიკური მდგომარეობა. ხსენებული ხომალდი გერმანიამ 1998 წელს გადმოსცა ქართულ მხარეს. იგი ფლაგმანია და საქართველოს საზღვაო სივრცეს მთლიანად აკონტროლებს. გერმანული მხარე "აიეტის" ტექნიკურ განახლებას საკუთარ თავზე იღებს. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან, როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი დავით გულუა განმარტავს, საქართველოში არ არსებობს არანაირი მატერიალურ-ტექნიკური საშუალება, ესოდენ უზარმაზარი ხომალდი რომ შეკეთდეს. გერმანელები ასევე მოამზადებენ ხომალდის ეკიპაჟს 28 კაცის შემადგენლობით.

გერმანიის სასაზღვრო სამსახურის დელეგაცია დადებითად აფასებს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში გასატარებელი რეფორმის ამერიკულ პროგრამას და გვირჩევს: **"სჯობს პროცესი დროში გაგრძელდეს, ვიდრე ყველაფერი სწრაფად დასრულდეს, მაგრამ გაუთვალისწინებელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ."**

გერმანელების მსგავსად, სანაპირო დაცვის ახალგაზრდა სამასახურის საქმიანობით დავით გულუაც კმაყოფილია. გულუა საუბრობს კონკრეტულ შედეგებზე და იმ სარგებელზე, რომელიც ამ სამსახურმა სახელმწიფოს მოუტანა. დავით გულუას ინფორმაციით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, სანაპირო დაცვის წყალობით, ქვეყნის ბიუჯეტს მილიონ 400 ათასი ლარი შეემატა. ეს თანხა უახლოეს პერიოდში 800 ათასი ლარით გაიზრდება: **"სამი კვირის წინ დააკავეს ბერძნული გემი "ვასილიოს მეთექვსმეტე", რომელმაც აფხაზეთში ნავთობი შეიტანა. 200 ათას ლარს გემის მესვეურები საზღვრის დარღვევისთვის გადაიხდიან, ხოლო 600 ათასს - საბაჟო გადასახადის სახით. კიდევ ორი კანონდამრღვევი გემი მალე აუქციონზე გავა და იქიდან მიღებული თანხა ბიუჯეტში შევა."** გულუას შეფასებით, წლევანდელი წელი ყველაზე ნაყოფიერია.

თბილისიდან გამგზავრების წინ გერმანიის სასაზღვრო სამსახურის დელეგაციამ დაგვაიმედა, რომ ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლობას გააგრძელებს. დავით გულუაც ოპტიმისტურად არის განწყობილი. მას სჯერა, რომ ქართული სასაზღვრო უწყების რეფორმა წარმატებით დასრულდება, რაც ევროკავშირში გასაწევრიანებლად საქართველოს მზაობას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

*ვერიკო თევზაძე*

## "მემარჯვენე ოპოზიცია" ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული 7,6 მილიონი ლარის "ელექტროსისტემაში" გადამისამართებას აპროტესტებს

ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული სუბსიდიიდან 7,6 მილიონი ლარის მოხსნას აპროტესტებს ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე. მან "პრაიმ-ნიუსთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ პრეცედენტის დაშვება გზას გაუკვალავს დონორების ერთმილიარდიანი კრედიტების არამიზნობრივ ხარჯვას. 7,6 მილიონი ლარის მიმართულების შეცვლის თაობაზე განცხადება პარასკევს, პარლამენტის სხდომაზე, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ზურაბ ანთელიძემ გააკეთა. სს. "ელექტროსისტემის" თანამშრომლების სახელფასო ფონდში 7,6 მილიონი ლარის გადარიცხვას ითვალისწინებს 2004 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც სხდომაზე ანთელიძემ დეპუტატებს გააცნო. მისი განცხადებით, ამის საჭიროება ელექტროსისტემის რეორგანიზაციამ განაპირობა. რამდენიმე დღის წინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ ელექტროსისტემის 4 500-კაციანი კოლექტივიდან, რეორგანიზაციის შემდეგ, მხოლოდ 1500 თანამშრომელი დარჩება. ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ზურაბ ანთელიძის განმარტებით, 7,6 მილიონი ლარი დასათხოვნი თანამშრომლების სახელფასო ფონდია. მისი ინფორმაციით, თანხის გადამისამართება შეთანხმებულია მსოფლიო ბანკთან, რომელმაც, თავის დროზე, აღნიშნული თანხა ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის გამოყო.

ანთელიძე აცხადებს, რომ 7,6 მილიონი ლარის "ელექტროსისტემაში" გადარიცხვით ენგურჰესის რეაბილიტაცია არ შეფერხდება, რადგან სანაცვლოდ, მსოფლიო ბანკი ჰესს 2,3 მილიონ ლარს გამოუყოფს.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 2 ივლისს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვს გაემგზავრება, სადაც ის თავის რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს შეხვდება. სახელმწიფოთა მეთაურები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას განიხილავენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ბათუმი.** გუშინ კობა ხაბაზმა სპეციალური განცხადება გააკეთა დიანა აბაშიძის სახლთან მიმდინარე მიტინგთან დაკავშირებით. მისი აღშფოთება გამოიწვია მასმედიის საშუალებით გავრცელებულმა ინფორმაციამ, თითქოს აქცია "ნაციონალური მოძრაობის" ეგიდით იყო მოწყობილი. ხაბაზის განცხადებით, შესაძლებელია აქციის რამდენიმე მონაწილე "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ყოფილიყო, თუმცა, არანაირი საერთო ამ მიტინგთან მათ არა აქვთ. მისი თქმით, აქცია "ჩვეულებრივი ხალხის გულწრფელი პროტესტი იყო". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 5 ივნისს საქართველოს ევროკავშირის უმაღლესი კომისარი გაფართოების საკითხებში ოტო შნიკი ეწვევა, რომელიც რეგიონული ვიზიტით სამხრეთ კავკასიაში ჩამოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ "დიანა აბაშიძის დაცვის წევრების დაპატიმრებასთან დაკავშირებით შექმნილმა სიტუაციამ მოსკოვში დიდი შეშფოთება გამოიწვია". იაკოვენკოს თქმით, მოსკოვში იმედოვნებენ, რომ თბილისი თავის პირობას შეასრულებს და აბაშიძის ოჯახს დევნას არ დაუწყებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერი ასლან აბაშიძე მისი ქალიშვილის დიანა აბაშიძის ირგვლივ ბათუმში განვითარებულ მოვლენებს მოსკოვიდან გამოეხმაურა. როგორც მან რუსულ სააგენტო "ინტერფაქსს" განუცხადა, ბათუმში ამ დღეებში ჩასულ დიანას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და მოსკოვში გამგზავრების წინ მისი სახლის ბლოკირება საქართველოს ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული. "მათ გარდა, არავინ იცოდა, რომ დიანა მოსკოვში გამგზავრებას აპირებდა," - აღნიშნა აბაშიძემ. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს პირობა მისცა, რომ მისი ოჯახის წევრებს საფრთხე არ დაემუქრებოდა. "ახლა კი ვხედავთ, მიცემული სიტყვა ქართულად რას ნიშნავს," - დასძინა მან. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა აჭარაში პლებისციტის ჩატარებასთან დაკავშირებით უკვე 10.500 ხელმოწერა შეაგროვა. პლებისციტზე მოსახლეობამ ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს. კობა დავითაშვილის თქმით, პლებისციტის დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივაა. ამასთან, არ არის განსაზღვრული, რამდენი ხელმოწერაა საჭირო მის ჩასატარებლად. აჭარაში ხელმოწერების შეგროვება სექტემბრამდე გაგრძელდება და დავითაშვილი დარწმუნებულია, რომ 50.000 ხელმოწერაზე მეტის შეგროვებას შეძლებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ბათუმი.** პარლამენტარი კობა დავითაშვილი მიიჩნევს, რომ დიანა აბაშიძის დაცვის წევრების დაკავება არაკანონიერად ხდება. არ შეიძლება, დანაშაულს ასევე დანაშაულის ჩადენით ებრძოლო, - აცხადებს იგი და დასძენს, რომ პოლიციელების მხრიდან დანაშაულის ჩადენა აბაშიძეების დაცვის წევრებისათვის ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადებაში გამოიხატება. ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ დაცვის დაკავებული წევრები აჭარაში აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში განვითარებული მოვლენების დროს მიტინგების დარბევაში მონაწილეობდნენ და მათ პასუხი სწორედ ამაზე უნდა აგონ და არა მათთვის ჩადებულ ნარკოტიკებზე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, პარასკევს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე, ყოფილ პარლამენტარ კობა ხაბაზის ადგილმონაცვლის გიორგი უკლებას სადეპუტატო უფლებამოსილება 155 ხმით ცნო. კობა ხაბაზმა საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მანდატი აჭარის უმაღლეს საბჭოში არჩევის შემდეგ დატოვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი, "ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი დამფუძნებელი თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის მხრიდან "კონტრრევოლუციის საფრთხეს" გამორიცხავს, თუმცა ძალების გარკვეული კონსოლიდაციის მცდელობებს აღნიშნავს. "შესაძლოა, ისინი 2005 წელს დაგეგმილი თვითმმართველობის არჩევნებისთვის გამოჩნდნენ," - განაცხადა თამაზ დიასამიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი, "ჩვენი აჭარას" დამფუძნებელი თამაზ დიასამიძე მიიჩნევს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ოჯახის წევრების დაცვა საქართველოს ფინანსური პოლიციისგან გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აბაშიძე კორუფციულ გარიგებაში იყო რუსეთის მთავრობასთან და დიდ ფულს უხდიდა მათ. სწორედ ეს ფული ალაპარაკებს რუსეთის მთავრობას დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასაცილოა, როდესაც ერთი კერძო მოქალაქის დასაცავად დიდი სახელმწიფოს უწყება გამოდის, - განაცხადა დიასამიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დამნაშავეთა სამყაროში ცნობილი ნარკორეალიზატორი, ადრე ნასამართლევი 21 წლის ბ. გოგინაშვილი, მეტსახელად "სარკომა" გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციელებმა დააკავეს. გოგინაშვილის ბინის ჩხრეკისას ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული 30.3 გრამი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა, ასევე ხელყუმბარა "რგდ-1" და "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი ერთი ვაზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბრალდებულის ცემაში ბრალდებულ პოლიციელ როლანდ მინაძეს თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციელ მინაძეს თბილისის პროკურატურა ერთი თვის წინათ ქურდობის ბრალდებით დაკავებული ხვიჩა კვირიკაშვილის ცემას ედავება. თბილისის პროკურორის თანაშემწის ნანა ლომაიას განცხადებით, კვირიკაშვილი, გამოძიების მასალებით, პოლიციის განყოფილებაში სცემეს და იმის ნაცვლად, რომ საავადმყოფოში წაეყვანათ, სახლში მიიყვანეს. კვირიკაშვილი სახლში მისვლიდან ერთ საათში გარდაიცვალა. მინაძე ორი დღის წინ დააკავეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თბილისის პროკურატურამ აღძრა. ლომაიას თქმით, მინაძის გარდა, დადგება სხვა პოლიციელთა, მათ შორის, იმ მაღალჩინოსანთა პასუხისგებლობის საკითხი, რომლებიც კვირიკაშვილის ცემაში მონაწილეობდნენ. **მედია-ნიუსი**

## ოფიციოზი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №610

*2004 წლის 24 ივნისი ქ. თბილისი*

გ. გეწაძის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გია გეწაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აჭარის სტატუსის კონტურები უკვე გამოიკვეთა

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ საქართველოს პარლამენტმა, 173 ხმით 9-ის წინააღმდეგ, პირველი მოსმენით მიიღო კონსტიტუციური კანონპროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის" შესახებ. "რუსთავი-2"-სთვის მიცემულ ინტერვიუში "ფენომენალური კვორუმითა" და "დეპუტატების სახელმწიფოებრივი აზროვნებით" კმაყოფილება გამოხატა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის სამართლებრივი პროცესი კი მომავალი კვირისთვის ნავარაუდევ რიგგარეშე სესიაზე გაგრძელდება. ასე რომ, ასლან აბაშიძის "ავტონომიური იმპერიის" ნანგრევებზე "დემოკრატიული ავტონომიის" მშენებლობა სულ მალე დაიწყება.*



ირაკლი ოქრუაშვილი ამიერიდან მთლიანად გამორიცხავს აჭარაში მოვლენების იმგვარად განვითარების შესაძლებლობას, როგორსაც რეგიონში ახლახან ჰქონდა ადგილი.



"ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე 176 ხმით, ერთის წინააღმდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

იური ლობოდინის ფოტო

პირველი მოსმენით მოწონებული კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ამიერიდან მთლიანად გამორიცხავს აჭარაში მოვლენების იმგვარად განვითარების შესაძლებლობას, როგორსაც რეგიონში ახლახან ჰქონდა ადგილი.

**"კანონის საბოლოოდ მიღების შემდეგ უკვე აღარავის გაუჩნდება ხელისუფლების უზურპაციის სურვილი,"** - ამტკიცებს ოქრუაშვილი. ამასთან, მინისტრი კატეგორიულად არ ეთანხმება მოსაზრებას, თითქოს, ასლან აბაშიძის მოსკოვში გაქცევის შემდეგ ადმინისტრაციული სეპარატიზმის საფრთხე აჭარაში უკვე აღარ არსებობს და ამდენად, რეგიონის ხელისუფლებაზე ცენტრის მხრიდან კონტროლის მექანიზმების ამოქმედება სრულიად ზედმეტია.

**"ტყუილად გგონიათ, რომ რადგან ვიღაცეებმა აჭარიდან მოკურცხლეს, რევანშისტები აღარ არიან. ტყუილად გგონიათ, რომ დიანა აბაშიძის ბათუმში ჩამოსვლა რიგითი ამბავი იყო და მას სხვა მიზნები არ ჰქონდა,"** - საბოლოო გამარჯვების ზეიმს ოქრუაშვილი ჯერ ნაადრევად მიიჩნევს.

პარლამენტში გამოსვლის დროს შინაგან საქმეთა მინისტრი აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ "ამ მოსაზრების გასაზიარებლად არგუმენტები ვერ მოისმინა".

მოგვიანებით ეს თემა საქართველოს პრეზიდენტმაც განავრცო. მიხეილ სააკაშვილის თქმით, "ამოგლეჯილ კონტექსტში აჭარის ავტონომიის განხილვა დაუშვებელია" და ამ საკითხს საზოგადოება რამდენიმე წლის შემდეგ უნდა დაუბრუნდეს, როდესაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა უკვე აღდგენილი იქნება და დღის წესრიგში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი დადგება.

მართალია, საპარლამენტო უმრავლესობამ საკონსტიტუციო კანონპროექტს ხმა მისცა, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს, რომ ისინი ამ დოკუმენტით აღფრთოვანებული არიან. მაგალითად, დეპუტატი დავით ზურაბიშვილი აღიარებს, რომ ეს სულაც არ არის კლასიკური, ევროსტანდარტების დონეზე დაწერილი კანონპროექტი და, ამდენად, პარლამენტარი არ გამორიცხავს, რომ გარკვეული დროის შემდეგ კანონში სერიოზული ცვლილებები შევიდეს. თუმცა, ზურაბიშვილი იქვე იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ გუშინ პირველი მოსმენით მიღებული დოკუმენტი საქართველოს დღევანდელ რეალობას მთლიანად შეესაბამება.

დაახლოებით იგივე აზრს ავითარებს დეპუტატი ნიკა გვარამია. **"ეს კანონი აჭარის ავტონომიურობას შეზღუდულ ჩარჩოებში აქცევს, მაგრამ ამ ჩარჩოების გაფართოების საჭიროებასა და აუცილებლობას ამ ეტაპზე ვერ ვხედავ,"** - აცხადებს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წარმომადგენელი.

ზურაბიშვილისა და გვარამიასგან განსხვავებით, საკონსტიტუციო კანონპროექტს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ივლიანე ხაინდრავა. "რესპუბლიკური პარტიის" წევრის აზრით, კანონპროექტის სამართლებრივი მხარე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ხაინდრავას მიაჩნია, რომ აჭარისთვის ნაბოძები სტატუსი შეაფერხებს დემოკრატიული პროცესების განვითარებას არა მარტო აჭარაში, არამედ მთელ ქვეყანაში, რადგან აჭარაში, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო მმართველობა მკვიდრდება.

**"კანონპროექტში ნათლად იკითხება ცენტრალური ხელისუფლების შიში და უნდობლობა ადგილობრივი ორგანოების მიმართ, რაც, მორალური თვალსაზრისით, მიუღებელია,"** - აცხადებს ხაინდრავა.

მის მოსაზრებებს კატეგორიულად არ ეთანხმება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი. მისი თქმით, კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ უამრავი შენიშვნა გაითვალისწინა, რამაც დოკუმენტი დახვეწა და, მთლიანობაში, მისაღები გახადა.

კანონპროექტში შეტანილი ცვლილებებიდან ბეჟაშვილი გამოყოფს იმას, რომ თავდაპირველ ვარიანტში ნავარაუდევი იყო აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღება, მაგრამ ბოლოს გადაწყდა, ამ ინსტიტუტის ამოქმედება მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დათხოვნის შემთხვევაში მოხდეს.

გარდა ამისა, ბეჟაშვილის განცხადებით, წარმოდგენილი კანონპროექტი აჭარის უმაღლესი საბჭოს ორპალატიანობას ითვალისწინებდა, მაგრამ ბოლოს არჩევანი მაინც ერთპალატიანი პარლამენტის სასარგებლოდ გაკეთდა.

თუმცა, კანონპროექტის პირველი მოსმენით პარლამენტში უპრობლემოდ გასვლა სულაც არ ნიშნავს, რომ მისმა შემდგომმა განხილვამ ინტერესი დაკარგა. პირიქით, დისკუსია უფრო მწვავე ხასიათს მეორე მოსმენის დროს შეიძენს, როდესაც დოკუმენტის მუხლობრივი განხილვა დაიწყება.

მართალია, დეპუტატებმა გუშინდელი დღე ლამის მთლიანად აჭარას "მიუძღვნეს", მაგრამ გული არც ყოფილ კოლეგას, კოტე კემულარიას დასწყვიტეს - "ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე (წინა მოწვევის პარლამენტში) 176 ხმით, ერთის წინააღმდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

# ხელისუფლება ასლან აბაშიძისთვის მიცემულ პირობას ასრულებს

პირველი გვერდიდან

ეს ის დანაშაული გახლავთ, რომლის ჩადენის გამოც, ვარდების რევოლუციის შემდეგ არაერთი ყოფილი მაღალჩინოსანი დააპატიმრეს და ბიუჯეტისთვის თავის დროზე მიყენებული ზარალის ანაზღაურებამდე ციხის გისოსებში ამყოფეს. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მიცემული სიტყვა ზედმიწევნით შეასრულა - ასლან აბაშიძის ქალიშვილი დიანა აბაშიძე, რომელზეც ხელშეუხებლობის შესახებ მიცემული პირობა ვრცელდებოდა, საქართველოდან გაფრინდა. მისი ადვოკატის ეკა ბესელიას კომენტარის თანახმად, ფინანსურმა პოლიციამ მისთვის დასასმელი შეკითხვების ნუსხა ამოწურა. სამაგიეროდ, დღის წესრიგში კვლავაც დგას სამართალდამცველთა მიერ მიკვლეული, დიანა აბაშიძის კუთვნილი საჩოგბურთო კლუბ "ბათუმის" სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დამალული თანხების - დაახლოებით 22 მილიონი ლარის გადახდის საკითხი. ასლან აბაშიძეს მის მიერ მოპოვებული უკანონო ქონების ხელშეუხებლობას არავინ დაპირებია. შესაბამისად, როგორც ფინანსური პოლიციის აჭარის რეგიონულ სამმართველოში აცხადებენ, ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის ამოღება მოხდება სრულად და აბაშიძეების მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, სასამართლო წესის შესაბამისად განხორციელდება მათი ქონების აუქციონის წესით გაყიდვა, ან სახელმწიფოსათვის გადაცემა. ასეთი რადიკალური ზომების მიღებისაკენ ხელისუფლებას თავად აბაშიძეების ოჯახის, კონკრეტულად კი თავად დიანა აბაშიძის პოზიცია უბიძგებს. როგორც ცნობილია, ფინანსურ პოლიციაში ჩატარებული ერთ-ერთი დაკითხვის შემდეგ მან განაცხადა, რომ იგი არ აპირებს სადავო თანხის გადახდას და ამის უფლებას არც მამამისს მისცემს. ყოფილი ლიდერის ქალიშვილის ამგვარმა განცხადებებმა ხალხის აღშფოთება გამოიწვია - აბაშიძეების ქონებისა და ამ ქონების დაგროვების წყაროების შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. მაგრამ აჭარელთა ერთმა ნაწილმა ეს აღშფოთება გადაჭარბებული აგრესიულობით გამოხატა.

**"დიანა აბაშიძე აჭარაში პროვოკაციის მიზნით ჩამოვიდა", "დიანა აბაშიძეს არ აქვს მორალური უფლება, აჭარელი ხალხის სახელით ილაპარაკოს და განაცხადოს, რომ მასზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება, რადგან ზეწოლა და მუქარაც, ასლან აბაშიძის რეჟიმის მოგონილი იყო", "დიანა აბაშიძემ კიდევ უფრო მეტი თანხა უნდა გადაიხადოს, ვიდრე ამას ფინანსური პოლიცია სთხოვს. ის ფული, რომელიც დიანა აბაშიძემ და მისმა მამამ - ასლან აბაშიძემ მიითვისა, ხალხს ეკუთვნის და ხალხსვე უნდა დაუბრუნდეს,"** - დიანა აბაშიძის საცხოვრებელ სახლთან შეკრებილთა მხრიდან ამგვარი განცხადებების გაკეთებას უშვერი გინება და აბაშიძის ფანჯრებისთვის ქვების სროლა მოჰყვა, რასაც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა, ბლოკ "სააკაშვილი-გამარჯვებული აჭარის" ლიდერმა კობა ხაბაზმა დიანა აბაშიძის "უტიფარი განცხადებით" აღშფოთებული "ჩვეულებრივი ხალხის გულწრფელი პროტესტი" უწოდა, ბათუმის პოლიციის უფროსმა კი, რომლის ხელქვეითნიც ზემოთაღწერილ მოვლენებს მშვიდად ადევნებდნენ თვალყურს, მათი მუშაობა წესრიგის დაცვად მონათლა.

თუმცა, სამართლებრივ სახელმწიფოში ხალხის, თუნდაც, სამართლიანი აღშფოთების ამგვარ გამოხატვას ხულიგნობა ჰქვია.






# აჭარის სტატუსი, ტერიტორიული მოწყობა და თვითმმართველობა

*აჭარაში რეალური თვითმმართველობის განხორციელების თაობაზე მიმდინარე საუბრებმა და ავტონომიის სტატუსის ირგვლივ ამტყდარმა კამათმა საკმაოდ ბევრ ექსპერტს ის პრობლემა გაახსენა, რომელიც ქვეყანაში დიდი ხანია, არსებობს და რომლის გადაჭრასაც არა და არ დაადგა საშველი. საუბარია იმ აუცილებელ და სრულყოფილ საკანონმდებლო ბაზაზე, რომელიც ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის განხორციელებას უზრუნველყოფს. დღემდე ყველა მიღებული საკანონმდებლო აქტი არასრულყოფილი და, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანია. ამიტომაც ადგილებზე რეალურ თვითმმართველობაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ შეუძლებელია.*

თამარ მჭედლიშვილი

ბუნებრივია, თვითმმართველობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან. მაშინ, როდესაც საქართველოში ჯერაც არ არის განსაზღვრული ტერიტორიული მოწყობის საბოლოო მოდელი, პოლიტიკური სპექტრის ნაწილი მიიჩნევს, რომ სრულყოფილ თვითმმართველობაზე საუბარი ნაადრევია. მათი არგუმენტები ასე ჟღერს: ჯერ უნდა გავარკვიოთ, ქვეყნის მოწყობის როგორ მოდელს ვირჩევთ - რეგიონალიზმს თუ სიმეტრიულ ან ასიმეტრიულ ფედერელიზმს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, თვითმმართველობისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

ამავე დროს, წელიწადნახევარში, 2005 წლის ნოემბერს საქართველოს მორიგი საარჩევნო ციებცხელება მოიცავს. ჩვენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა მოგვიწევს (იმის მიუხედავად, მოესწრება თუ არა ამ დროისთვის ტერიტორიული მოწყობის პრინიცპების საბოლოო განსაზღვრა). თუკი დღემდე არსებულ პრაქტიკას გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, პარლამენტმა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისთვის, ანუ თვითმმართველობის შესახებ კანონისთვის კვლავ დაგვიანებით მოიცალოს, რაც ავტომატურად გამოიწვევს არსებულ კანონში უამრავი თეთრი ხვრელის დატოვებას.

და მაინც - პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები ნელ-ნელა იწყებენ თვითმმართველობის შესახებ კანონის გაკეთილშობილობაზე საუბარს.

რაიონული ერთეული, როგორც კომუნისტური წყობის გადმონაშთი რომ გასაუქმებელია, ამის თაობაზე ყველა თანხმდება. თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და პოლიტიკოსები ცალსახად აღნიშნავენ, რომ რაიონული მმართველობა თვითმმართველობის განხორციელებას სერიოზულ პრობლემას უქმნის. თუმცა მხოლოდ რაიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის ლიკვიდაცია პრობლემას ვერ ხსნის. საკამათოა, პირველი დონის თვითმმართველობა რა ტერიტორიულ მონაკვეთს უნდა მოიცავდეს - სოფელს, დაბას, თემს, ქალაქს, რომელიც რაიონის დაქვემდებარებაში შედის, თუ იგი უნდა გამსხვილდეს და გაუქმებული რაიონის დონეზე ავიდეს. რაც შეეხება თვითმმართველობის მომდევნო დონეებს - პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მეორე დონე რეგიონამდე უნდა ავიდეს, ნაწილი კი სამდონიანი თვითმმართველობის მომხრეა.

მოკლედ, პოლიტიკურ სპექტრს საკამათო და საფიქრალი ბევრი აქვს. ამასობაში, თვითმმართველობის დღეს არსებული ორდონიანი მოდელი, ფაქტობრივად, უსიცოცხლოა, რადგან საკრებულოებს ადგილზე არ ძალუძთ უამრავი პრობლემის მოგვარება. და ამის მიზეზი ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინიციპების არარსებობა როდია. საქმე ის არის, რომ კანონით არ და ვერ რეგულირდება მთელი რიგი ელემენტარული პრობლემები. კვლავ და კვლავ გასამიჯნია ქონება, საბიუჯეტო საკითხები. ამავე დროს, რაიონული გამგეობებისა და მოსახლეობის მიერ არჩეული საკრებულოების საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში, არაკოორდინირებული და ურთიერთსაპირისპიროა.

სხვათა შორის, დღეს არსებულ კანონს რომ უამრავი ხარვეზი აქვს, ეს აჭარაში დატრიალებულმა მოვლენებმაც აჩვენა. ასლან აბაშიძის გაქცევის შემდეგ, ფაქტობრივად, გაურკვეველი იყო, რა მექანიზმით უნდა მომხდარიყო საკადრო ცვლელებები თუნდაც რაიონული გამგეობების დონეზე, რადგან კანონი ამის თაობაზე არაფერს ამბობდა.

იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც თვითმმართველობის პრობლემატიკაზე მუშაობენ, უკვე მთელ რიგი წინადადებები აქვთ შემუშავებული. მათი ძირითადი მოთხოვნები უცვლელია - ადგილობრივი და ცენტრალური ქონების გამიჯვნა, საბიუჯეტო უფლებამოსილებების მკაფიო განსაზღვრა, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა.

ძნელი სათქმელია, რამდენად გაიზიარებს ხელისუფლება არასამთავრობო ორგანიზაციათა წინადადებებს, მაგრამ პარლამენტში გვარწმუნებენ, რომ უკვე სექტემბერში თვითმმართველობის საკითხების განხილვას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო აქტიურად დაიწყებს. როგორც პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარემ ედვარდ სურმანიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, უკვე შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც სწორედ ამ საკითხებზე მუშაობს და რომელიც საკუთარ წინადადებას პარლამენტს სექტემბერში შესთავაზებს.

საინტერესოა ედვარდ სურმანიძის განცხადებაც, რომლის თანახმადაც, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" კონსტიტუციური კანონი გარდამავალ-შუალედური იქნება, რომელიც ერთი წლის შემდეგ აუცილებლად შეიცვლება. ერთი წლის შემდეგ საქართველოს პარლამენტი "ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სახელმწიფო მოწყობის შესახებ" კანონპროექტს მიიღებს, რომლის შემუშავების შემდეგაც სტატუსის შესახებ კანონის შეცვლა აუცილებელი გახდება.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს 0.4 კვ.ქსელის საკაბელო და აღრიცხვის კვანძების სამონტაჟო სამუშაოებზე**

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება

შეუძლიათ 2004 წლის 30 ივნისამდე; მისამართი:

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.

ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 ივლისი.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**28 ივნისს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფელ კოჯრის მაცხოვრებლებს

**28 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის, იყალთოს მთის, ბაკურციხის, წინაუბნის, ტუსკიას, ფანასკერტელ-ციციშვილის, ჩაილურის, ბახტრიონის, ცინცაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**28 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
სოფელი დიღმის, დიღმის მასივის III, IV, V და VI კვარტლების, ვაშლიჯვარის და ქოშაგორის დასახლებების, ლუბლიანას, ახმეტელის, გოძიაშვილის, მარჯვენა სანაპიროს, პეტრიწის, გელოვანის, სარაჯიშვილის, კვანტალიანის, ქუჩების მაცხოვრებლებს.

# "სგსე" - "გსეკ"-ის ნაცვლად, და კიდევ 13 მილიონი

## გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია "მცირე ლიცენზიანტების" ქონებასაც შემოიერთებს და დონორთა დახმარებებსაც მიიღებს

მაია ურუშაძე

*"გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას", რომელსაც დღემდე "გსეკ"-ად მოვიხსენიებდით, დღეიდან ახალი ლოგო აქვს და შემოკლებით "სგსე" ჰქვია. ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე კომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა განაცხადა. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ "სგსე" მალე საქართველოს ენერგოსექტორის დონორებისგან სოლიდურ თანხებს ელის: ზოგს - გრანტის, ზოგსაც - კრედიტის სახით.*



*სანამ დინ უაითი ჟურნალისტებს საქართველოს ენერგოგიგანტის სამომავლო გეგმებს აცნობდა, პარლამენტში "მაჟორიტარებმა" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.*

გუშინ საქართველოს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს კომპანიის უახლესი სამოქმედო გეგმა გააცნო. პირველი, რისი ხაზგასმაც საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო ბაზრის გიგანტის ხელმძღვანელს მოუწია, "მცირე ლიცენზიანტების" საქმე იყო. უაითმა განაცხადა, რომ იმ აბონენტებისთვის, რომლებიც აქამდე ე.წ. "კომერციული დენით" მარაგდებოდნენ, 1 ივლისიდან "მცირე ლიცენზიანტთა" გაუქმების გამო ელექტრომომარაგება არ გაუარესდება. **"ეს ამ კომპანიების მიერ გავრცელებული ჭორებია,"** - განაცხადა მან. მისი თქმით, ამ კომპანიების აბონენტებს ელექტროენერგიის მიწოდების ძველი რეჟიმი შეუნარჩუნდებათ. **"2 თვის განმავლობაში დავაკვირდებით, თუ როგორ იხდიან ისინი დენის საფასურს - 8,1 თეთრს, და თუ მათთანაც გაყალბება აღმოვაჩინეთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვაქცევთ სხვა მომხმარებლების რეჟიმში და შევზღუდავთ,"** - აცხადებს უაითი და სემეკის მიერ ერთი ხელის დაკვრით გაუქმებული მცირე კომპანიების ქონების "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" შემოერთებაზე საუბრობს, "მცირე ლიცენზიანტთა" უკვე ყოფილ თანამშრომლებს კი სამუშაო ადგილებს ჰპირდება: **"ჩვენს ენერგოკომპანიაში მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებს სამუშაოდ აუცილებლად მივიღებთ,"** - აცხადებს იგი. რაც შეეხება ამ კომპანიების აქტივების შემოერთებას, "მცირე ლიცენზიანტთა" მიერ თავის დროზე შესყიდული თუ მოგვიანებით აშენებული ენერგოობიექტების ღირებულებას აუდიტორები შეაფასებენ, რის შემდეგაც "სგსე"-ს გენერალური დირექტორი ამ კომპანიათა "პატიოსან ნაწილს" კომერციული გარიგების, ხოლო "თაღლითობაში შემჩნეულებს" - სასამართლოს ენაზე გაესაუბრება. მარტივად რომ ვთქვათ, ვისაც დარღვევა ექნება, ქონებას, უბრალოდ, ჩამოართმევენ, მათგან კი, ვისაც ამ დარღვევებს ვერ აღმოუჩენენ - შეისყიდიან.

მიუხედავად იმისა, რომ "სგსე"-მ, როგორც იქნა, წადილი შეისრულა და საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო ბაზარი გააერთიანა (ის აჭარისა და კახეთის რეგიონების გარდა, მთელ საქართველოს აკონტროლებს), მომავალ ზამთარში კრიზისს მაინც პროგნოზირებს. იმისათვის, რომ კრიზისი მწვავე არ იყოს, კომპანია უცხოელი დონორებისგან ჯამში 4,3 მილიონ დოლარს და 8 მილიონ ევროს მიიღებს, საიდანაც 8 მილიონი ევრო - გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტია, 2 მილიონი დოლარი - აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი გრანტი, ხოლო 2,3 მილიონი დოლარი - მსოფლიო ბანკის მიერ მოძიებული დახმარება. გარდა ამ თანხებისა, კომპანია საქართველოს ბიუჯეტიდან 3 მილიონ დოლარსაც ელის, მობილიზებული ფინანსური რესურსებით კი ექვსკომპონენტიანი პროგრამის განხორციელებას გეგმავს: პირველ რიგში, თავის სტრუქტურაში "მცირე ლიცენზიანტთა" ქონებას უნდა მიუჩინოს ადგილი, მეორე - კომპანიაში შიდა კორუფციული გარიგებები გამოიძიოს, მესამე - "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" 35-110-კილოვოლტიანი აქტივები უნდა გამოართვას და თავად განკარგოს, მეოთხე - ინკასატორების ინსტიტუტი გააუქმოს და ახალი მენეჯერები შეარჩიოს, მეხუთე - ორგანიზაციული რესტრუქტურიზაცია განახორციელოს და ყველა რეგიონში შექმნას მომხმარებელთა უფლებების დამცველი რგოლი. რაც შეეხება მეექვსე კომპონენტს, ეს "ინფრასტრუქტურის ფართომასშტაბიანი გაუმჯობესებაა", რაც კომპანიის საბითუმო დონეზე გამრიცხველიანებას ისახავს მიზნად.

შეგახსენებთ, რომ "საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი", რომელიც საქართველოს ენერგოსისტემის საბითუმო დონეზე გამრიცხველიანებას გულისხმობდა, ირლანდიურ "ი-ეს-ბი-აის" "სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის" დონორთა დახმარების ფარგლებში გამოყოფილი თანხებით უნდა განეხორციელებინა. ამის აუცილებლობა იმით იყო ნაკარნახევი, რომ "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და "სგსე"-ს შორის ელექტროენერგიის გადადინების კონტროლი ამ მრიცხველების გარეშე შეუძლებელი იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც 35-110-კილოვოლტიანი აქტივები მთლიანად "სგსე"-ს საკუთრებაში გადავა, ის წერტილები, სადაც ეს მრიცხველები უნდა დამონტაჟებულიყო, მთლიანად "სგსე"-ს განკარგულებაში მოექცევა. დინ უაითი აცხადებს, რომ ახლა, "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან", ფაქტობრივად, მიღწეულია შეთანხმება აქტივების გადმოცემის თაობაზე, ამიტომ "საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტის" თანხების ნაწილსაც "სგსე" აითვისებს.

სანამ დინ უაითი ჟურნალისტებს საქართველოს ენერგოგიგანტის სამომავლო გეგმებს აცნობდა, პარლამენტში "მაჟორიტარებმა" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და ნიკა გილაურის უწყებას იმ "მარტივი" გრაფიკის შემუშავება მოსთხოვეს, **"რომლის მიხედვითაც ქვეყნის რეგიონების ელექტრომომარაგება მოხდება".**

ხონის მაჟორიტარი დეპუტატის აკაკი ბობოხიძის თქმით, **"ენერგოკომპანიებში დასაქმებულებს 3000 ლარის ოდენობის ხელფასი აქვთ, რაიონებში კი ერთი ტრანსფორმატორის შეკეთებას ვერ ახერხებენ."** მოკლედ, მაჟორიტარები მზად არიან, პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელოს, რათა უცხოელ მენეჯერებთან გაფორმებული კონტრაქტები გადაიხედოს.

ძირითადად, ამ მიზნით, პარლამენტარები საგანგებო ჯგუფს ჩამოაყალიბებენ, რომელიც "სგსე"-ს, "ი-ეს-ბი-აი"-ს, "იბერდროლასა" თუ სექტორში მოღვაწე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს ანგარიშს სისტემატურად მოსთხოვს.

# ლიბერალური საგადასახადო კოდექსი შეღავათებს აუქმებს

## რას ემსახურება საგადასახადო შეღავათი - დარგის განვითარებას თუ ცალკეული მეწარმის ჯიბის გასქელებას?!

*საგადასახადო შეღავათების რაოდენობა ახალ კოდექსში მინიმუმამდე მცირდება. სასათბურე პირობებში მყოფ ზოგიერთ ბიზნეს-ჯგუფს ბაზარზე პოზიციების დათმობა მოუწევს, თუკი, ბუნებრივია, მათ პარლამენტში კვლავაც არ გამოუჩნდნენ ახალი ლობისტები.*

ეთერ მამულაშვილი

დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი, დაახლოებით, 150-მდე საგადასახადო შეღავათსა და გათავისუფლებას ითვალისწინებს. ახალი კოდექსის პროექტის თანახმად, ეს რიცხვი თითქმის ნახევრდება და, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ეს წმიდა ფისკალური ეფექტის გარდა, ქვეყანაში კონკურენტული ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. დღეს ფინანსთა სამინისტრო იმის კალკულაციას აკეთებს, თუ კონკრეტულად რამდენი მილიონი ლარით შეიძლება გაიზარდოს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საგადასახადო შეღავათების ასეთი მნიშვნელოვანი შემცირებით. სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის, თემურ დვალის ინფორმაციით, დღეს მოქმედი შეღავათების "წყალობით", ხაზინას წელიწადში საშუალოდ 300-350 მილიონი ლარი აკლდება, აქედან დაახლოებით 170 მილიონი დამატებითი ღირებულების გადასახადზე მოდის. თავის დროზე, როდესაც წინა მოწვევის პარლამენტმა დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი დაამტკიცა, მარტო დამატებითი ღირებულების გადასახადის გათავისუფლების მუხლში იმდენი ქვეპუნქტი "ჩასვა", რომ მათი ნუმერაციისთვის ანბანის 33 ასო საკმარისი არ აღმოჩნდა.

ახალ კოდექსზე მომუშავე სამთავრობო კომისიის ის არგუმენტი, რომ შეღავათების უმრავლესობა კონკრეტული ბიზნეს-ჯგუფების ლობირებით იქნა მიღებული, აბსოლუტურად მისაღები და ლოგიკურია. მეტიც, კოდექსისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დარწმუნდე, საგადასახადო შეღავათების უმეტესობა არა ზოგადად რომელიმე დარგის განვითარებას, არამედ ერთი მეწარმის ჯიბის გასქელებას ემსახურება. ცალკე საუბრის თემაა ამ შეღავათებით მოსარგებლე არაკეთილსინდისიერი მეწარმეები, რითაც ბიუჯეტს და ამ შეღავათების რეალურ ადრესატებს წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მეტი აკლდება. ყოველივე ამის ფონზე, ალბათ, ლოგიკურია კოდექსის ავტორების ის გადაწყვეტილება, რომელიც საგადასახადო შეღავათების გაუქმებას ეხება, თუმცა ცალკეული მეწარმეების გარდა, ზოგიერთი შეღავათის გაუქმებას პარლამენტართა ერთი ნაწილიც აპროტესტებს. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტში კოდექსის ამ სახით შესვლის შემთხვევაში ყველაზე მეტს ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და მთიანი რეგიონების განვითარების კომიტეტებში "იხმაურებენ".

ყველაზე მეტ აჟიოტაჟს შემდეგი საგადასახადო შეღავათების გაუქმება იწვევს: დღეს მოქმედი კოდექსით, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრებიან ბავშვობიდან ინვალიდები, მარტოხელა დედები, მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეები, პირები, რომლებმაც აღსაზრდელად აიყვანეს ბავშვი, I და II ჯგუფის ინვალიდები, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი პირები.

ქვემოთ ჩამოთვლილი ოპერაციები კი, კოდექსის თანახმად, დამატებითი ღირებულების გადასახადისგან არის გათავისუფლებული: დიაბეტური და ჩვილ-ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება-იმპორტი; პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვა, იმპორტი და რეალიზაცია; შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი; 3 მილიონი აშშ დოლარის, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში 250 ათასი ღირებულების ინვესტიციებით განხორციელებული ტურისტთა განთავსების ობიექტები.

მოგების გადასახადით არ იბეგრება: ინვალიდებისა და მათი რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებათა წარმოებით მიღებული მოგება, მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე არსებული საწარმოები, სამედიცინო დაწესებულებები, მაღალმთიან და მთიან რეგიონებში განთავსებული ტურისტული ობიექტები (აშენებიდან 5-10 წლის განმავლობაში, მშენებლობის საერთო ღირებულების გათვალისწინებით).

ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ან მათი ოჯახების, I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მაღალმთიან რეგიონებში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის საკუთრებაში ამ ტერიტორიაზე არსებული ქონება ახალ კოდექსამდე გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

პარლამენტის წევრი მარინა მოლოდინი, რომელიც წინა მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში მაღალმთიანი რეგიონებისთვის შემოღებული საგადასახადო შეღავათების ერთ-ერთი ინიციატორი იყო, ამბობს: **"ამ შეღავათების გაუქმების შემდეგ, ჩვენ ინვესტორებსა და მეწარმეებს მთიან რეგიონებში სხვანაირად ვერ მოვიზიდავთ, რადგან დღეს იქ არანაირი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები არ მუშაობს. ყველასათვის ცნობილია, რომ ბოლო რამდენიმე წელია, მთაში სერიოზული მიგრაციული პროცესები აშკარა შესამჩნევი გახდა და წარმოიდგინეთ, თუ ჩვენ ამ ადამიანებს მსგავსი ტიპის შეღავათებით ხელს არ შევუწყობთ, უახლოეს მომავალში მთაში საერთოდ აღარავინ დარჩება. მე ვიცნობ ძალიან ბევრ უცხოელ ბიზნესმენს, რომლებიც მზად არიან, ჩამოვიდნენ საქართველოში და სწორედ მთაში ჩადონ უზარმაზარი ინვესტიციები. თუ ჩვენ ამას სტიმული არ მივეცით, ალბათ, კარგა ხანი მთისკენ აღარავინ მოიხედავს."**

ჯანდაცვასთან და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების შესაძლო გაუქმებას პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი აპროტესტებს. კომიტეტის წევრის ლევან მეტრეველის შეფასებით, სამედიცინო დაწესებულებების მოგების გადასახადით დაბეგვრა, რბილად რომ ვთქვათ, ნონსენსია. იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი ირაკლი სასანია ამბობს, რომ სხვა ბევრ "უბედურებასთან" ერთად ამ შეღავათის გაუქმება ავტომატურად იმოქმედებს ჯანდაცვის მომსახურების ფასზე.

რაც შეეხება მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების გაუქმებას, მას ლევან მეტრეველი მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს, თუკი მომავალში ბიუჯეტით ამის კომპენსირება მოხდება.

პარლამენტარისთვის ასევე მიუღებელია ქონების გადასახადით ჯანდაცვის სისტემის დაბეგვრა. მეტრეველის თქმით, **"დღეს ჯანდაცვის სისტემა თითქმის მთლიანად უცხოურ დახმარებებზეა დამოკიდებული. ეს დახმარება კი, ხშირ შემთხვევაში, არის ძვირადღირებული აპარატურა. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ნაჩუქარი აპარატურის გამო, შემდეგ ის ქონების გადასახადმა გატეხოს წელში."**

საგადასახადო შეღავათების გაუქმებასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება აქვს ეკონომიკურ ექსპერტთა ერთ ნაწილს. მათი შეფასებით, საგადასახადო შეღავათები ხელს უშლის ქვეყანაში ჯანსაღ კონკურენციას და ის უარყოფითად მოქმედებს როგორც ეკონომიკაზე, ისე საგადასახადო სისტემის მდგრადობაზე. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ლიდერი ლექსო ალექსიშვილი მიიჩნევს, რომ სოციალური დაცვისა და მეწარმეობის წახალისებისათვის საგადასახადო შეღავათებზე ბევრად უფრო ეფექტური გზები არსებობს. **"თუკი საუბარია სოციალურ გარანტიებზე, ვფიქრობ, უფრო მართებულია, ყველასათვის თანასწორი გადასახადები იყოს და სახელმწიფომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის დაფინანსების დამატებითი წყაროები შექმნას. რაც შეეხება მეორე ტიპის შეღავათებს, მას დამანგრეველი ეფექტი აქვს ეკონომიკაზე, რაც არ უნდა კეთილშობილური მიზნებისთვის იყოს ის გამიზნული. შეღავათი არც ერთ შემთხვევაში არ ატარებს აუცილებელ პირობას, რომ ესა თუ ის სფერო განვითარდება, დარგი ვითარდება საინვესტიციო რესურსების მოზიდვით, ახალი ტექნოლოგიებით და მენეჯმენტით, რომლის მოზიდვის ერთ-ერთი პირობა უნდა გახდეს მარტივი, ცალსახა და იოლად გასაგები საგადასახადო კოდექსი,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ლექსო ალექსიშვილმა.




### ორი სიტყვით

**თბილისი.** 2005 წლიდან მსოფლიო ბანკის ახალი კრედიტის ათვისება დაიწყება, რომელიც საქართველოს საავტომობილო გზების განვითარებას მოემსახურება. "ადგილობრივი, რესპუბლიკური და სასოფლო მნიშვნელობის გზების პროექტის" დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკი 20 მილიონ დოლარს, ხოლო საქართველოს მთავრობა თანადაფინანსების სახით 10 მილიონ დოლარს გაიღებს. 2005-2008 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება 300-350 კმ რესპუბლიკური და სასოფლო მნიშვნელობის გზებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 27-30 ივნისს თბილისში დაგეგმილი თურქეთის ბიზნეს-კონფერენცია გადაიდო. ის, სავარაუდოდ, აგვისტოში გაიმართება და მასში თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოგანიც მიიღებს მონაწილეობას. იგეგმება 100-მდე თურქი ბიზნესმენის ჩამოსვლა, რომელსაც თურქეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრი თუნჯერ ქაიალარი უხელმძღვანელებს. "საქართველოში ის ბიზნესმენები ჩამოვლენ, რომლებიც ქვეყანას იცნობენ და რომელთაც აქ ფულის ჩადება სურთ. ბიზნესმენები ეკონომიკის ყველა სფეროთი არიან დაინტერესებულნი," - განაცხადეს საელჩოში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი საქართველოში სტუმრად მყოფ რუმინეთის რკინიგზის სამსახურის დელეგაციასთან ერთად ბათუმში გაემგზავრა. აჭარაში დაგეგმილია შეხვედრა პრეზიდენტის რწმუნებულთან ლევან ვარშალომიძესთან, სადაც ბათუმის პორტიდან რკინიგზაზე ტვირთების შეუფერხებლად გადატანის საკითხს განიხილავენ. ონოფრიშვილი თბილისში 26 ივნისს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

# ქაშმირი - ინდოეთისა და პაკისტანის განხეთქილების ვაშლი

ლაშა გიორგიძე


პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი და მისი ინდოელი კოლეგა.

ინდოეთისა და პაკისტანის დაპირისპირება რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. ბრიტანეთის ყოფილი კოლონია, რომელიც დიდი იმპერიის შემადგენლობაში ერთიანი სახელმწიფოს სახით არსებობდა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რელიგიური ნიშნით დაიყო. ინდოეთისა და მუსლიმური პაკისტანის სახელმწიფოები ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა. თუმცა, მათ შორის განხეთქილების საბაბი მაინც დარჩა - ქაშმირის ტერიტორია, რომლის სტატუსი და კუთვნილება დღემდე გაურკვეველია. ამ დაპირისპირებას სიმძაფრე შემატა იმ ფაქტმა, რომ 1990-იანი წლების ბოლოს ორივე სახელმწიფო ატომური იარაღის მფლობელი გახდა და მთლიანად რეგიონის სტაბილურობას შეუქმნა საფრთხე. შარშან პაკისტანის პრეზიდენიტის ფერვეზ მუშარაფისა და ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ატალ ბიჰარი ვაჯპაიის ინიციატივით ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოწესრიგება დაიწყო.

დაწყებული მოლაპარაკებები ინდოეთში ახალი ხელისუფლების მოსვლამ არ შეაფერხა. ეს რამდენიმე დღის წინ განახლებულმა მოლაპარაკებებმა დაადასტურა. პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრის ხურშიდ მეჰმუდ კასურის და მისი ინდოელი კოლეგის ნატვარ სინგჰის შეხვედრა ინდოეთში ჩატარებული არჩევნების შემდეგ პირველად გაიმართა. თუმცა, ორივე მათგანმა განაცხადა, რომ ისინი ორი ქვეყნის ურთიერთობაში ნდობის ასამაღლებლად ყველაფერს გააკეთებენ. ეს კი ქაშმირის საკითხზე კონსენსუსის მიღწევას გააიოლებს.

ქაშმირის პრობლემის მოგვარების რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რომელთა მიმართ პაკისტანსა და ინდოეთს განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნიათ.

ორმოცდაათწლიანი დაპირისპირების შემდეგ, ქაშმირში გაერო-ს ჩარევით "საკონტროლის ხაზი" გაივლო, რამაც რეგიონი ორ ნაწილად გაჰყო. შესაბამისად, ქაშმირი ინდოეთისა და პაკისტანის ადმინისტრაციას დაექვემდებარა. კონფლიქტის მოგვარების პირველი ვარიანტი, რომელსაც ინდოეთი უჭერს მხარს, სტატუს-კვოს შენარჩუნება და არსებული "საკონტროლის ხაზის" საერთაშორისო საზღვრად გამოცხადებაა. ინდოეთის ამ ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან როგორც პაკისტანში, ისე თვით ქაშმირში, რადგან ამ შემთხვევაში ისინი გავლენას დაკარგავენ რეგიონში. ინდოეთის მოთხოვნას ამყარებს ის ფაქტი, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერენ "საკონტროლო ხაზის" საერთაშორისო საზღვრად აღიარებას. ძალზე რთული იქნება აგრეთვე ქაშმირელების მოთხოვნების უგულვებელყოფა, რომლებიც 1989 წლიდან სრული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

ამ პრობლემის მოგვარების კიდევ ერთი სცენარი ქაშმირში პლებისციტის ჩატარებაა. ეს იდეა ჯერ კიდევ 1947 წლიდან არსებობს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აშკარაა, რომ ქაშმირში აბსოლუტურ უმრავლესობას მუსლიმები წარმოადგენენ. ასე რომ, პაკისტანი პლებისციტის ჩატარების მომხრეა. ამან შესაძლოა, მას მთელ ქაშმირზე მოაპოვებინოს გავლენა. მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ქაშმირის რეგიონში მცხოვრები ჰინდუსები და ბუდისტები არასოდეს შეეგუებიან მუსლიმების გავლენის ქვეშ ცხოვრებას. გარდა ამისა, ერთსულოვნება არც თავად მუსლიმებშია. ზოგიერთ მათგანს სჯერა, რომ ქაშმირი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გახდეს. თუმცა, არსებული ვითარების გათვალისწინებით, საეჭვოა, რომ ქაშმირის დამოუკიდებლობა მისმა დიდმა მეზობლებმა ინდოეთმა და პაკისტანმა დაუშვან.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე არც დელისა და არც ისლამაბადში ეს სცენარი არც კი განიხილებოდა, საერთაშორისო საზოგადოებაც უარს ამბობდა ქაშმირის სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე. ადგილობრივი მცხოვრებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ინდოელებიცა და პაკისტანელებიც ოკუპანტები არიან და მათ უნდა დატოვონ ტერიტორია. ქაშმირელების მოთხოვნას ამყარებს ისიც, რომ მათი ტერიტორიის ფართობი გაერო-ს 68 წევრ ქვეყანაზე დიდია, ხოლო მოსახლეობა - 90 ქვეყანაზე მეტი.

კიდევ ერთი სცენარი, რომელიც, პირობითად, შესაძლოა ბოლო ვარიანტად განვიხილოთ, ქაშმირის მხოლოდ ერთი ნაწილისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებაა. ამ იდეის განხორციელება ინდოეთისა და პაკისტანის მხრიდან ორმხრივი დათმობა იქნება. ეს ვარიანტი ეხება ეგრეთ წოდებულ ქაშმირის დაბლობს, რომელსაც დღესდღეობით ინდოეთი აკონტროლებს და პაკისტანის ადმინისტრაციის ქვეშ არსებულ ქალაქ ქაშმირსა და აზად ჯამუს. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას აქაც რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარება სჭირდება. ეს კი, სავარაუდოდ, დამატებით არეულობას შექმნის რეგიონში, რადგან ქაშმირის სხვა მხარეებიც არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამოვლენ. მოვლენების ასეთი სახით განვითარება ნაკლებსავარაუდოა, რომელიმე ქვეყანას მოსწონდეს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ინდოეთმა არაერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ქაშმირის დაბლობი არის ინდოეთის შემადგენელი ნაწილი და ოფიციალური დელი არ აპირებს ქვეყნის ცალკეულ რეგიონში დამატებითი არჩევნების ჩატარებას.

ყველაზე რეალურ ვარიანტად შეიძლება ქაშმირის რიგ ტერიტორიებზე ერთიანი პროტექტორატის საკითხი განვიხილოთ, რაც მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებს დელის, ისლამაბადისა და ქაშმირელების მოთხოვნებს და რეგიონში ურთიერთდამოკიდებულების გარკვეულ სისტემას ჩამოაყალიბებს.

# ევროპარლამენტი არსებული შეთანხმების გასაჩივრებას აპირებს


პატ კოქსს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით ადამიანის უფლებების დარღვევა არ მოსწონს.

პარასკევს ევროპარლამენტმა განცხადება გააკეთა, რომ ევროპის უმაღლეს სასამართლოს მიმართავს ევროკავშირსა და აშშ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რომელიც აშშ-ს ხელისუფლებას უფლებას აძლევს, მოითხოვოს ავიაკომპანიებისაგან მგზავრთა პირადი მონაცემები. ასეთი რადიკალური ზომები, აშშ-ს ხელისუფლების განამარტებით, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობით არის გამოწვეული.

მგზავრთა მონაცემების შეგროვება ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ ცალმხრივი, რიგ შემთხვევებში ადამიანის უფლებათადამრღვევი ზომებისა, რომელთა გატარების უფლება აშშ-მ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მოითხოვა. პარლამენტმა არაერთხელ დაგმო აღნიშნული გარიგება, თუმცა ევროკავშირის წევრთა ეროვნულმა მთავრობებმა პარლამენტის აზრი არაფრად მიიჩნიეს.

"ეს გადაწყვეტილება მიღებულია ფართომასშტაბიანი კონსულტაციების შედეგად და ეფუძნება ევროპარლამენტის უმრავლესობის მოსაზრებას, რომელიც მიიჩნევს, რომ ევროპის მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები დაცვას საჭიროებენ," - ამბობს ევროპარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე პატ კოქსი. შეგახსენებთ, ევროკომისიამ მემარჯვენე ჯგუფებისა და საპარლამენტო ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად 17 მაისს მაინც დაამტკიცა ეს შეთანხმება.

# "ნოდარ დუმბაძის" ეკიპაჟმა 21 ადამიანი გადაარჩინა

20 ივნისს შპს "საოკეანო სანაოსნოს კომპანიის" ტანკერმა "ნოდარ დუმბაძემ" იტალიის სანაპირო დაცვისგან მიიღო შეტყობინება დაკარგული ოთხმეტრიანი ნავის შესახებ, რომელზეც 21 ადამიანი იმყოფებოდა. გემზე მზადყოფნა გამოცხადდა.

22 ივნისს კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ თემურ ვარშანიძემ, მორიგეობის დროს მალტის ნაპირებიდან 200 კილომეტრის დაშორებით შეამჩნია ეს ნავი, რის შესახებაც ინფორმაცია იტალიისა და მალტის სანაპირო დაცვის სამსახურებს გაეგზავნათ.

მალტის გადარჩენის სამსახურმა თხოვა გემის ეკიპაჟს, დაკარგულების გადარჩენის შემთხვევაში, ისინი მალტაზე გადაეყვანათ. ცუდი ამინდის მიუხედავად, ქართველმა მეზღვაურებმა ყველა ღონე იხმარეს განსაცდელში მყოფი ადამიანების გადასარჩენად. მათ ჩაუტარდათ პირველადი სამედიცინო დახმარება, უზრუნველყვეს საკვებითა და ტანსაცმლით. გადარჩენილები აღმოჩნდნენ პაკისტანელები, სომალელები და პალესტინელები, რომლებიც იტალიაში შეღწევას ცდილობდნენ. მოგვიანებით ისინი მალტის სანაპირო დაცვის სამსახურს გადასცეს.

"ნოდარ დუმბაძის" კაპიტანმა და ეკიპაჟმა, გადარჩენის ოპერაციისას, აჩვენა მაღალი პროფესიონალიზმი.

აღსანიშნავია, რომ 24 ივლისს შპს "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" დაარსებიდან ხუთი წლისთავი შესრულდა.

*24 საათი*

# ამერიკელთა უმრავლესობას აღარ მოსწონს ერაყის კამპანია

გუშინ სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ამერიკელთა უმრავლესობა აშშ-ს სამხედრო ოპერაციას ერაყში მხარს არ უჭერს. აღნიშნული შედეგი აშშ-ს გავლენიანი მედია-საშუალებების მიერ ერთობლივად ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა.

გამოკითხულთა 54 პროცენტი მიიჩნევს, რომ ერაყში ამერიკელ ჯარისკაცთა გაგზავნა შეცდომა იყო. აღსანიშნავია, რომ სამი კვირის წინ ანალოგიური გამოკითხვისას მხოლოდ 41 პროცენტი იძლეოდა ამგვარ პასუხს. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ვიეტნამის ომის შემდეგ პირველად, ამერიკელები აშშ-ს დიდ სამხედრო ოპერაციას შეცდომად აფასებენ.

ამავდროულად, გამოკითხვის თანახმად ამერიკელთა 55 პროცენტი თვლის, რომ ერაყის კამპანიამ არათუ შეამცირა საერთაშორისო ტერორისტთა მხრიდან ამერიკაზე თავდასხმის საფრთხე, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გაზარდა. თუ შევადარებთ 2003 წელს იგივე კითხვაზე გაცემულ პასუხებს, შედეგები დამაფიქრებელია, - მაშინ 56 პროცენტის აზრით ერაყში სამხედრო ოპერაცია აშშ-ს უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

ამასობაში, ამერიკელთა დამოკიდებულება ერაყის საკითხისადმი პირდაპირ პროპორციულად აისახება პრეზიდენტობის კანდიდატთა საარჩევნო კამპანიაზე, და შესაბამისად, ამერიკელთა უარყოფითი დამოკიდებულების ზრდა ერაყში წარმოებული ომისადმი, მნიშვნელოვნად ამცირებს ჯორჯ ბუშის ხელმეორედ არჩევის შანსებს.

"როიტერი" აღნიშნავს, რომ გამოკითხვის ცდომილება მხოლოდ 3 პროცენტამდე აღწევს, ასე რომ, ზემოთ მოყვანილი ციფრები საკმაოდ ზუსტად ასახავს რეალურ სურათს.

ძვირფასო აბონენტებო!

ჯეოსელი გილოცავთ ზაფხულის დადგომას და შეგახსენებთ, რომ თუ საკრედიტო ან საავანსო სისტემის აბონენტი ბრძანდებით, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ფასდაკლებებით:




ჯეოსელი GEOCELL

-50% - ღამის საათებში (24:00-08:00) განხორციელებულ ლოკალურ ზარებზე

-10% - დღის საათებში (08:00-24:00) ჯეოსელსა და ლაი-ლაიზე განხორციელებულ ზარებზე

1 ივლისიდან ღამის ფასდაკლება გავრცელდება მხოლოდ ჯეოსელსა და ლაი-ლაი-ზე განხორციელებულ ზარებზე.

www.geocell.ge

# ნაციონალური შურისძიება

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ საკუთარი ბრძანებით ძირფესვიანად გააუქმა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.*



მარიკა მაურველაშვილის ფოტო

ზაზა ფაჩუაშვილი

გაუქმებაც არის და გაუქმებაც, ლადო ჭიპაშვილმა გააუქმა ყველა ის აქტი, რაც სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის არსებობას ადასტურებდა. ამრიგად გაუქმებულია მთელი დარგი და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტი, როგორც სპეციალობა, აღარ არსებობს.

"საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა პროკურატურის დანამატი იყო და ასე გრძელდებოდა ვარდების რევოლუციამდე. რევოლუციის შემდეგ პროკურატურამ ძირეული ცვლილებები განიცადა, რასაც ვერ ვიტყვით სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე. ამ შეუთავსებლობამ წარმოშვა ის ინსტიტუციონალური და არა პირადი დაპირისპირება, რომელიც მასმედიამ გაახმაურა.

ამიტომ დღეს ჩემი ბრძანებით ვაუქმებ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის კომისიას. უფრო მეტიც, ვაუქმებ მთელ სპეციალობას და ვაცხადებ, რომ დღეიდან სამედიცინო სპეციალობათა ნუსხაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტი აღარ წერია," - გვაცნობა საგანგებო ბრიფინგზე ლადო ჭიპაშვილმა.

მაინც რამ გამოიწვია ასეთი რადიკალიზმი და რომელ პიროვნულ დაპირისპირებაზე შეიძლება საუბარი? ოფიციალური ვერსიით, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ბნელი საბჭოთა გადმონაშთის ამოშანთვას ცდილობენ. შერისხულ ფსიქიატრთა მტკიცებით კი პროკურატურა ცდილობს, კვლავ ძველებურად დაიქვემდებაროს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ამ შემთხვევაში აღსანიშნავი ისაა, რომ ორივე საპირისპირო ვერსიის ავტორები ერთი და იგივე მანკიერ წარსულს ებრძვიან.

თუმცა, კომისია უკვე გაუქმებულია და ექსპერტ-ფსიქიატრთა პროტესტი ვეღარაფერს შეცვლის. ერთადერთი შედეგი, რაც მათ ხმაურს შეიძლება მოჰყვეს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაა. შეგახსენებთ, რომ ადამიანის გატაცებაში ბრალდებულისთვის გაცემული შეურაცხადობის დასკვნის თაობაზე ეჭვები გაუჩნდა თბილისის პროკურატურას, სადაც ყალბი დასკვნის გაცემის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში 11 ექსპერტთაგან თითოეულს თავისუფლების 5-5 წლით აღკვეთა ემუქრებათ.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, მოკლე ხანში ექსპერტიზის ახალი სისტემა აიგება, რაშიც დასავლეთი დაგვეხმარება. მალე ჩამოვა საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ქართველ კოლეგებს შესაბამის ცოდნას მისცემს. ჩვენ მოვამზადებთ პატიოსან პროფესიონალ კადრებს, რომლებიც არ იქნებიან მექრთამე და კორუმპირებულებიო, განაცხადა ჭიპაშვილმა.

დანარჩენს, როგორც იტყვიან, მომავალი გვაჩვენებს. თუ ოფიციალური ვერსია გამართლდა და ბრალდებასა და ექსპერტიზას შორის კომუნისტური დამოკიდებულება მოიშალა, ეს მართლაც ნაციონალური შურისძიება იქნება. თუ პირიქით მოხდება და ძალოვნები კვლავ დაიმორჩილებენ სასამართლო ექსპერტიზას, ესეც ნაციონალური შურისძიება იქნება, ოღონდ ბრჭყალებში, ასე, ა, - "ნაციონალური".

# პანკისელი ჩეჩენი ლტოლვილები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

პანკისის ხეობაში შექმნილ დაძაბულობას, ამჯერად, ხეობაში მცხოვრებ ლტოლვილებს შორის დაპირისპირებაც შეემატა. განხეთქილება ლტოლვილებში ორი დღის წინ ხეობაში არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანებული კავშირის წევრების მიერ ჩატანილმა ჰუმანიტარულმა ტვირთმა გამოიწვია. ორგანიზაციის წევრები დახმარებას მხოლოდ იმ ლტოლვილებს უწევენ, ვისაც ჩეჩნური გვარი აქვთ. დაპირისპირების მიზეზი სწორედ ეს ხდება: **"ჩეჩნეთში ამ ეროვნების გარდა, ქართველებიც ცხოვრობდნენ. მათაც დეწვათ სახლები და როგორც აქ მყოფი ჩეჩენი ლტოლვილები, ისინიც ისეთივე დაზარალებულები არიან. ჰუმანიტარული ტვირთი, ამჯერად, მხოლოდ ჩეჩნური გვარის წარმომადგენლებს ურიგდებათ,"** - აცხადებს სოფელ დუისის გამგებელი, ჯარაფ ხანგოშვილი. თუმცა, ამჯერად ინციდენტმა თავი ხეობაში უკვე იჩინა. ტვირთის განაწილებას ჩეჩენი და ქართველი გვარის ლტოლვილებს შორის სიტყვიერი კამათი მოჰყვა. ამ ყველაფერში კი პანკისში მყოფი ადამიანის უფლებების საერთაშორისო ორგანიზაციის დამცველები ბრალს "ხსნის არმიას", ანუ სამარიტელთა ქისას სდებენ: **"ჩვენ ამ აქციაზე გამჭვირვალობის მიზნით ჩამოვედით და დარღვევებიც აღმოვაჩინეთ. "ხნის არმია" არასწორად ანაწილებს ტვირთს, რაც იმის მიზეზია, რომ აქაურ ლტოლვილებს ერთმანეთს ჰკიდებენ,"** - ამბობს ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, მამუკა ჭურაძე.

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია კი წაყენებულ ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს: **"ჩვენ რა შუაში ვართ. აქაურმა ლტოლვილთა უფლებების დამცველებმა სიები როგორც მოგვაწოდეს, ისე ვანაწილებთ დახმარებას,"** - აცხადებენ ორგანიზაციის წარმომადგენლები. სოფელ დუისის გამგებლის, ჯარაფ ხანგოშვილის თქმით, ასეთმა პრობლემამ თავი ლტოლვილებში პირველად იჩინა და თუ ასე გაგრძელდა, სიტუაცია შესაძლოა, კონტროლს ვეღარ დაექვემდებაროს.

*ზვიად რუაძე*

# ელაპარაკეთ მათ

სოფიო თოდუა

*ჩემს ეზოში ყრუ-მუნჯების კორპუსი დგას და აგერ, უკვე ოცი წელია, ამ შენობის მობინადრეებს ყოველდღე ვხვდები. ჩვენი ბავშვები ერთად თამაშობენ ფეხბურთს, მაგრამ როგორც კი იწყება ლაპარაკი საყვარელ ფეხბურთელებზე და იდება ფსონები საუკეთესო გუნდებზე, ისინი ჩვენი შვილების აზარტულ გატაცებას თვალს აივნებიდან ადევნებენ. ადრე ჩემი მეზობლები დილაობით სამსახურებში დადიოდნენ და მათი "ემოციური საუბარი" ყოველთვის შესამჩნევი იყო. დღეს მხოლოდ აქა-იქ თუ გადაეყრები, ისიც ბაზრისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსში. ახლა მათი სამუშაო ადგილი ქუჩაა, სადაც ისინი სამართალდამცავებისაგან ფარულად ათასი წვრილმანით ვაჭრობენ. ყოჩაღი პოლიციისაგან ვითომცდა მალულად დგანან სმენადქვეითებული გოგოები ცირკთან, ფილარმონიასთან და კიდევ ბევრგან - მათი "სამსახურიც" ქუჩაში დგომაა, ოღონდ ისინი თავს სხეულით ვაჭრობით ირჩენენ. ვერ გეტყვით, სადამდე მიგვიყვანს პროსტიტუციაზე მხოლოდ გულისამაჩუყებელი ლაპარაკი, მაგრამ გული მიკვდება იმ უბედურ ქალებზე, ვიგინდარა კლიენტებს სიტყვასაც რომ ვერ უბრუნებენ.*





*ჟესტების ენა საერთაშორისო ენაცაა და, მცირეოდენი სხვაობის მიუხედავად, ყველა ყრუ პლანეტა დედამიწაზე ერთ ენაზე მეტყველებს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

## ერთი ნაბიჯი წინ, ორი - უკან

უნარშეზღუდული ადამიანების ყველაზე დიდ პრობლემა მათი დასაქმებაა, მაგრამ ვიდრე ისინი სრულწლოვანები გახდებიან, რაიმე პროფესია უნდა აირჩიონ. მახარებს, ბოლო დროს ოფიციალურად მაინც რომ აღარ არსებობს კომპოზიტი "ყრუ-მუნჯი" - მათ დღეს მხოლოდ ყრუებად მოიხსენიებენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინიც "ლაპარაკობენ", ოღონდ ჩვენთვის გაუგებარ ენაზე. სხვა უნარშეზღუდულებთან შედარებით, მათი ინტელექტუალური პოტენციალი არაფრით ჩამოუვარდება ჩვენსას, მაგრამ ასე იმ შემთხვევაში ხდება, თუ ყრუები სათანადო განათლებას მიიღებენ. სად და როგორ უნდა სწავლობდნენ სმენადაქვეითებული და ყრუ ბავშვები, ამ საკითხზე დღეს აზრთა სხვადასხვაობაა.

მათთვის მხოლოდ ორი სპეციალური სკოლა-ინტერნატია თბილისსა და ქუთაისში. სანამ საქართველოში აფხაზეთის პრობლემა არ იდგა, სმენადაქვეითებული და ყრუ ბავშვების სკოლა-ინტერნატები ცალცალკე მდებარეობდა. იქიდან მოყოლებული, რაც სმენადაქვეითებული ბავშვების სკოლაში ლტოლვილები ჩასახლდნენ, ორი სასწავლებელი ერთ ტერიტორიაზე მდებარეობს. ამგვარი სიახლოვე ერთნაირი სასწავლო პროგრამების არსებობას არ გულისხმობს, თუმცა საერთო ეზო ერთმანეთთან დაახლოების უმოკლესი გზაა. ამ ტიპის სხვა სასწავლებლებთან შედარებით თბილისის ინტერნატში საცხოვრებლად ნორმალური პირობებია შექმნილი (დირექტორი ლამარა სარჩიმელია), მაგრამ სწავლების მეთოდიკას რაც შეეხება, აქ უპირატესობას კვლავინდებურად დეფექტოლოგიის საბჭოური სკოლის პრინციპებს ანიჭებენ.

ტოტალიტარულ ქვეყანაში ყველა და ყველაფერი ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მათ შორის ბავშვებიც და... ცაციებს მარჯვენა ხელით აწერინებდნენ, ყრუებს კი ჩვეხებურად ლაპარაკს ასწავლიდნენ. არადა, ყრუს ვერბალური მეტყველების ათვისება ძალიან უჭირს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვეულებრივი სკოლებისაგან განსხვავებით აქ სასკოლო პროგრამის დაძლევას 13 წელს ანდომებენ. მაგრამ საბჭოთა სურდოლოგები (სურდოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანის ფსიქიკურ განვითარებას შეისწავლის) ამ კომპრომისზე მიდიოდნენ და ტუჩების მოძრაობით სმენადაქვეითებულ და ყრუ ბავშვებს ბოლოს და ბოლოს ლაპარაკს ასწავლიდნენ. ადრე ჟესტების გამოყენება კატეგორიულად იკრძალებოდა და მიზეზიც სახელდებოდა: ასე მეტყველება ტუჩებით მეტყველებასთან შედარებით ადვილი ასათვისებელია და, ბუნებრივია, ბავშვი იოლ გზას ირჩევს. იოლი გზა კი საბჭოთა პედაგოგიკის კორიფეებისთვის იმდენად მიუღებელი იყო, ისევ ტვინის ჭყლეტას ამჯობინებდნენ. ასე ალაპარაკებული ბავშვები ჩვეულებრივ ადამიანებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში ამყარებენ კონტაქტს, თუ მათ პირისპირ იმყოფებიან და ლაპარაკის დროს ტუჩების მოძრაობას აკვირდებიან. ეს მეთოდი დასავლეთშიც აპრობირებულია, მაგრამ იქ უპირატესობას მაინც ჟესტებით მეტყველებას ანიჭებენ. არათუ ანიჭებენ, ბევრგან კანონი ჟესტების ენის ცოდნას იმ მშობლებსაც ავალდებულებს, სიყრუეს რომ არ უჩივიან. სწორედ იმიტომ, რომ კომუნიკაციის ასეთი ფორმა ყრუებისთვის უფრო მისაღებია. შესაბამისად, ვინც ასე მეტყველებს, მათი ინტელექტუალური მაჩვენებელიც მაღალია. ისინი ჯერ ჟესტებით მეტყველებას სწავლობენ, ანუ ჩვენებურად წერა-კითხვას "აი იათი" იწყებენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეუფლებიან "უცხო ენას" და ტუჩების მოძრაობით ვერბალურ მეტყველებას ითვისებენ. უცხო ენა თუ გეცოდინება, ხომ კარგი, თუ არადა, შენიანს მაინც გააგებინებ.

დღეს ჟესტების ენას უკვე საქართველოს ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატშიც ასწავლიან (სხვათა შორის, ამ სახელმძღვანელოს ავტორი ლამარა სარჩიმელია გახლავთ), ოღონდ, რატომღაც, მაღალ კლასებში. ისევ ჩვეულებრივ სკოლებთან თუ გავავლებთ პარალელს, ისე ხდება, რომ ბავშვს მათემატიკის სწავლება პირველ კლასში ტრიგონომეტრიით უნდა დავაწყებინოთ, არითმეტიკა კი სადღაც მეათე-მეთერთმეტე წელს ვასწავლოთ. არადა, ბავშვებმა, რომლებსაც ყრუ მშობლები ჰყავთ, ჟესტების ენა იმთავითვე იციან და შესვენებებზე ერთმანეთს ხელებით ესაუბრებიან. პრობლემები უმთავრესად იმ მოსწავლეებთან იქმნება, რომელთა მშობლებსაც სმენის პრობლემა არ უდგათ და ბავშვის სიყრუე გენეტიკური ფაქტორით არაა გამოწვეული. ამ კატეგორიის მშობელს ურჩევნია, საკუთარმა შვილმა შეფერხებით ილაპარაკოს (შეფერხებასაც გააჩნია!), ოღონდაც ხელები არ გამოიყენოს. საბოლოოდ კი ყველაფერი იმით მთავრდება, რომ მშობლების კომპლექსების გამო ბავშვი კიდევ უფრო იჩაგრება და მისნაირთანაც უჭირს საერთო ენის გამონახვა. იდეალურია, როცა ყრუს ჟესტებით ლაპარაკიც შეუძლია და ტუჩების მოძრაობითაც გაგებინებს სათქმელს. საკითხავია, ამ ორი მეთოდიდან რომელს ვამჯობინებთ. ჯერჯერობით კი ფაქტია: საქართველოში სმენადაქვეითებული და ყრუ მოზარდები საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ამა თუ იმ ხელობას ითვისებენ და იშვიათად აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. ყველაზე პრესტიჟულად კბილის ტექნიკოსობა ითვლება. მომკალით და, არ მესმის, რატომ ვერ დადგება მათგან კარგი მათემატიკოსი ან ისტორიკოსი? დადგება კიდეც, ოღონდ არა საქართველოში. ჩვენთან კი სიდუხჭირის გამო მშობლებს სავსებით ნორმალური ბავშვები უნარშეზღუდულთა ინტერნატებში მიჰყავთ. მოდი მერე და პასუხი აგებინე დირექტორს - რატომ შეიფარა ასეთი ბავშვი და ისევ ქუჩაში არ უკრა თავი.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროში აქამდე სისტემის რეფორმირებაზე მარტო ლაპარაკობდნენ, ისიც მხოლოდ ჩინოვნიკებისთვის გასაგებ ენაზე, ინტეგრირებული სწავლების დანერგვის შემთხვევაში უნარშეზღუდული ბავშვების ჩვეულებრივ სკოლებში ერთბაშად გაშვებას ჩვენნაირ ქვეყანაშიც არ ჩქარობენ. ყრუებთან დაკავშირებით ასეთ ფაქტს იხსენებენ: თბილისის ერთ-ერთ "ელიტარულ" სკოლაში ორი ყრუ ბავშვი სურდოლოგთან ერთად მიუჯდა სკოლის მერხს და ... სასწავლო პროცესი ფაქტიურად ჩაიშალა - დანარჩენი ბავშვების ყურადღება ამათკენ იყო მიმართული. სურდოლოგის ნაცვლად ასეთ ბავშს თარჯიმანს თუ მივუჩენთ, სურათი არსებითად არ შეიცვლება. დაკვირვებიხართ, ალბათ, როცა ქუჩაში ყრუები ჟესტებით ლაპარაკობენ, ისინი ყურადღების ცენტრში ექცევიან და ჩვენც, როგორც წესი, პირდაფჩენილები მივჩერებივართ. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე (ნუ გაგიკვირდებათ, ეს პერიოდი რამდენიმე ათეულ წლიანდაც თუ გასტანს) სახელმწიფომ პირველ რიგში უნარშეზღუდული ბავშვების სკოლების გაძლიერებაზე და იქ თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევების დანერგვაზე უნდა იზრუნოს.

როგორც სხვაგან, უნარშეზღუდული ბავშვების პრობლემებს არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია შეისწავლის და ყოველი მათგანი განსხვავებული ტაქტიკით მოქმედებს: ვილაც მშობლებს უტარებს ტრენინგებს, ვილაც - პედაგოგებს, ვილაც კიდევ - ბავშვებს. მიზეზი გასაგებია: ისინი უმთავრესად უცხოურ გრანტებზე არიან დამოკიდებული და, შესაბამისად, ერთმანეთთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინირებულად მოქმედების არც შესაძლებლობა და, ალბათ, არც სურვილი გააჩნიათ. თუ სპონტანურ ღონისძიებებს არ მივიღებთ სათვალავში, მაგალითად ინვალიდთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ აქციებს, უნარშეზღუდული ბავშვების სოციალიზაციის პრობლემის გადაჭრა თითქმის შეუძლებელია და ისინიც ჩვეულებრივ ინვალიდებად რჩებიან.

## ამათი "პიონერთა სასახლე"

სკოლა-ინტერნატისაგან განსხვავებით, "საქართველოს ყრუთა კავშირში" სხვაგვარად ფიქრობენ და სხვა ენაზეც მეტყველებენ. სწორედ იმიტომ, რომ ჩემს მშობლებს პიონერთა სასახლეში არ დავყავდით და ჩემი კლასელებივით არც ერთ წრეში არ ვიყავი გაერთიანებული, კარგად მესმის, რას ნიშნავს ამ ადამიანებისთვის თვითშემოქმედება. ჩემნაირებისთვის შეიძლება ეს საბჭოური ატავიზმია, მათთვის კი ლამის ერთადერთი გზაა ჩვენთან დასაახლოვებლად. რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით ერთი სიუჟეტი გადაიცა - სმენადაქვეითებული ადამიანები ცეკვავდნენ და მერე როგორ! მე კი მიულოდნელად სიმღერის გაკვეთილზე აღმოვჩნდი. არ მეგონა, თუ ოდესმე ლელა წურწუმიას ნაძღერი გულს ამიჩუყებდა და ამატირებდა, მაგრამ მერწმუნეთ, ასეთ სიტუაციაში ნერვების მოთოკვა თითქმის შეუძლებელია. ისინი კი მთელი გრძნობით მღეროდნენ, ოღონდ ხმებს არ გამოსცემდნენ და აუდიტორიას, მათსავით სმენადაქვეითებულებს და ყრუებს, ჟესტების საშუალებით სიმღერის ტექსტს ზედმიწევნით ზუსტად აგებინებდნენ. მეც ვიჯექი გაბითურებული და აღარ ვიცოდი, ვინ შემცოდებოდა, ფონოგრამაზე გაწაფული ჩვენი ვარსკვლავები თუ საკუთარი თავი, "მუნჯის ენის" არაფერი რომ არ გამეგებოდა. ამგვარი კონცერტის შემდეგ უკვე ჩვეულებრივად აღვიქვი, რომ ისინი თურმე თეატრალურ წარმოდგენებსაც მართავენ, ოღონდ ეგაა, მათი პრემიერები იშვიათად ხვდება ჩვენი თვალთახედვის არეში. ვისაც სიმღერის, ცეკვის ან მასხიობობის სურვილი არა აქვს, არც ისინი იჩაგრებიან - "მუშტაიდის" გვერდით მდებარე ყრუთა საზოგადოებაში დადიან და დროს ჩვეულებრივ ატარებენ: ლაზღანდარობენ, ჭორაობენ, კამათობენ, ზოგჯერ ისე ცხარედ, შემთხვევით გამვლელს შეიძლება ერთი გემრიელი მუჯლუგუნიც მოგხვდეს... მერე წაიხემსებენ, თარჯიმნების დახმარებით ტელევიზორს უყურებენ, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ და უხალისოდ იშლებიან მომავალ შეხვედრამდე. მორწმუნე ნაწილი კვირაობით ნაძალადევის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში დადის და რახან გალობა ლიტურგიის განუყოფელი ნაწილია, მამა ზაზა (კერვალიძე) მათ ჟესტების მეშვეობით გალობასაც ასწავლის.

"საქართველოს ყრუთა საზოგადოებაში" კავშირი გარე სამყაროსთან თარჯიმნების საშუალებით მყარდება. ჯერჯერობით საქმეს მხოლოდ ორი თარჯიმნით აუდიან, თუმცა მათ იმდენად გადატვირთული გრაფიკი აქვთ, მთელი დღის განმავლობაში ხან სად უხდებათ სინქრინულად თარგმნა, ხან სად. განსაკუთრებით ძნელია ურთიერთობა სამართალდამცავ სტრუქტურებთან. არადა, ზოგიერთ პოლიციელს ყრუ რომ ჩაუგდო ხელში, იცოცხლე, აალაპარაკებს.

ურთიერთობა ყრუთა კავშირსა და სკოლა-ინტერნატს შორის ცივი ომის პერიოდს მაგონებს: ერთმანეთს საჯაროდ არ აკრიტიკებენ, თუმცა მათ შორის გაუცხოება თვალშისაცემია. კერძო საუბრებიდან ირკვევა, რა არ მოსწონთ კავშირში და რა - სკოლაში. სკოლაში ძალიან აღიზიანებთ, რომ კავშირი ნაკლებად ზრუნავს ამ ბავშვების დასაქმებაზე და ამის სანაცვლოდ სკოლის ფუნქციებში იჭრება. კერძოდ, ასწავლიან იგივეს (ცეკვას, სიმღერას, ქარგვას, ხატვას და ა.შ.), რასაც ეს ბავშვები სკოლაში ისედაც სწავლობენ. კავშირში კი თავის მხრივ აღნიშნავენ, რომ ყრუ ბავშვთა სკოლადამთავრებულებს წესიერად წერა-კითხვაც არ შეუძლიათ და ჟესტიკულაციას რიგიანად ვერ იყენებენ. სხვათა შორის, კავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ამირან ბატატუნაშვილი ამავე სკოლის აღზრდილია და თავის დროზე მისი მშობლებიც კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ, ჟესტების ენა შეესწავლა. ასე დაამთავრა სამხატვრო აკადემია, მაგრამ ხელებით ლაპარაკი მაინც ისწავლა. ამიტომაც აცხადებს სრული პასუხისმგებლობით, რომ სახლში ნასწავლი ჟესტების ენა "ჟესტების ლიტერატუტული ენისაგან" საკმაოდ განსხვავდება და გარე სამყაროსთან კონტაქტის დასამყარებლად მაინცდამაინც არ გამოდგება. არადა, ჟესტების ენა საერთაშორისო ენაცაა და, მცირეოდენი სხვაობის მიუხედავად, ყველა ყრუ პლანეტა დედამიწაზე ერთ ენაზე მეტყველებს.

ყრუების დასაქმება იმდენად მნიშვნელოვანია, თუ არა სახელმწიფო ნება, მას ვერც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია გაართმევს თავს. "საქართველოს ყრუთა კავშირი" იმ "ყრუ-მუნჯთა საზოგადოების" მემკვიდრეა, რომელიც 1926 წელს დაარსდა და დღევანდელი გადმოსახედიდან ერთ-ერთი პირველი "ენჯეო" იყო საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ეს საზოგადოება "ყრუთა გერთიანებული ერების ორგანიზაციის" წევრიაცაა, შენობა, სადაც იგი მდებარეობს, ფინანსურ კრიზისზე მეტყველებს. წინა თავმჯდომარის, მერაბ სიორიძის დროს 246 000 დოლარი უკვალოდ გაქრა, კავშირის ბალანსზე არსებული 14 საწარმო კი გაჩერებულია და ამ საქმეს არც თუ კარგი პირი უჩანს. კანონი საზოგადოებას საწარმოების გაყიდვას არ უკრძალავს. შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ნაწილის გაყიდვით დანარჩენის ამუშავება არც ისე ძნელი იქნება. მაგრამ კანონი სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის არანაირ შეღავათს არ ითვალისწინებს და, აქედან გამომდინარე, ინვესტორის მოძიება თითქმის შეუძლებელია. ჭირს ყრუების სხვაგან დასაქმებაც, რადგან ამ შემთხვევაში კერძო პირი დასაქმების საკომპენსაციოდ რაიმე შეღავათზე ვერც იოცნებებს. ახლა მითხარით, თუ სახელმწიფო გარკვეულ კომპრომისზე არ წავა (საერთოდაც თუ შეიძლება უნარშეზღუდული ადამიანების დახმარებას კომპრომისი ვუწოდოთ), ბიზნესმენს რა რჯის, სამუშაოდ მაინცდამაინც ყრუ აიყვანოს და ცხოვრება გაირთულოს? "საქართველოს ყრუთა კავშირში" დიდი იმედი აქვთ, რომ თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა მათთვის უფასო იქნება. იმ 5 000 რეგისტრირებული ყრუდან განა რამდენი ცხოვრობს თბილისში, რომ ეს პრობლემა წლობით მოუგვარებელია? სამსახურის შოვნის შემთხვევაშიც ანაზღაურება იმდენი არ არის, ხელფასის ნახევარი გზას ეყოს.

მდგომარეობას ამძიმებს ინფორმაციული ვაკუუმიც, რომელშიც ამ კატეგორიის ადამიანებს ვამყოფებთ. არც ერთი ტელეკომპანია, სახელმწიფო თუ კერძო, სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა ინტერესებს არ ითვალისწინებს. ისინი მხოლოდ არჩევნების დროს აგონდებათ, როცა ელექტორატის "წონას" სმენა არ განსაზღვრავს. ტექნიკური თვალსაზრისით სინქრონული თარგმანი არც ისე ძნელი შესასრულებელია, მით უფრო, თუ ამგვარი თარჯიმნების ანაზღაურებას საერთაშორისო ორგანიზაციები კისრულობენ. ამისდა მიუხედავად, "ჩარჩოში" ჯერაც მხოლოდ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული პოლიტიკოსები ჩნდებიან. ერთადერთი შეღავათი წვრილი მინაწერებია საინფორმაციო გამოშვებების მსვლელობისას და პარასკეობით სუბტიტრებიანი ფილმები "რუსთავი-2" ზე. ესაა და ეს. არადა, ასე მგონია, ეს ადამიანები, თუნდაც ცხინვალში, გაცილებით იოლად შეაღწევენ, ვიდრე შოუ-ბოზნესის ვარსკვლავები, ექიმები ან სპორტსმენები. თუ სახელმწიფოს მხრიდან ამის სურვილი გაჩნდება, ეს პრობლემა ისევე სწრაფად გადაიჭრება, როგორადაც ოსური "მოამბის" შემთხვევაში მოხდა. სხვათა შორის, დღეს ოსებსაც აღარ ესმით ჩვენი, მაგრამ სახელმწიფო ამ რეალობასთან შეგუებას არ აპირებს.

# ინფორმაციამ პოლიციელებისგან გაჟონა

ზვიად რუაძე
*კახეთი*

*შსს-ს მიერ დაგეგმილმა სპეცოპერაციებმა კახეთის რეგიონშიც გადაინაცვლა. თუმცა, ჩატარებული სამი ღონისძიებიდან წარმატებული მხოლოდ ერთი აღმოჩნდა, რადგან სპეცოპერაციების შესახებ ინფორმაცია "გაიყიდა". ამ ფაქტმა კახეთის სამხარეო პოლიციის ახალი ხელმძღვანელი თემურ ანჯაფარიძე ძალზე გააბრაზა და იმ ძალოვანებს, ვინც სპეცოპერაციის თაობაზე ინფორმაცია გასცა, მკაცრად დასჯას უპირებს. სპეცოპერაციები საგარეჯოში და თელავის რაიონებში მაინც ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობას კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილიც იღებდა.*





*მიუხედავად იმისა, რომ ძალოვანებისთვის გუშინდელი სპეცოპერაციები ნაკლებ წარმატებული იყო, მხარის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი მათი მუშაობით მაინც კმაყოფილი დარჩა.*

მას შემდეგ, რაც კახეთის სამხარეო პოლიციას სათავეში თემურ ანჯაფარიძე ჩაუდგა, რეგიონში ნარკობარონების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. მათი პირველი სამიზნე საგარეჯოს რაიონის აზერბაიჯანული ეროვნებით დასახლებული სოფლები აღმოჩნდა. სპეცოპერაცია გუშინ, გამთენიისას, დილის ექვს საათზე სოფელ იორმუღანლოდან დაიწყო, რადგან, როგორც ძალოვანები აცხადებენ, სწორედ ამ დასახლებაშია ნარკომომხმარებელთა და რეალიზატორთა ყველაზე დიდი მაჩვენებელი: **"ამ სოფელში ნარკოტიკების რეალიზაციას ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების დროს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ პრობლემით, სამწუხაროდ, არავინ ინტერესდებოდა. ამჯერად კი, სიტყვას ვიძლევი, ასეთ უმსგავსო ქმედებებს რეგიონში ბოლო მოეღება,"** - აცხადებს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თემურ ანჯაფარიძე.

მიუხედავად იმისა, რომ სპეცოპერაციაში სპეცრაზმელთა გაძლიერებული შემადგენლობა მონაწილეობდა, ნარკობარონთა დაკავება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან საგარეჯოს პოლიციიდან ინფორმაციამ გაჟონა. ალიევების ოჯახში შესულ ძალოვანებს სახლში მხოლოდ ქალბატონები დაუხვდათ. დანაშაულში ეჭვმიტანილმა 24 წლის ალჰირ ალიევმა, როგორც გაირკვა, მიმალვა გუშინწინ საღამოს მოახერხა: **"ჩვენ ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ. სათანადოდ დაისჯებიან ის ადამიანები, რომლებმაც ამ ოპერაციის შესახებ ინფორმაცია ჩვენი უწყებიდან გაიტანეს,"** - განაცხადა ანჯაფარიძემ. მიუხედავად დამნაშავის მიმალვისა, პოლიციელებმა ალიევების საცხოვრებელი ბინა გაჩხრიკეს, საიდანაც ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ ათგრამიან პაკეტებად დაფასოებული შვიდი პაკეტი ჰეროინი, ეზოში მდგარი ასობით ძირი მარიხუანა კი სპეცოპერაციის მსვლელობისას განადგურდა: **"ჩვენ გაქცეული ალჰევ ალიევის მიმართ ძებნა უკვე გამოვაცხადეთ და მის მიმართ მეტად მკაცრ ღონისძიებებს გავატარებთ. იგი სერიოზული დამნაშავეა. მან, საგარეჯოს გარდა, ნარკოტიკებით თბილისიც მოწამლა. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე ნასამართლევი არ ყოფილა,"** - ირწმუნება საგარეჯოს პოლიციის ახლად დანიშნული შეფი რამაზ ხატიაშვილი.

წარუმატებელი აღმოჩნდა წინასწარ დაგეგმილი სპეცოპერაცია თელავის რაიონშიც. დილის შვიდ საათზე, თელავში, ნარკობარონად ცნობილ ალიკა ხიზანიშვილის დასაკავებლად მის საცხოვრებელ სახლში მისულ თელავის პოლიციას ხიზანიშვილის სახლშიც მხოლოდ ოჯახის დიასახლისები და ბავშვები დახვდნენ. ხიზანიშვილთან ერთად პოლიცია მისი სიძის, გიორგი ბალარჯიშვილის დაკავებასაც გეგმავდა: **"აქ საქმე მარტო ამ ორ პიროვნებასთან არ გვაქვს. უნდა ითქვას, რომ მთელი ოჯახი ამ "ბიზნესში" იყო ჩართული. მართალია, ისინი ჩვენ ვერ დავაკავეთ, მაგრამ მათ მიმართ ძებნა გამოცხადდება,"** - გვითხრა თელავის პოლიციის უფროსმა ბაადურ გულიაშვილმა. ჩხრეკის შედეგად ხიზანიშვილის ბინიდან ამოღებულია "ფ-1" სისტემის ხელყუმბარა და ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის დასახელებისგან პოლიციის უფროსმა თავი შეიკავა, გარდა ამისა, როგორც გულიაშვილმა განაცხადა, **"ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა რაოდენობის ნარკოტიკია აღმოჩენილი"**.

თუმცა, კახელ ძალოვანებს აზერბაიჯანულ სოფელ თულარში გაუმართლათ. აქ მათ ყაჩაღობისთვის და მკვლელობისთვის მრავალჯერ ნასამართლევ, კრიმინალურ ავტორიტეტს იბრაგიმ აჰმედოვს ორი "აკმ"-ის სისტემის ავტომატი ვაზნებთან და ერთ მჭიდთან ერთად, ხელყუმბარა და ორი კოლოფი ასაფეთქებელი ნივთიერება "ტროტილი" აღმოუჩინეს. იბრაგიმ აჰმედოვთან ერთად, პოლიციამ მისი ბოლნისელი სტუმარიც დააკავა. როგორც აჰმედოვი ჟურნალისტებთან აცხადებდა, მას სახლში მხოლოდ ერთ ავტომატი ჰქონდა, დანარჩენი კი პოლიციამ ჩაუდო: **"მე ეს იარაღი "მხედრიონის" დროს ვიყიდე, რადგან მაშინ ორჯერ დამესხნენ თავს,"** - ასე იმართლებდა თავს აჰმედოვი.

მიუხედავად იმისა, რომ ძალოვანებისთვის გუშინდელი სპეცოპერაციები ნაკლებ წარმატებული იყო, მხარის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი მათი მუშაობით მაინც კმაყოფილი დარჩა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, კახეთის სამხარეო პოლიცია სპეც-ოპერაციების ჩატარებას მომავალშიც გეგმავს.

# დავით მირცხულავას სასამართლოში მოუწევს თავის მართლება

ცოტა ხანში უზენაესი სასამართლო ვარდების რევოლუციის შემდეგ დაწყებული ხმაურიანი დაჭერების საქმეების განხილვას დაიწყებს. სისხლის სამართლის პირველი საქმე, რომელიც ამ დღეებში გადაიგზავნება სასამართლოში და რომლის განხილვაც, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებშივე დაიწყება, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას ბრალდების რამდენიმეტომიანი საქმეა. თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენება - ასეთი გახლავთ "სემეკის" ყოფილი თავმჯდომარის ბრალდებები. სწორედ დავით მირცხულავას დაკითხვაზე დაბარებით დაიწყო ყოფილ მაღალჩინოსანთა დაკავება-დაპატიმრებების სერიალი. სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის საქმის გამოძიება პროკურატურამ უკვე დაასრულა, ბრალდებულ მირცხულავას ამჯერად უკვე სასამართლო დარბაზში, განსასჯელის სტატუსით მოუწევს თავის მართლება. თუმცა, მანამდე, საქმის შეწყვეტის მოთხოვნით, სასამართლოში შუამდგომლობას ბრალდებულის ადვოკატი კიდევ ერთხელ შეიტანს.

ორი დღის წინ, დავით მირცხულავა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან თბილისის მეშვიდე საპყრობილეში გადაიყვანეს.

იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ინფორმაციით, მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. იგი მკურნალობას საპყრობილეში გააგრძელებს. მირცხულავას ადვოკატის ეკა ბესელიას თქმით კი, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და მისი საავადმყოფოდან გაყვანა არ შეიძლებოდა. ადვოკატმა დაცვის ქვეშ მყოფის ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან საპყრობილეში გადაყვანის ფაქტი სტრასბურგის სასამართლოს უკვე აცნობა. სხვათა შორის, სტრასბურგის სასამართლომ ცოტა ხნის წინ წარმოებაში მიიღო ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის საქმე, სახელწოდებით "მირცხულავა საქართველოს წინააღმდეგ".



ბესო გულაშვილის ფოტო

*სასწრაფო დახმარების ბრიგადები დავით მირცხულავასთვის მე-7 საპყრობილეში გუშინ რამდენიმეჯერ გამოიძახეს.*

არადა, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა გუშინ საღამოს უკიდურესად გაუარესდა, ამის თაობაზე ინფორმაცია "კარდიოექსპრესის" იმ ექიმებმა გაავრცელეს, რომლებიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 საპყრობილეში სპეცგამოძახებით მივიდნენ. ექიმების ინფორმაციით, დავით მირცხულავას ბოლო 3 დღის განმავლობაში მწვავე ფორმის სტენოკარდიული შეტევა უმეორდება და აუცილებელია მისი სპეციალურ კლინიკაში გადაყვანა. დავით მირცხულავას პირადი ექიმის, კარდიოლოგ დალი ტრაპაიძის განცხადებით, გადაწყვეტილია, რომ საქმეში ჩაერთოს ჯანმრთელობისა და იუსტიციის სამინისტრო, ანუ ჩატარდეს საექსპერტო ტიპის კონსილიუმი, დადგინდეს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა და, შესაბამისად, გადაწყდეს, თუ რა უფრო მიზანშეწონილია დავით მირცხულავასთვის - საპყრობილეში დარჩენა თუ შესაბამის კლინიკაში მისი გადაყვანა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადები დავით მირცხულავასთვის მე-7 საპყრობილეში გუშინ რამდენიმეჯერ გამოიძახეს.

ყოფილი მაღალჩინოსნის ადვოკატი მისი ციხის საავადმყოფოდან მეშვიდე საპყრობილეში გადაყვანის ფაქტს პროკურატურის მიერ ბრალდებულისადმი შურისძიებად აფასებს. **"მირცხულავას საპყრობილეში გადაყვანის მოტივზე სამართალდამცველებისაგან ვერანაირი განმარტება ვერ მივიღეთ. საქმის გამოძიების პროცესში პროკურატურამ მირცხულავასთან მოლაპარაკება და სადავო თანხის გადახდაზე დათანხმება ვერ შეძლო. შესაძლოა, გამოძიებამ მირცხულავაზე სწორედ ამ მოტივითაც იძია შური"**, - აცხადებს ადვოკატი. მისივე თქმით, დაცვის მხარეს საკმაოდ მყარი არგუმენტები აქვს და მირცხულავა სასამართლოზე საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას აუცილებლად შეძლებს.

ერთი სიტყვით, ცოტა ხანში უზენაესი სასამართლო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევა. შეძლებს თუ არა განსასჯელი დავით მირცხულავა სასამართლო პროცესზე გააბათილოს გამოძიების ბრალდებები, წინასწარ ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, პროკურატურაში დარწმუნებულები არიან, რომ მირცხულავას წინააღმდეგ მისი დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები გააჩნიათ, რომლებიც სასამართლო პროცესზე კიდევ უფრო გამყარდება.

*24 საათი*

# ნუგზარ შევარდნაძემ სახელმწიფოს 5 მლნ დოლარის ღირებულების ქონება დაუბრუნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა პირობა შეასრულა და ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსის ლევან კენჭაძისა და აჭარის უშიშროების ყოფილი მინისტრის მოადგილის გოგი კუპრეიშვილის შემდეგ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ძმისშვილის ნუგზარ შევარდნაძის ქონების კონფისკაციაც განხორციელდა.

თუმცა, ედუარდ შევარდნაძის ძმისშვილმა ნუგზარ შევარდნაძემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - თბილისში, გორგასლის N16-ში მდებარე 16-სართულიანი შენობა, სადაც შევარდნაძის ფირმა "ივერია პლუსის"-ის ოფისი იყო, სახელმწიფოს ნებაყოფლობით ჩააბარა. სახელმწიფოს გადაეცა, ასევე, ოფისის სიხლოვეს მდებარე მიწის ნაკვეთიც.

გენერალური პროკურორის მოადგილის კახა კობერიძისა და გენერალური პროკურატურის უშიშროებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ჩაბარებული ქონების საბაზრო ფასი 5 მილიონ დოლარს აღწევს. მათივე ინფორმაციით, პროკურატურაში ნუგზარ შევარდნაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული. თუმცა, პროკურორები არ აკონკრეტებენ, ნუგზარ შევარდნაძის მიმართ რაიმე სამართლებრივი პრეტენზიები ექნებათ თუ არა.

კახა კობერიძემ და გიორგი ღვინიაშვილმა უკანონო, დაუსაბუთებელი ქონების მფლობელებს ახალმიღებული კანონი (რომლის მიხედვითაც, უკანონო ქონება კონფისკაციას ექვემდებარება) შეახსენეს და თანაც, ნუგზარ შევარდნაძის მსგავსად, უკანონო ქონების ნებაყოფლობით დაბრუნებისკენ მოწოდებაც გააკეთეს.

*24 საათი*

# ფინანსური პოლიცია "საქნავთობით" დაინტერესდა

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიული სამმართველო "საქნავთობში" განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისთვის თავის არიდების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას გეგმავს.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს განცხადებით, "საქნავთობი" 100 პროცენტით სახელმწიფოს საკუთრებაა და კანონის თანახმად, ერთპიროვნულად განკარგავს საქართველოში ნავთობისა და გაზის მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცესებს. გარდა ამისა, საქართველოში შემოსულ უცხოურ კომპანიებს "საქნავთობთან" თანამშრომლობის გარეშე, ამ სფეროში მოღვაწეობის უფლება არ აქვთ. შესაბამისად, სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდებით მიღებასაც კომპანია აკონტროლებს.

"საქნავთობში" 2003-2004 წლების რევიზია ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ კომპანიამ ერთ-ერთი უცხოური ორგანიზაცია დაბეგვრას გადაარჩინა, რის გამოც, "საქნავთობს" ბიუჯეტის სასარგებლოდ 30 ათასი ლარი დაერიცხა. "საქნავთობის" წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შესაბამისი მუხლით აღიძვრება.

**"კომპანიას 1973 წლიდან "ვარდების რევოლუციამდე" რეზო თევზაძე ხელმძღვანელობდა, თუმცა ამ კონკრეტულ ფაქტზე უშუალო დამნაშავე ჯერ არ გამოკვეთილა. კონკრეტული პირის ბრალეულობა გამოძიების პროცესში გამოიკვეთება,"** - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

*24 საათი*

# არასამთავრობო ორგანიზაციები იუსტიციის მინისტრს ძველი უფლებების აღდგენას სთხოვენ

ადამიანის უფლებათა დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციები იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის მიერ გამოცემულ ბრძანებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, არასამთავრობო ორგანიზაციებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლა და მონიტორინგის ჩატარება ეკრძალებათ. "ადამიანის უფლებებისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის" პრეზიდენტის გიორგი ლაღიძის განცხადებით, გიორგი პაპუაშვილმა იუსტიციის ყოფილი მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის ბრძანების საფუძველზე, 2000 წელს დაფუძნებული საზოგადოებრივი საბჭო, რომლის თავმჯდომარეც გიორგი პაპუაშვილი იყო, გააუქმა. არადა, საბჭოს შემადგენლობაში შესული არასამთავრობო ორგანიზაციები სასჯელაღსრულების დეპარტამენტებში მონიტორინგს ახორციელებდნენ და იქ არსებულ ვითარებას საფუძვლიანად სწავლობდნენ.

ლაღიძის თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ძალზე გახშირდა პატიმართა უფლებების დარღვევა და მათზე ფიზიკური ზეწოლის ფაქტები.

არასამთავრობოები იუსტიციის მინისტრს გიორგი პაპუაშვილს თხოვნით მიმართავენ, გამოიჩინოს კეთილი ნება და აღადგინოს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საზოგადოებრივი საბჭო, წინააღმდეგ შემთხვევაში არასამთავრობო სექტორი საპროტესტო აქციების მოწყობით იმუქრება.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** უკრაინული თევზსაჭერი გემი "ნიარა", რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა 2004 წლის თებერვალში ოჩამჩირესთან დააკავეს, ფოთში გამართულ აუქციონზე უკრაინის მოქალაქე მაქსიმ მურავლენკომ 140 ათას ლარად შეიძინა. მურავლენკო, არაოფიციალურად, აღნიშნული გემის მეპატრონედ ითვლება და აუქციონზე, მის გარდა, განაცხადი არავის წარუდგენია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბოლოოდ გაუქმდა სატრანსპორტო საშუალებების მინდობილობები. სხვა პირისათვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალების პასპორტის გადაცემით. იმ პირს კი, ვინც სატრანსპორტო საშუალებას მართავს, მართვის მოწმობა უნდა ჰქონდეს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს სასამართლომ საგზაო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის ბორის სარალიძისათვის აღმკვეთი ღონისძიების, პატიმრობის შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილება გამოიტანა და სამართალდამცველებმა სარალიძეზე ძებნა გამოაცხადეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი, ქობულეთის სოფელ სახალვაშოში მცხოვრები, 27 წლის ვინმე მიქელაძე დააკავეს. შს სამინისტრს ცნობით, მიქელაძემ 14 მაისს მოტყუებით, თითქოსდა სამკურნალოდ, ბათუმიდან სარფის საბაჟოს გავლით თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბულში გადაიყვანა ქობულეთის რაიონის დაბა ოჩხამურში მცხოვრები, 24 წლის აბულაძე და უცნობ პიროვნებას მიჰყიდა. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოსამართლო სწავლების ცენტრი სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით, 26-27 ივნისს ქობულეთში მოსამართლეებისთვის სემინარს გამართავს. სემინარში მონაწილეობას 20 მოსამართლე მიიღებს. შეხვედრას უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო გვენეტაძე და საოლქო სასამართლოს მოსამართლე ზაზა მეიშვილი წარუძღვებიან. ღონისძიებაზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცვლილებებს და დამატებებს განიხილავენ. სემინარის ფინანსურ მხარდაჭერას "მსოფლიო ბანკი" უზრუნველყოფს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** უკვე ერთი კვირაა, რაც რუსთავის პოლიციის უფროსის პოსტზე დავით ცირეკიძის დანიშვნის თაობაზე ბრძანება დაიწერა, თუმცა შს მინისტრს ბრძანებაზე ხელი ჯერ არ მოუწერია. მანამდე კი რუსთავის პოლიციის უფროსის მოვალეობას კვლავ ყოფილი უფროსი რამაზ ელოშვილი ასრულებს. დავით ცირეკიძის ამ პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი ინფორმაცია გავრცელდა, თუმცა ქვემო ქართლის პოლიციის უფროსის განცხადებით, დავით ცირეკიძის დანიშვნის ბრძანებას მოკლე ხანში მოეწერება ხელი. **ინტერ-პრესი**

# ართქმა უფრო დიდი დანაშაულია

*მის უწმიდესობას და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის თავმჯდომარეს ილია II-ს*

*საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრის, საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარის, ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოს გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) მიმართვა*

გვაკურთხეთ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, ნება მომეცით, მოგახსენოთ შემდეგი: მიმდინარე წლის 26 აპრილს მოგართვით ჩემი წერილი, რომელშიც გამოვთქვამდი წუხილს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში და მის ირგვლივ არსებული პრობლემების გამო და გიზიარებდით ჩემეულ ხედვას მათი მოგვარების შესახებ. და რადგან აღნიშნულ წერილში შევეხე ეკლესიის ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს, ვიმედოვნებდი, რომ დაინტერესდებოდით ამით, მაგრამ ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო, ეს ასე არ მოხდა და ვფიქრობ რა, რომ ამის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნული წერილის დაკარგვა ან სხვა რამ გაუგებრობა, განმეორებით მოგმართავთ და ამჯერად ვეცდები, უფრო მკაფიოდ და ნაკლები სენტიმენტებით მოგახსენოთ იმ პრობლემათა შესახებ, რომელთა შორიდან ყურება და თვითდინებაზე მიშვება მოიტანს გამოუსწორებელ შედეგს.

ყოველგვარი ზომიერების ზღვარს გადააჭარბა იმ მოვლენამ, რომ წმიდა საეკლესიო და ეკლესიოლოგიური საკითხები საჯარო მსჯელობის საგანი გახდა და ნაცვლად იმისა, რომ თვით ეკლესიის წიაღში გაიმართოს მსჯელობა, მათი განხილვა ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. კიდევ არა უშავს, ეს რომ მხოლოდ განხილვა იყოს; აქ უკვე ადგილი აქვს შეურაცხყოფის ისეთ უკიდურეს ფორმებს, როცა განსხვავებული აზრის გამო, თვით წმიდა სინოდის წევრებსაც კი "იუდად" მოიხსენებენ და ეს კეთდება ჩვენი ეკლესიის მრევლის სახელით. ნაკლებსავარაუდოა, რომ ასეთმა გზამ პრობლემათა მოგვარება-გადაწყვეტას შეუწყოს ხელი, მაგრამ სამწუხაროდ საზოგადოების პოლარიზებასა და უკვე არსებული დაპირისპირების გამწვავებას კი აშკარად ხელს უწყობს; შექმნილი ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხსენებულ მოვლენას გააჩნია არა მხოლოდ და არა იმდენად სუბიექტური მიზეზები, რამდენადაც ობიექტურმა რეალობამ წარმოშვა იგი. არსებულ მიზეზთა შორის დასავახელებ მხოლოდ ორს:

ა) დაგროვილი შეკითხვები (საკითხები), რომლებიც ეკლესიის წინაშე დგას და ითხოვს წმიდა სინოდისაგან - პასუხს ნათელს, ერთაზროვანს და მარტივს.

ბ) რეაგირების გარეშე დატოვებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთ წევრთა (მათ შორის სასულიეროთაც) ყოვლად მიუღებელი და დანაშაულებრივიც კი, ქმედებები, რომლებიც პროგრესირებს და წახალისებულნი იმით, რომ ისინი ვერ ან არ შეამჩნიეს, მათ აპატიეს ან დაუყვავეს და მოერიდნენ იმ მოტივით, რომ "რამე უარესი არ ჩაიდინონ", თავგასულობაში გადადის, რაც ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევს საზოგადოებაში.

თქვენო უწმიდესობავ, არსებითად მოგახსენებთ შემდეგს:

1. მიძინებული ვულკანივით კვლავ გაიღვიძა ეკუმენიზმის თემამ, რაც მოსალოდნელი იყო 1998 წლის 8 ოქტომბრიდან და გარდაუვალი შეიქმნა საქართველოში 2003 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენების შემდეგ. უკანასკნელ პერიოდში ხომ მთელი მსოფლიო გახდა მოწმე იმ ისტორიული მოვლენებისა, რამაც საქართველოს მოსახლეობას მომავლის იმედი აღუდგინა და რაც თქვენივე შეფასებით "ღვთის ნებით მოხდა". ჩემი აზრით, საქართველოში განვითარებული მოვლენები მსოფლიო გლობალიზმის ჭრილშია განსახილველი და ეს, სულ მცირე, დაფიქრებას მაინც ითხოვს (თუ არა სერიოზული დასკვნების გაკეთებას) თუნდაც ჩემგან, როგორც მოქალაქისაგან, ქართველისაგან და მით უფრო მღვდელმთავრისაგან. თქვენს უწმიდესობას არაერთხელ აღუნიშნავს დიდი სიამაყის გრძნობით, რომ "საქართველოს ეკლესია ეროვნული ეკლესიაა". ეკლესიის ეროვნულობას მე ასე მოვიაზრებ, რომ ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს ინტერესები არასდროს არ იყო უცხო ეკლესიისთვის და პირიქით კი ხდებოდა, რომ საქართველოს ეკლესია, მისი მღვდელმთავრები ყველა დროში იყვნენ ერის და ქვეყნის ინტერესების სამაგალითო დამცველნი და ვფიქრობ, რომ მით უფრო გასათვალისწინებელია ეს ინტერესები დღეს, როცა საქართველო არის თავისუფალი ქვეყანა და თავისუფლების, უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტიებისთვის ესწრაფვის ევრო ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებისაკენ. აქ, როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქმედითი პოზიცია; თუ, არცთუ შორეულ წარსულში, კომუნისტური რეჟიმისადმი ლოიალობის გამო ეკლესია ახერხებდა სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებას, მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია ამის გაკეთება დღეს, როცა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებობს კონსტიტუციური შეთანხმება, ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლები კურთხევაზე მოდიან ეკლესიაში და კათალიკოსის მარჯვენას ემთხვევიან, ბევრი მათგანი კი ეკლესიურად ცხოვრებას ცდილობს.

თქვენო უწმიდესობავ, პირველსავე სიტყვას მოვალ და ვიტყვი, რომ ეკუმენიზმის თემაზე დღემდე თუმცა ბევრი დაწერილა და თქმულა, ეს ხდებოდა კერძო პირებისა და კერძო ჯგუფების დონეზე და, ამდენად, მართებული არ იქნებოდა და ვფიქრობ, მცდარიც კია მათი მიჩნევა ეკლესიის აზრად და მით უფრო - უპირობო ჭეშმარიტებად. ეს არის საკითხი, რომელიც თავის მხრივ ისეთ პრინციპული ხასიათის პრობლემას ეხება, რომელშიც, ჩემი აზრით, სრული თანხმობა უნდა არსებობდეს წმიდა სინოდის წევრთა შორის, რის გარეშეც სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება საქართველოს ეკლესიის მთლიანობა. ასევე ვფიქრობ, რომ გასათვალისწინებელია აღნიშნული საკითხის მიმართ სხვა ავტოკეფალური ეკლესიების აზრიც, რამეთუ მათთან ჩვენ ხომ არა მხოლოდ სარწმუნოებრივი სწავლების იგივეობა, არამედ გარკვეული ძმური ვალდებულებებიც გაგვაჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ:

- წმიდა სინოდმა განმარტება და შეფასება უნდა მისცეს ეკუმენიზმს, როგორც მოვლენას და ისეთი საერთაშორისო რელიგიური ორგანიზაციების არსებობას და მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობას, როგორებიც არიან ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და ევროპის ეკლესიათა კონფერენცია.

- მკაფიო განმარტება უნდა მიეცეს შესაბამისად იმას, თუ რა არის ამ ორგანიზაციების დღევანდელ საქმიანობაში ისეთი მიუღებელი, რაც შეუძლებელს ხდის მათში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობას და რა არის ის დადებითი და მისაღები, რაც შესაძლებელს გახდიდა მათთან თანამშრომლობას ნებისმიერი ფორმით, თუნდაც დამკვირვებლის სტატუსით.

თუ თქვენი უწმიდესობაც ასე ფიქრობს, კარგი იქნებოდა თქვენის მამამთავრული კურთხევით წმიდა სინოდის ყველა წევრს, მეტი სიცხადისათვის, თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე წერილობით და ამის შემდეგ, სულიწმიდის მადლით, მომხდარიყო პოზიციების შეჯერება და ერთი საერთო პოზიციის გამომუშავება.

2. უკანასკნელ წლებში ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში აშკარად და ძალიან საშიში ფორმით გამოიკვეთა რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების შემთხვევები, რასაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი; როგორც ჩვენი, ასევე საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა მღვდლობიდან განკვეთილი ბასილ მკალავიშვილისა და მის მიმდევართა ქმედებები, რომელთაც კაცთმოყვარეობის სახარებისეულ გააზრებასთან საერთო არაფერი ჰქონდა და ევროპულ საზოგადოებაში შექმნა აზრი, თითქოსდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს ფანატიზმის ნიშნები, რამაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტი და თვით საქართველო სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა. აღნიშნულმა ქმედებებმა საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებს შეუქმნა დაჩაგრულის სახე, რითაც არათუ ზიანი მიაყენა მათ, არამედ დიდი სამსახურიც კი გაუწია და სწორედ ამის შემდეგ დაედო სათავე ინტერრელიგიურ მსვლელობებსა და მსახურებებს. განვითარებულმა მოვლენებმა ცხადი გახადა, რომ ულტრა რადიკალიზმი გარდაუვლად ბადებს ულტრა ლიბერალიზმს, რაც ერთნაირად სახიფათო და საზიანოა ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. მართალია, მკალავიშვილის და მის მიმდევართა ქმედებები აღიკვეთა, მაგრამ ასპარეზზე გამოჩნდა ამჯერად უკვე მოქმედ მართლმადიდებელ მოძღვართა მიერ დალოცვილი ჯგუფები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული რადიკალიზმითა და შეუწყნარებლობით განსხვავებული აზრის მიმართ, რასაც უპირისპირდებიან დაშინებითა და ტერორით, და, ფაქტობრივად, სამომავლოდ ნიადაგი იქმნება ფიზიკური ურთიერთდაპირისპირებისათვის. ამ ჯგუფების მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარას და დაშინების მცდელობას მეუფე ზენონისა და დიაკონ თეიმურაზ თათარაშვილისადმი, კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით დანიშნული მოძღვრების - დეკანოზ მიქაელ ბოტკოველისა და ლევან მექოშვილის არშეშვებასა და ფაქტიურად გამოგდებას სოფელ დიღმის წმ. გიორგისა და თბილისის ჩიტაძის ქუჩის წმიდა მირიან და ნანას სახელობის ეკლესიებიდან; არაერთხელ მოაწყვეს მანიფესტაციები საქართველოს საპატრიარქოსთან სხვადასხვა დროს, მათ შორის - ალექსანდრიის პატრიარქის საქართველოში ვიზიტისას; საქართველოს საპატრიარქოს რადიო "ივერიის" მიმართ არაერთხელ გამოხატეს აგრესია და განსაკუთრებული დაფიქრებისა და შეშფოთების საგანია რადიოს ხელმძღვანელობისადმი კატეგორიული გაფრთხილება, რომ ეთერში არ ყოფილიყო გაშვებული კლასიკური მუსიკა; მათ მიერ მოხდა ეროვნული საეკლესიო საგალობლის არაკანონიკურად სახელდება და მის ნაცვლად ბერძნულ-ბიზანტიური სტილის პროპაგანდა, ეკლესიაში მისი დანერგვის მიზნით, რაც წლების განმავლობაში გრძელდება კიდეც და, მიუხედავად სინოდალური აკრძალვისა, მაინც აქვს ადგილი ამ ტენდენციებს. ზემოთ აღნიშნული ქმედებების ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილია იმისი, რაც ხდება სინამდვილეში და კიდევ არის სხვა გაუხმაურებელი შემთხვევებიც. ქართული საზოგადოების დიდ შეშფოთებას იწვევს აღნიშნული ზღვარგადასული ქმედებები და ამ ნიადაგზე აღძრული პროტესტის გრძნობა უბიძგებს მას უკიდურესი ლიბერალიზმისკენ და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, პრაქტიკულად სულ უფრო ნაკლებ მოწონებას იმსახურებს სამეუფეო გზა, რომლის მახასიათებელი ნიშანია ზომიერება, რაც იცავს პიროვნებას და თვით საზოგადოებას დამანგრეველი რყევებისგან.

- ასეთი დაჯგუფებების და მათი სულიერი წინამძღვრების ქმედებებს წმიდა სინოდმა სათანადო შეფასება უნდა მისცეს და მათ მიმართ მიიღოს საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული ზომები.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენები ისეთ განვითარებას იძენს, რომ თვით სახელმწიფო აქტიურად დაინტერესდება ამით და მკალავიშვილის მაგალითის მიხედვით ძნელი არ უნდა იყოს იმის ვარაუდი, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას; შემდეგ კი ნამდვილად დაიწყება ახალი მითქმა-მოთქმა, რომ "აი, დაიწყო საქართველოში მართლმადიდებელთა დევნა". ჭეშმარიტების პრივატიზაცია შეუძლებელია, იგი ხომ ყველასათვის არის მოცემული და მას ვერც დაშინებით და ტერორით წაართმევ ადამიანს და ვერც ხელკეტებით ჩაუტენი თავში, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენო უწმიდესობავ, მართლა ისეთ სიბნელეს და ფანატიურ აზროვნებას აქვს ადგილი, რომ ასეთი ელემენტარული ჭეშმარიტებაც კი გაუგებარი და მიუღებელი ხდება ამ ჯგუფებისათვის და მათი ქმედებები სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს, ეკლესიის და თვით ხალხის ინტერესებთან.

3. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბოლო დროს არაერთხელ განხორციელდა თბილისში ინტერრელიგიური მსვლელობები და მსახურებები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი სასულიერო პირები, რომელთა ქმედებაც ეკლესიის მრევლში იწვევს დაბნეულობას, გაკვირვებას და გაოცებასაც კი იმ ნიშნით, რომ თუ ეს ქმედება არის ცუდი, რატომ არ ისჯებიან ისინი და თუ არის კარგი, უფრო აქტიურად რატომ არ ეხმაურება ამას ჩვენი ეკლესია.

- აღნიშნულ სასულიერო პირთა მიმართ ცალსახად უნდა იქნას გამოთქმული შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, რადგან აღნიშნული მსვლელობა და ერთობლივი მსახურება არ მომხდარა ერთჯერადად და არც შემთხვევით აღმოჩნდნენ იქ მართლმადიდებელი მოძღვრები.

ამ სასულიერო პირთა მრევლისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექნება ამას, რადგან სხვათა მსგავსად ეს ადამიანებიც ხომ ჩვენი ეკლესიის სულიერი შვილები არიან? რას ვეუბნებით მათ?

4. ქრისტეს შობითგან მესამე ათასწლეული დაიწყო. ამ პერიოდის განმავლობაში მრავალი სახელმწიფო აღიგავა პირისაგან მიწისა, გაქრნენ ერები და ცივილიზაციები. იცვლებოდა საზოგადოებრივი განვითარების ფორმაციები და თვით საზოგადოებრივი ურთიერთობები; სხვადასხვა დროში შესაბამისად იცვლებოდა თვით სამეტყველო ენაც, ერთმანეთს ენაცვლებოდა პრობლემები და მათ მიმართ არსებული დამოკიდებულება. ცხოვრების ასეთი დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ დროის შესაბამისი სამეტყველო ენის დეფიციტი იწვევს გაუცხოებას და ისტორიული განვითარების გზაზე ჩამორჩენას. ადამიანები ხომ მარადჟამ ჭეშმარიტების ძიებაში არიან და მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტება მარად თანამედროვეა, ყველა დროის ადამიანს თუ იგი არ განემარტა და მიეწოდა არსებული დროის ენაზე, საზოგადოებას აღარ ესმის იგი, დასაბამი ეძლევა გაუცხოების პროცესს ჭეშმარიტების ფუნდამენტური პრინციპებისადმი, რაც საზოგადოებისათვის მიუღებელსაც კი ხდის მას და იწყება "ახალი ჭეშმარიტების" ძიება, ღირებულებების გადაფასება და ა.შ. და ვინ არის დამნაშავე ასეთ შემთხვევაში? - ის, ვისაც არ ესმის იგი, თუ ის, ვინც გასაგებ ენაზე ახსნა-განმარტების მიცემა ვერ შეძლო?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მაინცდამაინც რთული არ უნდა იყოს. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა მოძღვარი კრძალავს ბავშვის მიყვანას ქართულ-ეროვნული ცეკვების შემსწავლელ ჯგუფში ან სპორტზე, ან კიდევ არ იძლევა სასკოლო თუ სხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებას. მთელ რიგ შემთხვევაში მოძღვარმა არ იცის, როგორ მოიქცეს და პირდაპირ ხელმძღვანელობს კანონებით, რომელიც კონკრეტულ დროსა და ვითარებაში იქნა მიღებული, ათი-თხუთმეტი საუკუნის წინ, ან კიდევ იწყებს გამომგონებლობას და, ფაქტობრივად, რჩევებს იძლევა; და ეს ხდება მიზეზი იმისა, რომ, თუნდაც მაგალითისთვის ვიტყვი, ერთი მოძღვარი სასჯელს ადებს ქალს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ხმარებისათვის, მეორე კი, პირიქით, კურთხევას იძლევა ასეთი ქმედებებისთვის იმ მოტივით, რომ ეს უმჯობესია, ვიდრე აბორტის გაკეთება.

ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რომ დროის მოთხოვნილებაა, რათა ეკლესიაში შეიქმნას ანუ ჩამოყალიბდეს შეხედულებათა მწყობრი სისტემა ეკლესიის ადგილისა და როლის, სახელმწიფოსთან მისი ურთიერთობისა და თანამშრომლობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში (პოლიტიკა, ეკონომიკა, ხელოვნება, კულტურა, სპორტი და ა.შ.) ქრისტიანთა მონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რაც ერთობლიობაში ფაქტობრივად იქნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დოქტრინა და ეკლესიის ყველა წევრი, პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქტიურად იხელმძღვანელებს ამით; ასეთი დოქტრინის არსებობა შეანელებდა საეკლესიო სწავლების ძირითადი ნაწილისა და აქტიური საეკლესიო ცხოვრებისადმი გაუცხოების პროცესს, რაც არსებობს და რასაც გააჩნია არა მარტო ობიექტური მიზეზები, არამედ სუბიექტურიც.

5. დღევანდელობაში არსებული პრობლემებისადმი უყურადღებობა ან ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება იმ მიზნით, რომ "ესეც გაივლის", ჩემს წინაშე სვამს ძალზე სერიოზულ კითხვას: რა იქნება ხვალ, როგორი იქნება მომავალი?

სახეზეა მთელი პროცესი და არა ერთჯერადი შემთხვევა, რომლის შესახებ შეიძლებოდა ზედაპირულად მემსჯელა ან საერთოდაც არ მემსჯელა. ეს პროცესი არის შეუქცევადი და მას დროულად სჭირდება გამოხმაურება. თუ როგორ და რანაირად მესახება ამის გაკეთება, მოგახსენებთ თანმიმდევრულად:

ა) მიმაჩნია, რომ ეკლესიაში უნდა შეიქმნას საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრუქტურა. ასეთი ფუნქცია შეიძლებოდა ეტვირთა საგარეო საქმეთა განყოფილებას, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს ამ სამსახურმა: საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში უნდა მუშაობდნენ მაღალი ინტელექტის საერო და სასულიერო პირები, რომელნიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირებისთვის, მოახდენენ გარკვეული პროცესების პროგნოზირებას, ამომწურავ პასუხებს გასცემენ ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ დასმულ საკითხებს, მომზადებენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიების ურთიერთობის სამოქმედო პროგრამას. იზრუნებენ იმისათვის, რათა დასავლეთის ქვეყნებში გაიფანტოს ის ეჭვები, თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს ფანატიკოსებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ საქართველოს პარლამენტში უნდა მიავლინოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ლობისტი საპარლამენტო მდივანი. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უნდა აკეთებდეს იმ განცხადებებს, რომელიც გამოხატავს საპატრიარქოს აზრს ამა თუ იმ საკითხზე.

ბ) კვლავ და კვლავ მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის სამდივნო, რომელიც იქნებოდა მუდმივმოქმედი ორგანო და წმიდა სინოდის თავმჯდომარის, ანუ იგივე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ უზრუნველყოფდა:

- წმიდა სინოდის სახელზე შემოსული მასალების მიღება-დამუშავებას;
- ინიციატივების და პრობლემების თავმოყრას;
- წმიდა სინოდის სხდომების მომზადებას;
- დღის წესრიგის შედგენას;
- განსახილველ საკითხთა შესახებ მღვდელმთავართა ინფორმირებას;
- წმიდა სინოდის სხდომების სტენოგრამული ოქმების შედგენას.

ყოველივე ერთად აღებული დიდად გაზრდიდა წმიდა სინოდის მუშაობის ეფექტურობას და მის მიერ მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების ხარისხს, რომელთა მნიშვნელობა ერისა და ეკლესიის ცხოვრებისათვის ძალიან დიდია.

თქვენო უწმიდესობავ, მე გულწრფელად მოგახსენეთ ის სათქმელი, რომლის ართქმა უფრო დიდ დანაშაულად მიმაჩნია, ვიდრე ის კადნიერება, რომლითაც ასე დაჟინებით ვცდილობ თქვენი ყურადღების მიპყრობას ჩემი წუხილისადმი, მაგრამ ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ თქვენს პოზიციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეული მღვდელმთავრის, სამღვდელოებისა და ქართველი ერისათვის. თუ ჩემ მიერ წერილში დასმული საკითხები იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდება, რომ თქვენი და მით უფრო წმიდა სინოდის მსჯელობის ღირსად არ ჩაითვლება, იძულებული ვიქნები, საჯაროდ გამოვთქვა ჩემი აზრი და შეხედულება არსებული პრობლემებისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ.

დამლოცეთ თქვენო უწმიდესობავ და შემინდეთ, თუ რამ ვერ ვთქვი ისე, როგორც საჭიროა.

ვეამბორები თქვენს მარჯვენას,
**მდაბალი გრიგოლი**
*მთავარეპისკოპოსი ფოთისა და ხობისა*
25 მაისი, 2004 წ.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად. English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით. on subscription basis
e-mail: public@24hours.ge Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



ქართული შრიფტის ფუძემდებელი 100 წლისაა



B2

ყურადღება, მწევარი ეძებს ნამდვილ მამაკაცებს



B3

„ლაგუნაზე" ოქროს თევზს ეძებენ



B5

შაბათის სტუმარი

# ქვეყანას პოლიტიკურ მნიშვნელობას მხოლოდ პოლიტიკოსები არ ანიჭებენ

მაია ქალაგანიძე

*გუშინ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განახლებულ ბაღში ვანში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშების გამოფენა მოეწყო. ეს არ იყო მხოლოდ გამოფენა, ეს უფრო აქცია იყო, რომლის მიზანი საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ოქრომრავალი კოლხეთის უნიკალურობის პრეზენტაცია მოხდა. აქცია არ არის ტრაბახი, ეს რეალობაა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალობა, რომელიც კოლხეთის უძველეს ცივილიზაციასთან ერთად მოდის. ეს ცივილიზაცია დღეს მუზეუმებშია და მას სულ უფრო ნაკლები დამთვალიერებელი ჰყავს.*
*რა უნდა მოხდეს, რომ უნიკალური ექსპოზიციებით აღსავსე მუზეუმები აუცილებელი გახდეს საზოგადოებისთვის? რა უნდა მოხდეს, რომ საზოგადოება მიხვდეს, როგორ სჭირდება ის მუზეუმს? გვესაუბრება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დავით ლორთქიფანიძე.*



*ეს არის უმაღლესი საიუველირო ხელოვნებით დამზადებული ფუფუნების ნივთები, რაც იმას გვაჩვენებს, რომ ამ დროს იყო არისტოკრატია, სხვადასხვა სოციალური ფენები, იყო გემოვნება და ძალიან მაღალი კულტურა.*

**- რას ემსახურება ასეთი პრეზენტაციული გამოფენა?**

- რამდენიმე რამეს - მუზეუმმა თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს. პრობლემა საზოგადოებასთან კავშირია. მუზეუმი რომ განყენებულ, იზოლირებულ ორგანიზმად არ დარჩეს, სამუზეუმო ცხოვრებაში მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული საზოგადოება, რომელიც იმ შემთხვევაში იქნება შენი მხარდამჭერი, თუ სწორ პოლიტიკას გაატარებ.

სხვადასხვა ქვეყნებში მუზეუმის მეგობრები სამუზეუმო ცხოვრების სრულუფლებიანი წევრები არიან. ამგვარი გამოფენის მიზანი კი სულ უფრო მეტი მეგობრის შეძენაა.

**- რას იტყვით უკანასკნელ ხანებში ნაპოვნი ექსპონატების მეცნიერულ ღირებულებაზე?**

- ვანის არქეოლოგიურ გათხრებს წარდგენა არ სჭირდება, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია იმით, რომ კოლხური ცივილიზაციის რეალობას ასახავს. პირველ საზოგადოებრივ ჩვენებაზე წარმოდგენილი ექსპონატები ვანის ექსპედიციის მიერ 2003 წელს არის აღმოჩენილი. მას ახლა ქალბატონი დარეჯან კაჭარავა ხელმძღვანელობს. დაწვრილებით ვერ შევაფასებ, რადგან ვიწრო სპეციალისტი არ ვარ და უხერხული იქნება დეტალებზე საუბარი.

**- დიახ, ცნობილია, რომ თქვენ, ძირითადად, ევროპელებზე მუშაობთ.**

- ჩემი სპეციალობა უფრო პრეისტორიული მეცნიერებაა, ამიტომაც ამ ექსპოზიციას ოდნავ განსხვავებული კუთხით შევაფასებ. ბევრი ვიფიქრეთ, რა უნდა ყოფილიყო პირველი საგამოფენო თემა, რომელიც საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენებდა ქართული არქეოლოგიის მნიშვნელობას და ამიტომაც ავირჩიეთ ოქრომრავალი კოლხეთი. კოლხეთი ამას არა მხოლოდ იმიტომ იმსახურებს, რომ აქ ასეთი მეცნიერული აღმოჩენებია, არამედ მას დიდი საერთაშორისო რეზონანსი აქვს. სწორედ ეს პრინციპია ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან მუზეუმი არ არის მარტო მუზეუმისთვის და არქეოლოგია - მხოლოდ არქეოლოგებისთვის. კოლხეთის თემა მთლიანობაშია საზოგადოებრივად საინტერესო. მითი არგონავტების შესახებ ყველასათვის ცნობილია, მაგრამ მეეჭვება, ცნობილი იყოს, არის თუ არა ის ასოცირებული საქართველოსთან. აუცილებელია ამ აზრის პოპულარიზაცია. კოლხეთმა მიიღო სამეცნიერო აღიარება, მაგრამ საჭიროა, უფრო მეტად იყოს ცნობილი. როცა ინტერესი არის, ქვეყანაში უფრო მეტი ხალხი შემოდის.

მარტივად შევხედოთ მითს არგონავტების შესახებ - ეს არის არგონავტების ლაშქრობა, რომელთაც მედეას დახმარებით ოქროს საწმისი წაიღეს. ამაში, ზოგადად, დიდი გმირობა არ დევს, მაგრამ ეს ძალზე პოპულარული იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში. ეს არის ისტორია ახალი, საინტერესო, მაღალი კულტურის ქვეყნის აღმოჩენის შესახებ. ჩვენ საინტერესო ვიყავით, ეს ტერიტორია საინტერესო იყო იმ ეპოქაში, როდესაც ბერძნები დომინირებდნენ. მაშინ საბერძნეთი, დაახლოებით, დღევანდელი ამერიკასავით იყო. ჩვენ ხომ გვინდა, რომ საქართველოში მაქსიმალურად გაძლიერდეს ტურიზმი. არქეოლოგიას კი ამაში, ქვეყნისთვის გარკვეული ბრენდის შექმნაში, მონაწილეობის მიღება შეუძლია.

**- პირველი ევროპელები, ალბათ, ჩვენი ყველაზე მჭრელი ბრენდია?**

- დიახ, ძალზე მნიშვნელოვნად არის აღიარებული, მაგრამ არანაკლებია კოლხეთი, რომელსაც პოპულარიზაცია სჭირდება.

**- დღეს პოლიტიკურად რომელს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის?**

- ჩემი აზრით, ორივეს. კოლხური ცივილიზაცია გარკვეულწილად ევროპული ცივილიზაციის ნაწილია. დმანისში კი ბევრად ადრეული ცივილიზაცია ჩნდება. ევროპა აქ გეოგრაფიულ ადგილს ნიშნავს და არა ევროპელ ფიზიკურ ტიპს. დმანისელი ჰომინიდი, ეს არის ჯგუფი "ჰომოს" ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი.

**- შეიძლება სენტიმენტალური შეკითხვაა, მაგრამ საინტერესოა, რას უტოლდება იმ არქეოლოგის გრძნობა, რომელიც მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან აღმოჩენას აკეთებს?**

- გულწრფელად გეტყვით, ბოლო ხანებში ზოგჯერ მრცხვენია, რადგან ჩემზე ბევრად უფრო ჭკვიანი და შრომისმოყვარე ადამიანები ვერ აკეთებენ აფრიკაში აღმოჩენებს. ალბათ, გამართლებაა. დმანისის აღმოჩენებზე ერთმა ჩემმა კოლეგამ თქვა - ეს იმას არ ჰგავს, ერთ ლატარიის ბილეთს რომ მოიგებ, ეს ჯეკპოტიაო. რა თქმა უნდა, სენტიმენტალური გრძნობებიც გიჩნდება, მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გრძნობაა, როცა ქართული მეცნიერების აღიარება ხდება.

**- პირველ ევროპელებს პარალელურად სხვა ქვეყნებშიც ეძებდნენ?**

- მთელ მსოფლიოში მუშაობდნენ ჯგუფები. პალეოანთროპოლოგია, ადამიანის წარმოშობა საინტერესო საგანია. არქეოლოგიის უმაღლესი ლიგა მარტო აფრიკა იყო. დმანისის აღმოჩენებით ევრაზია პირველად მოხვდა უმაღლეს ლიგაში. აქ ჩემი დამსახურება მინიმალურია. დმანისი ცნობილი იყო, როგორც ფეოდალური ხანის ძეგლი, სადაც გათხრები დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. იქ მუშაობდნენ ლევან მუსხელიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი. ამ გათხრების დროს აღმოჩნდა ცხოველთა ძვლები, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება თავისი ფერით მიიპყრო. ბატონმა აბესალომ ვეკუამ განსაზღვრა, რომ ეს ძვლები მარტორქას ეკუთვნის, ანუ ეს პრეისტორიული ადგილსამყოფელია. სწორედ ეს იყო პირველი ნიშანი გათხრების დასაწყებად. 1984 წელს ქვის იარაღი აღმოჩნდა. ნუგზარ მგელაძე, ქართველი არქეოლოგი მიხვდა, რა არის ეს. შემდეგ, 1991 წელს, დიდი საერთაშორისო პროექტი იყო, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. მაშინ ყბა აღმოვაჩინეთ. ლეო გაბუნია მიხვდა მის მნიშვნელობას. ასე ხანგრძლივი საუბრით იმის თქმა მინდა, რომ მეცნიერებას ტრადიცია სჭირდება. როდესაც ჩვენ აღმოჩენაზე ვსაუბრობთ, უდიდესი მნიშვნელობა ამ აღმოჩენების შემეცნებასაც აქვს. აფრიკის მთელ ტერიტორიაზე გათხრები მიმდინარეობს, წარმატებებია კენიაში, ტანზანიაში. მათ შესახებ ხშირად ყვება National Geografic, მაგრამ ვერ ნახავთ, რომ ამ გათხრებს კენიელი ან ტანზანიელი არქეოლოგი ხელმძღვანელობდეს. როგორც წესი, ლიდერები განვითარებული ქვეყნებიდან არიან. ამიტომაც ამას ჩვენი რეპუტაციისთვის გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

**- აღმოჩენის საერთაშორისო აღიარება მოგვიანებით მოდის. დმანისს რა ისტორია ჰქონდა?**

- ძალიან საინტერესო ისტორიაა, რომელიც ახლა უკვე მეცნიერების ისტორიად იქცა. 1984 წელს ქვედა ყბის აღმოჩენით დმანისი საერთაშორისო სამყაროში გაჩნდა. მისი რეალური აღიარება მხოლოდ 2000 წელს მოვიდა, მაშინ, როდესაც ორი თავის ქალა აღმოვაჩინეთ და ჟურნალ Science Magazine-ში მოვხვდით. სხვათა შორის, ყბის ასაკის შესახებ იგივე იდეას 1983-1984 წელსაც ვავითარებდით, ხოლო 1991 წელს იდეას ფიზიკურ ტიპზე, მაგრამ ამას საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად არ იღებდა. რეპუტაცია არ გვქონდა, ქართველი პალეოანთროპოლოგები უცნობნი იყვნენ.

**- რა შეცვალა ამ აღმოჩენამ?**

- უცხოელი მკვლევარი საქართველოში გაკეთებულ აღმოჩენებს ვერ მისცემს სწორ მიმართულებას და ვერ გათვლის, თუ როგორ უნდა ემსახუროს ქვეყანას. ბუნებრივია, ის უფრო ვიწროდ იფიქრებს. ქართული მეცნიერების არსებობა უკვე არის სახელმწიფოებრივი ინტერესი. აქ საუბარი არ არის ნაციონალურობაზე, მეცნიერება ინტეგრირებული უნდა იყოს და დმანისი ამის კარგი მაგალითია. იქ სამოცამდე მეცნიერი, ექვსი უდიდესი სატელევიზიო არხი მუშაობს.

როგორც წესი, Science Magazine ერთხელ ბეჭდავს სტატიას. ჩვენ შესახებ უკვე სამჯერ იყო მოთხრობილი. შემოდგომაზე კიდევ ერთი იქნება. National Geografic-ზე დიდი ჟურნალი მსოფლიოში არ არსებობს, 50 მილიონი მკითხველი ჰყავს. ამ ჟურნალმა ჩვენს აღმოჩენას ყდაც მიუძღვნა, 10 გვერდიც და მაისში კიდევ 20 გვერდი იქნება. რაც ყველაზე აღსანიშნავია, სამეცნიერო პოპულარულ ლიტერატურაში ნელ-ნელა ჩნდება, თუ რა ქვეყანა დგას ამ აღმოჩენის უკან.

**- ისევ პოლიტიკურ მნიშვნელობამდე მივდივართ...**

- ქვეყანას პოლიტიკურ მნიშვნელობას მხოლოდ პოლიტიკოსები არ ანიჭებენ. მსოფლიო ანთროპოლოგიაში დმანისი გაჩნდა, როგორც ახალი, დიდი მოვლენა და ეს კარგად გაშუქდა მედიის მიერ. ადრე ძლიერი ამერიკული ფონდები გვეხმარებოდნენ, რომელთა ინტერესებშიც დმანისის პოპულარობა შედიოდა. ამასთან ერთად ქვეყნის წინა პლანზე წარმოჩენა მოხდა - ჩნდება ახალი ქვეყანა, სადაც ადგილობრივი მეცნიერები აკეთებენ დიდ აღმოჩენებს, სხვებსაც იწვევენ და მათთან ერთად მუშაობენ. ეს ყველაფერი ხდება დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარზე, ეკლესიის ფონზე - ეს ხომ კულტურაა. ეს არის ის მნიშვნელობა, რაც საზოგადოებისთვის მეცნიერებას, არქეოლოგიას აქვს და ეკონომიკასაც მივიღებთ - National Geografic-ის ერთი სარეკლამო გვერდი 140 ათასი დოლარი ღირს. ჩვენ შესახებ ათ ასეთ გვერდზე იწერება, პლუს ყდა, რომელიც არასდროს იყიდება. ეს კი ქვეყნის პოპულარიზაციას და ხალხის მოზიდვას ემსახურება.

**- რა კომპონენტებით მსჯელობენ მეცნიერები კოლხეთის ცივილიზაციაზე?**

- კოლხური კულტურის მახასიათებელია სპეციფიკური არქიტექტურა, მატერიალური კულტურა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ოქრომჭედლობა. ეს არის ადგილობრივი წარმოების უმაღლესი საიუველირო ხელოვნებით დამზადებული ფუფუნების ნივთები, რაც იმას გვაჩვენებს, რომ ამ დროს იყო არისტოკრატია, სხვადასხვა სოციალური ფენები, იყო გემოვნება და იყო ძალიან მაღალი კულტურა.

**- მაშინდელ ხელოსნებს ჰქონდათ ინფორმაცია სხვა კულტურების შესახებ?**

- რა თქმა უნდა. იმ ეპოქაში ხმელთაშუაზღვისპირეთის გავლენა იგრძნობოდა. ვანისთვისაც და მთლიანად საქართველოსთვის ორივე - დასავლეთის და აღმოსავლეთის გავლენაა დამახასიათებელი. საქართველო რომ გზაჯვარედინი იყო, ეს ძალიან ადრეული ეპოქებიდან ჩანდა.

**- როგორ გგონიათ, ბევრი საუკუნის მერე რა დასკვნებს გამოიტანენ მეცნიერები ჩვენი ეპოქის არქიტექტურის აღმოჩენის შემთხვევაში?**

- დასკვნები, ალბათ, ძალიან მძიმე იქნება. არქიტექტურა ისეთივე საზოგადოებრივი პრობლემაა, როგორც სხვა სფეროები და დღევანდელობას ზუსტად ასახავს - გეგმისგარეშე მშენებლობა ყველაფერს ეხება და მათ შორის, მეცნიერებასაც, მუზეუმებსაც და სხვა ყველაფერს. ყველა სფეროში სწორი არქიტექტურული გეგმა უნდა გვქონდეს.

**- მუზეუმები მატერიალურად მძიმე დღეშია. როგორ უნდა შეიცვალოს სამუზეუმო პოლიტიკა, რომ რაღაცნაირად ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი გახდეს?**

- ის, რომ მძიმე მდგომარეობაა, არავინ დავობს - ექსპოზიციები ცუდ მდგომარეობაშია, მნახველი კლებულობს და ა.შ. მაგრამ, არა მგონია, რომ ამ საქმეს უფულობაზე წუწუნი შველოდეს. ეს რეალობაა და უნდა განისაზღვროს, როგორ გამოვიდეთ აქედან. უნდა განისაზღვროს, რა გვინდა, მთლიანობაში როგორ წარმოგვიდგენია კულტურული მემკვიდრეობა, საგანძურის როლი... მუზეუმებში უნიკალური კოლექციებია დაცული. გვინდა, რომ ეს იყოს მხოლოდ საცავი, თუ სხვა ფუნქცია შეიძინოს?! კოლექციები ისეთივე მნიშვნელოვანია მეცნიერისთვის, როგორც ქირურგისთვის - სკალპელი.

**- კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი დამოუკიდებლობის ექსპორტი უნდა ყოფილიყო...**

- მეცნიერების ფუნქციაა, ვაჩვენოთ, რა არის მნიშვნელოვანი, საზოგადოებამ და ხელისუფლებამ კი უნდა გვითხრას, ვართ თუ არა მართლები – ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კონკურენტუნარიანი პროდუქციაა - ქვეყნის ეკონომიკისთვისაც და ტურიზმისთვისაც. ტურიზმი სანახაობაა, საქართველოსთვის მთავარი სანახაობა აღმოჩენა-შემეცნებაა - პირველი ევროპელები, ოქრომრავალი კოლხეთი - ერთად ეს უძლიერესი ბრენდია.

**- რა არის მსოფლიოში ამის ანალოგია?**

- აფრიკა - საფარი, საბერძნეთი, ეგვიპტე. საბერძნეთის ხსენებაზე ყველას აკროპოლისი წარმოუდგება თვალწინ. ეგვიპტეზე - პირამიდები. ჩვენი სიძლიერე ჩვენი მრავალფეროვნებაა.

დმანისი უმაღლესი საფეხურია, რომელიც უკვე ემსახურება საზოგადოებას და რომელიც ძვირი ბრენდი გახდა. მის მნიშვნელობას, შეიძლება, ყველა ვერ აცნობიერებდეს, მაგრამ ამას მალე ნახავენ. ასევეა კოლხეთი, რომელსაც სწორი წარდგენა სჭირდება, რათა საერთაშორისო ინტერესის სფეროში მოხვდეს.

არსებობს შოკური არქიტექტურა, რომელიც ქალაქში მოულოდნელად ჩნდება. ხშირად ეს შენობა მუზეუმია. ბილბაოს ბრენდი გუგენჰაიმის მუზეუმის არქიტექტურამ შექმნა. ანდა, ბარსელონას ბრენდი აკლია? დღეს იქ მსოფლიოში უდიდესი მეცნიერების მუზეუმი შენდება.

**- ეს ფუფუნება არ არის?**

- სწორედ ეს უნდა გავიგოთ, რომ ფუფუნება კი არა, ინვესტიციაა და მათ შორის ინვესტიცია ეკონომიკაში.

ადამიანურ რესურსზეც ხომ უნდა ვიზრუნოთ? ვინ უნდა აღზარდოს საზოგადოება, მარტო სკოლამ? მარტო ოჯახმა? საზოაგდოებამ ხომ უნდა მიიღოს ადამიანი და ამისთვის მუზეუმი ერთ-ერთი იდეალური ადგილია. თავიდან შეიძლება, ადვილი აღსაქმელი არ იყოს, მაგრამ ცოდნის აღმოჩენის და შეძენის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია.

**- მუშაობთ სამუზეუმო პოლიტიკის რეფორმის კონცეფციაზე. კონკრეტულად რა იცვლება?**

- ჩვენი ჯგუფი ემხრობა იდეას, რომ რეფორმის პროექტის არქიტექტურა სწორად უნდა ჩამოყალიბდეს და ზუსტი მოდელი განისაზღვროს.

**- რამდენი მუზეუმია საქართველოში?**

- თუ არ ვცდები, სამასამდე და ყველა მძიმე მდგომარეობაშია. ჯერ ერთი, მუზეუმი უნდა გახდეს სწორად ფუნქციონირებადი, მერე - მეორე, მესამე... ეს იქნება სწორედ ის მისია, ხიდი კულტურას, მეცნიერებასა და განათლებას შორის. რაც მთავარია, ის ზრუნავს უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საგანძურზე, რომელიც ყველას ეკუთვნის - თქვენც, თქვენს შვილსაც და სხვასაც. მუზეუმმა საზოგადოებრივი საჭიროების ფუნქცია უნდა დაიბრუნოს.

**- მეთანხმებით, რომ არაჯანსაღია, როდესაც ამ დარგზე მხოლოდ უცხოური ფონდები ზრუნავენ?**

- მთავარი ყოველთვის ფული არ არის. ფულამდე ძალიან ზუსტი გეგმითა და კონცეფციით უნდა მივიდეთ. ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, ინვესტიცია პირველივე ეტაპიდან, ამ კონცეფციის მომზადების დროს მოხდეს.

**- კონკრეტულად რად უნდა იქცეს მუზეუმი?**

- ჩვენი მუზეუმი უნდა იყოს ადგილი, სადაც კოლექციები მოვლილია, ინვენტარიზებული, მათ შესახებ ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია, ჩამოყალიბებულია სრულყოფილი სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საგანმანათლებლო სამსახურები აწყობილია, ყველა ექსპოზიცია თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით უნდა მომზადდეს და, რაც მთავარია, ეს პირდაპირ ინტეგრირებული უნდა იყოს უმაღლეს სკოლებთან. არქეოლოგიას და პალეონტოლოგიას აუდიტორიაში ვერ ისწავლი.

**- რა დამოკიდებულება აქვს მუზეუმთან ქართველ დამთვალიერებელს?**

- სწორედ ეს არის მთავარი. ერთ-ერთი პირველი პროექტით ვცადეთ, პრეისტორიული ექსპოზიცია ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. მუზეუმის ეზოშივე ჩატარდება არქეოლოგიის გაკვეთილი, გათხრების იმიტაცია. ამას მთელ მსოფლიოში აკეთებენ და მთავარი ლოზუნგია - "აღმოაჩინე ცოდნა".

**- სტუდენტებისთვის ნამდვილი ექსპედიციები ტარდება?**

- დმანისში ნებისმიერს შეუძლია მოხვედრა. ვცდილობთ, ბევრი ახალგაზრდა და უცხოელი ჩაერთოს. მნიშვნელოვანია, რომ სადისერტაციო თემაზე ვერავინ იმუშავებს, თუ 2-3 წლის განმავლობაში საველე სამუშაოები არ გაიარა. დმანისში მარტო ამერიკის 11 უნივერსიტეტი მუშაობს, აღარ ვლაპარაკობ ინგლისსა და საფრანგეთზე. ყველა ერთად არის და მეცნიერულ ურთიერთობასთან ერთად ადამიანურ ურთიერთობასაც სწავლობს, ეს ქართველებსაც სჭირდებათ და უცხოელებსაც. თუ ყველაფერი კარგად იქნება, დმანისს საზაფხულო სკოლის ოფიციალური სტატუსი ექნება, სადაც სასწავლო კრედიტს გადაიხდიან.

**- თანამედროვე არქეოლოგები კომფორტს ითხოვენ?**

- ვერ ვთავაზობთ. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ პირობები გაუმჯობესდება.

**- დიდ ოკეანეში გვიწევს შესვლა. მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში ჩვენი კულტურა ხომ არ დაიკარგება?**

- ინტეგრირებული რომ უნდა ვიყოთ, ეჭვი არ მეპარება. თუ გვექნება სწორი პოლიტიკა და ვიქნებით ძლიერები, არასდროს დავიკარგებით. დმანისის პატარა მაგალითი კარგად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება შეინარჩუნო კონტროლი ძალიან ძლიერი და ძალიან მდიდარი ქვეყნების წინაშე. თუ ცოდნით აღვიჭურვებით, ვერავინ მოგვერევა.

დმანისი და კოლხეთი არის ლოკომოტივი, რომელიც სხვა აღმოჩენებს ქაჩავს. თუ ქართულმა კულტურამ საერთაშორისო აღიარება არ მიიღო, ვწეროთ და ვიკითხოთ. საერთაშორისო აღიარების მიღწევას ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ამის ბაზა გვაქვს.



### კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ჯაზფესტივალის გახსნა
ჯონ მაკლაფლინი, ზაქირ ჰუსეინი და Remember Shakti
დას: 20:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
მორის რაველი
"ბოლერო"
რეჟისორი: გია მარღანია
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**"გლობუსი"**
სანდრო მრევლიშვილი
"მარტორქები ორკესტრში"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 20:00 სთ.

### ცირკი

"ლიპუც-დისკო"
საბავშვო გასართობი წარმოდგენა
დას: 15:00 სთ.

### კინოთეატრები

**"ამირანი"**
"სკუბიდუ 2"
დას: 15:00; 17:00 სთ.

"მოკალი ბილი 2"
დას: 20:00; 22:30 სთ.

### გამოფენები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ბავშვთა კერამიკული სტუდიის მოსწავლეების: გიგიშა პაჭკორიასა და მაკა მზარეულიშვილის ნამუშევართა გამოფენა

**TMS**
ნინო ჩაკვეტაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
"ხელოვნება და ბავშვები"

**"კოპალა"**
სერგი ცქიტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ორიენტი"**
"ცნობილი და მივიწყებული სახელები"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ლადო გრიგოლიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
"საქართველო - ხელოვანთა ქვეყანა"

**"ჰობი"**
თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

### კლუბები

**"ელიტა"**
ლადო ბურდულის კონცერტი
დას: 21:00 სთ.

**აჭარა მიუზიქ ჰოლი**
კლუბის საზფხულო დახურვა
Lexicon Avenue
(დიდი ბრიტანეთი)
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# 48-საათიანი მგზავრობის შემდეგ

## ჯაზფესტივალის პირველი გმირი ჟურნალისტებსა და მელომანებს ხვდება

ვერა ნეფარიძე

*მსოფლიოს უდიდესი გიტარისტი მესამე დღეა თბილისშია. ინგლისელი და ინდოელი მუსიკოსების გაჭიანურებული და დამღლელი მგზავრობა უსიამოვნოდ სრულდება – სტუმრებმა დაკარგეს ბარგი ინსტრუმენტებით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჯონ მაკლაფლინს შეინარჩუნოს განწყობა; განგვაწყოს დაგეგმილი კონცერტისთვის; ისაუბროს თანამედროვე მუსიკალური სამყაროს გლობალიზაციისა და მუსიკის ავტორიტეტებზე.*



ვახო ბესელიას ფოტო

*"მადლობა თბილი მიღებისთვის. ეს მე თქვენს ქვეყანაში, როგორც საკუთარ სახლში, ისე მაგრძნობინებს თავს", - ჯონ მაკლაფლინი თბილისური დახვედრით კმაყოფილია.*

"მადლობა თბილი მიღებისთვის. ეს მე თქვენს ქვეყანაში, როგორც საკუთარ სახლში ისე მაგრძნობინებს თავს", - აპლოდისმენტების ფონზე "შერატონ-მეტეხი პალასის" საკონფერენციო დარბაზში შემოსული დიდი მუსიკოსი თავად მოდის აუდიტორიასთან კონტაქტზე; მშვიდად იკავებს ადგილს და აგრძელებს: "რაღაც პრობლემები გვქონდა, ბარგი დავკარგეთ და იმედია, რაღაცნაირად მოვაგვარებთ ამ პრობლემას. 48 საათი ვმგზავრობდით, რომ ამ შესანიშნავ ქვეყანაში ჩამოვსულიყავით. შტორმი იყო და ბევრჯერ გადაიდო ფრენა. ალბათ, ამის გამო მოხდა ეს ყველაფერი. ილოცეთ ყველამ, რომ ჩვენი ინსტრუმენტები იპოვონ", - მცირე მონოლოგით მაკლაფლინი თითქოს ჟურნალისტებს თავიდან არიდებს ტრადიციულ უხერხულობას – როგორ დაიწყონ პრესკონფერენცია. უკვე ყველაფერი გარკვეულია – მაკლაფლინი უდავოდ გამოცდილი და დაბრძენებული მუსიკოსია, რაც თავისუფალ დიალოგზე გადასვლისთვის ათამამებს თბილისელ მასპინძლებს. ამ სითამამის ლოგიკური შედეგია ზაქირ ჰუსეინისთვის სამახსოვროდ გადაცემული ტრადიციული ქართული ინსტრუმენტი – დოლი. ხუმრობანარევი მიზეზით – ეს ინსტრუმენტი მუსიკოსს იმ შემთხვევაში გამოადგება დიდ საკონცერტო დარბაზში, თუკი შაბათამდე თბილისში დაკარგული ინსტრუმენტები არ ჩამოვიდა... გამოიყენებს თუ არა ტაბლას ჯადოქარი ქართულ საჩუქარს, ამას მხოლოდ დღეს ვნახავთ, ქართულ დოლზე შესრულების პრეზენტაცია კი ლეგენდარულმა ინდოელმა მუსიკოსმა გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" მოაწყო.

როგორც ხვდებით, შეხვედრა ინგლისურ-ინდურ ჯაზ-ფიუჟენ ჯგუფის წევრებთან გუშინ საკმაოდ მხიარულად დაიწყო. რაც არაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ დარბაზში მყოფთა დიდი უმრავლესობა შეხვედრაზე მხოლოდ პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად არ იყო. როგორც ხდება ხოლმე მსგავს შემთხვევებში, მასმედიასთან დაახლოებული მელომანები გუშინ სასტუმროში ავტოგრაფისთვის გამზადებული კომპაქტ-დისკებითა და ფირფიტებით გამოჩნდნენ; სტანდარტული იყო შეკითხვებიც – პრესკონფერენციები ხომ ამ მხრივ მეტად დაშტამპული ღონისძიების რიგშია, თუმცა სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელია. ტრადიციული იყო კითხვა-პასუხები, თუმცა განსაკუთრებული ის იყო, რომ შეკითხვებს გუშინ ჯონ მაკლაფლინი პასუხობდა.

წინადღით ქართული ხალხური მუსიკით მოხიბლულ მაკლაფლინს არ დაუფარავს ამ მუსიკისგან მიღებული სასიამოვნო შთაბეჭდილება, თუმცა რა კავშირშია ქართულ ხალხურ მუსიკასთან ფლეიტა (რომლის ჟღერადობაც გუშინდელ პრესკონფერენციაზე გამოარჩია მუსიკოსმა), ცოტა ძნელი გამოსაცნობია; მუსიკოსი გამოგვიტყდა, რომ ჩვენი ქვეყანა მისთვის უცხო სამყარო არ ყოფილა; რომ საქართველოს შესახებ ხშირად მესმის ბოლო დროს: "ჩემი უფროსი ძმა სწავლობდა რუსულს და გამოწერილი ჰქონდა გაზეთი "პრავდა". ისედაც, ბევრს ვმოგზაურობ, ვიცი რა ხდება მსოფლიოში პოლიტიკური თუ ეკონომიკური კუთხით. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში თქვენს ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების წყალობით ჩვენი ჩამოსვლა შესაძლებელი გახდა". მაკლაფლინმა გვიამბო, რომ ორი კვირის წინათ ზაქირ ჰუსეინთან ერთად დალასში ერიკ კლაპტონის ორგანიზებულ კონცერტში მიიღო მონაწილეობა, სადაც ძირითადად ჯაზის სტანდარტები შეასრულა; რასაკვირველია, ახსენა ავტორიტეტული მუსიკოსები: ჯონ კოლტრეინი, ჯიმი ჰენდრიქსი. გაიხსენა 60-იანი წლების ბოლოს როგორ აღმოჩნდა ჯიმი ჰენდრიქსთან სტუდიაში: "ნიუ იორკში ვუკრავდი ტონი ვილიამსთან ერთად, როდესაც მიტჩელმა გვთხოვა სტუდიაში ავყოლოდით ჰენდრიქსთან და მონაწილეობა მიგვეღო ჯემ-სეიშენში. სტუდია სავსე იყო მუსიკოსებით. მახსოვს, ძალიან დიდი გიტარა მეჭირა ხელში. მინდოდა ჯიმის გიტარა ამეღო, მაგრამ ის ცაცია იყო და არ გამომადგებოდა. ჯიმი ჰენდრიქსი ძალიან თავმდაბალი და შესანიშნავი ადამიანი იყო". თუმცა, პირადად ძალიან გამიკვირდა, როდესაც მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო გიტარისტების სამეულში (მაკლაფლინის ვერსია: ჯანგო რეინჰარდი, პაკო დელუსია, მიზა სურმენი) ჰენდრიქსი არ შეუყვანია. რაც შეეხება მაკლაფლინის დამოკიდებულებას თანამედროვე მუსიკალური სამყაროსადმი, სტუმარმა ის ასე ჩამოაყალიბა: "ახლანდელი გარემო, სადაც იზრდებიან ბავშვები, ძალიან განსხვავდება იმისგან, როდესაც მე ვიზრდებოდი. ახლანდელი მუსიკალური სამყარო ბევრად გლობალური გახდა; გაცილებით მეტად გვესმის ყველა ქვეყნის მუსიკა, რაც ჩვენზე დიდ ზეგავლენას ახდენს. როგორც აღმოსავლური მუსიკა ახდენს ზეგავლენას დასავლურზე, ასევეა დასავლურიც აღმოსავლურისთვის. ძალიან ბევრ აღმოსავლელ მუსიკოსს ვიცნობ, თუნდაც აქ მყოფებს, რომელთა შემოქმედებაშიც დასავლური ინტონაციები შესამჩნევია. ახლა კუბური მუსიკა ხდება ძალიან აქტუალური".

# ქართული შრიფტის ფუძემდებელი 100 წლისაა

ნანა ბასილაშვილი

*თბილისის ეროვნულ გალერეაში მხატვარ ლადო გრიგოლიას 100 წლის იუბილე აღინიშნა. საიუბილეო ღონისძიების ორგანიზატორებმა, გრიგოლიას ნამუშევრების პერსონალურ გამოფენასთან ერთად, მისი წიგნის, "ქართული შრიფტის ხელოვნების საფუძვლები", ამავე დროს, კომპაქტ-დისკის სახით, მისივე ნაშრომებისა და ნამუშევრების კომპიუტერული ვერსიაც წარმოადგინეს.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ლადო გრიგოლიას ქალიშვილი და მეუღლე ინა დივნოგორცევა-გრიგოლია.*

"არ მეგულება ოჯახი, სადაც ლადო გრიგოლიას მიერ გაფორმებული ერთი წიგნი მაინც არ ინახებოდეს", - ძნელია არ დაეთანხმო პროექტის მენეჯერს მერი ჯაფარიძეს. გამოფენაზე წარმოდგენილი ლადო გრიგოლიას თითოეული ექსპონატი, მართლაც, ყველასათვის კარგადაა ნაცნობი, რადგანაც ძალიან ბევრი ქართული წიგნი, მხატვრული თუ ენციკლოპედიური გამოცემები, სწორედ ლადო გრიგოლიას მიერაა გაფორმებული. ამავე დროს, ქართველი კლასიკოსების შოთა რუსთველის, ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ავალიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და სხვა მრავალი მწერლისა თუ პოეტის პორტრეტების ავტორადაც გვევლინება. გამოფენაზე წარმოდგენილია ქართული შრიფტის ტაბულები, ქართული პოეზიის ანთოლოგიის სხვადასხვა ნიმუშები, აკადემიური შრიფტის უამრავი ვარიაცია, მხატვრული შრიფტები, მათი შექმნის ხერხები და ვარიანტები, მხატვრული, საპლაკატო, პოლიგრაფიული, სასწავლო, ძველი ქართული შრიფტების ტაბულები და ა.შ. ლადო გრიგოლიას შრიფტების უმდიდრესი კოლექცია ქართული კულტურის საგანძურშია შესული.

ლადო გრიგოლია თანამედროვე ქართული გრაფიკული სკოლის ფუძემდებელია. მას დიდი წვლილი მიუძღვის ილუსტრირებისა და ზოგადად ხელოვნების განვითარებაში. ლადო გრიგოლია ქართული შრიფტის დაარსების და მის მეცნიერული შესწავლის ნოვატორად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ კულტურის სამინისტროს, მხატვართა კავშირისა და ეროვნული გალერეის ორგანიზატორობით გამართულ საიუბილეო გამოფენას, ლადო გრიგოლიას უნიკალური ნამუშევრების დასათვალიერებლად თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელი ეწვია. მათ შორის ლადო გრიგოლიას კატალოგის "ქართული შრიფტის ხელოვნების საფუძვლების" შეძენის მსურველიც ბევრი აღმოჩნდა. კატალოგი მის მეუღლეს ინა დივნოგორცევა-გრიგოლიას ეკუთვნის, რომელმაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თავი მოუყარა მის ყველა ნაშრომს და უკვდავყო მისი შემოქმედება. მალე წიგნის რუსული ვერსიაც გამოვა. რაც შეეხება კომპაქტ-დისკს, მასში ლადო გრიგოლიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის ვრცელი მასალაა წარმოდგენილი, მისი წიგნის პირველი ტომი და მეორე წიგნი, ამავე დროს ქართული შრიფტი, წიგნის გრაფიკა, ილუსტრაცია და ა.შ. ლადო გრიგოლიას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა ეროვნულ გალერეაში კიდევ ხუთ დღეს გასტანს.

# საქართველოში რუსი და უკრაინელი კულტურის მოღვაწეები ჩამოვიდნენ

"პოეზიის აბრეშუმის გზაში" მონაწილე რუსი და უკრაინელი პოეტები ფოთში ბორანით ჩამოვიდნენ. გუშინ ფოთის პორტში უკრაინის პორტ "ილიჩოვსკიდან" ბორანი "გრეიფსვალდი" შემოვიდა, რომელშიც 21 რუსი და უკრაინელი პოეტი იმყოფებოდა.

პოეტების ჩამოსვლის მიზანი ლიტერატურულ ფესტივალ "პოეზიის აბრეშუმის გზა"–ში მონაწილეობაა. ფესტივალში მათთან ერთად მონაწილეობას 13 ქართველი პოეტიც მიიღებს, მათ შორის კოტე ყუბანეიშვილი, დავით გოგიბედაშვილი და სხვები კონკურსანტებს "პენ-მარათონელებიც" შეუერთდნენ.

აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორები უკრაინული სატრანსპორტო ფირმა "უკრფერი" და საქართველოს კულტურის სამინისტროს რეგიონალური დეპარტამენტია.

ფესტივალი "პოეზიის აბრეშუმის გზა" 21 ივნისს ოდესაში დაიწყო. იგი 25 და 26 მაისს ფოთსა და ბათუმში გაგრძელდება. საქართველოს სანაპიროზე ერთმანეთს ქართველი, რუსი და უკრაინელი ლიტერატორები შეხვდებიან.

უკრაინელ და რუს პოეტებს შორის ოლგა ილინიცკაია, ვალერი ხაიტი, ანა სონი, ელენა პალაშეკი არიან. ფოთსა და ბათუმში მასტერკლასებს ირინა ერმაკოვა, იგორ ირტინიევი და ანატოლი ნაიმანი გაუძღვებიან.

ღონისძიების ინიციატორია რუსული ლიტერატურული ჟურნალის "ოქტომბრის" მთავარი რედაქტორი ირინა ბარმეტოვა და შემოქმედებითი სახელოსნოს "აღმოსავლეთ-დასავლეთის" ხელმძღვანელი, ოდესელი პოეტი ელენა პალაშეკი.

ფესტივალი რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროს, უკრაინაში საქართველოს ელჩის გრიგოლ ქათამაძის, ფოთისა და ბათუმის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით იმართება. ფესტივალი რამდენიმე დღეში ბათუმში გადაინაცვლებს.

ბათუმში პოეტები დაათვალიერებენ ღირსშესანიშნაობებს და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს შეხვდებიან.

# გამართლებული ქაოსი

ნანა ბასილაშვილი

პაპანაქება სიცხეში კაფე "პარნასში" მწერლის, ნესტან კვინიკაძის ახალი წიგნის პრეზენტაციაზე მისვლის მსურველი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. ახალგაზრდა პროზაისკოსი მეგობარ-ახლობლებისაგან, თუ ნაცნობ-უცნობებისგან პირველი რომანის გამოშვებისათვის მილოცვებს გულუხვად იღებდა. ქართული პროზა კიდევ ერთი რომანით "ისპაჰანის ბულბულები" გამდიდრდა.

"პარნასული" პრეზენტაციების მასპინძელი ბესო ხვედელიძე, "პენმარათონის" ერთ-ერთი კონკურსანტი გახლდათ, ამდენად ტრადიცია დაირღვა და პროზაიკოსი ქალბატონი და მისი ახალი წიგნი საზოგადოებას მწერალმა ლაშა ბუღაძემ გააცნო.

"ისპაჰანის ბულბულები" პოსტმოდერნისტული პროზის ნიმუშია. საქმე გვაქვს არასწორხაზოვან ტექსტთან, სადაც ავტორი არ გვესაუბრება კლასიკური თანმიმდევრობით, არამედ იგი სხვადასხვა ამბებს ჰყვება", - აღნიშნა ლაშა ბუღაძემ. აზრის გამოთქმისა და მილოცვის მსურველები სხვაც ბევრი გამოჩნდა. "ველოდი ამ წიგნს სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. ვისურვებდი, რომ დაირღვას ქართული პრეზენტაციების ტრადიცია და "ისპაჰანის ბულბულებთან" ურთიერთობა მხოლოდ დღევანდელი დღით არ შემოიფარგლოს და მასთან ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდეს", - პოეტმა რატი ამაღლობელმა მეგობრის ახალ წიგნს საინტერესო რეკლამა გაუწია. აქვე რატის შემოქმედების თაყვანისმცემლების გასაგონად და გასახარად ვიტყვი, რომ რომანი სწორედ მისი ლექსით (რასაც ავტორი "შელოცვას" უწოდებს) მთავრდება.



ვახო ბესელიას ფოტო

*ნენე და ლაშა - ახალგაზრდა პროზაიკოსები ერთმანეთს წარმოადგენენ.*

თავად ავტორი, ჟურნალისტების კითხვებს, რომლებიც ავტოგრაფების მსურველთა ცოცხალ რიგს აფერხებდნენ, შეძლებისდაგვარად ამომწურავად პასუხობდა. ვინაიდან გასაგები მიზეზის გამო ჯერ წიგნი არ წამიკითხავს, საკუთარი რომანის ძალიან მოკლე შინაარსი, თავად ვაამბობინე. ვფიქრობ, არც თქვენთვის იქნება ინტერესმოკლებული.

"წიგნში გაეცნობით თანამედროვე ინტელექტუალის ცხოვრებას. რომანის გმირი – ასტამური, ბავშვობიდან ჩიტებით გატაცებული ახალგაზრდა ორნითოლოგია. იგი ამსტერდამში ცხოვრობს, მაგრამ სხვა გმირებთან ერთად, უძღებ შვილად გვევლინება, რომელიც სულიერი სიმშვიდის, თუ ფეხქვეშ მყარი ნიადაგის ძიებაში, ქვეყნიდან ქვეყანაში, ან კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობს. რომანში სრული ქაოსია, რაც ბოლოს აბსოლუტურად გამართლებულია", - ავტორმა "ისპაჰანის ბულბულები" მოკლედ ასე გადმოგვცა.

"ისპაჰანის ბულბულები" ნესტან კვინიკაძემ სულ რაღაც სამ თვეში დაწერა, მაგრამ იგი, ალბათ, გაცილებით დიდ ხანს იქმნებოდა. მანამდე იყო მოთხრობების კრებული "ამარგი", დოკუმენტური პროზა, გახმაურებული ამბავის ე.წ. "თვითმფრინავის ბიჭების" შესახებ და კიდევ ერთი მოთხრობა "პაიუში ფანტანები". ამას გარდა ნესტანის შემოქმედება პერიოდულად სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებშიც იბეჭდებოდა. ჯერჯერობით სულ ეს არის, სამომავლოდ პროზაიკოსი ქალბატონი კიდევ ბევრ სიურპრიზს გვპირდება.

# დამზადებულია ინგლისში

## მუსიკა, ფეხბურთი, წვიმა

თამარ ბაბუაძე


REUTERS

"ოაზისი" მსმენელის მეხსიერებაში პირველად სწორედ გლასტონბერის ცის ქვეშ ჩაიბეჭდა. ჯგუფი მსმენელის წინაშე საღამოს წარდგა.

როგორ გახადეს უეინ რუნის ბუცი და როგორ დააჯარიმეს საკუთარივე ტრამვისთვის; როგორ არ გაამართლა შვედი ერიქსონის ტაქტიკამ და როგორ მივიდა საქმე უსამართლო პენალტებამდე – ევრო-2004-ის მატჩს, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავდა ფილმ-დრამას, გლასტონბერის თანამედროვე ხელოვნებისა და მუსიკის ფესტივალზე, ღია ცის ქვეშ, ორ გრანდიოზულ მონიტორზე ადევნებდნენ თვალს.

იდგა 60 ათასამდე ინგლისელი. გლასტონბერის ტრადიციული თანმხლები – წვიმა და ატალახებული მიწა დრამატულობის განცდის გასაძლიერებლად საჭირო აღარ იყო. ხუთშაბათის საღამომ (მეტეოროლოგიური თვალსაზრისით არაინგლისურმა – მზიანმა, მუსიკისა და ფეხბურთის თვალსაზრისით კი ზედმიწევნით ინგლისურმა) კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ არაფერი შეცვლილა. თანამედროვე მსოფლიოში, როცა ომები მხოლოდ ონლაინ, ვირტუალურ რეჟიმში, ბაღდადსა და მოსულში ხდება, ყველაზე დიდი ემოციის გამოწვევა კვლავაც მუსიკას და ფეხბურთს შეუძლია.

ხოლო, როცა ორივე ერთდროულად მიმდინარეობს – როგორც ეს გლასტონბერიში ხუთშაბათს იყო, და როცა ორივე ინგლისურია – ისევ, როგორც გლასტონბერიში, ხუთშაბათს, მაშინ მონაგონი ხდება ყველა რეალურ დროებსა და რეალურ სივრცეებში ნაწარმოები ომები და ამ წუთას, ამ ადგილას, გადამდები მუსიკისა და ბადეში გახვეული ბურთის გამო ათასობით აღგზნებული ადამიანის ერთობლიობა გაცილებით უფრო ძლევამოსილ ძალას ქმნის, ვიდრე ერთად აღებული "ალ-ქაიდა", "ეტა" და "ირაა".

ასე რომ, ხუთშაბათს გლასტონბერის ტრადიციული ფესტივალი, არატრადიციული, მაგრამ მაინც ინგლისური და მაინც ძალიან სასიამოვნო კატალიზატორის – ფეხბურთის თანხლებით დაიწყო. პარასკევს ფესტივალს ფეხბურთი ჩამოშორდა, მაგრამ წლების მანძილზე მოპოვებული "ძლევამოსილის" ტიტული მაინც დარჩა.

ეს ტიტული მას შემდეგ გაჩნდა, რაც 1970 წლის ჰიპების თაობამ პირველად გაუგო გემო ღია ცის ქვეშ, სომერსეტის მწვანე მინდვრებზე მოწყობილი მუსიკალური ფესტივალისგან მიღებულ სიამოვნებას. 1990-იანი წლებიდან კი გლასტონბერი უკვე ჩემი თაობისთვისაც წლის მთავარი მოვლენა გახდა. ეს ის დროა, როცა გაირკვა, რომ ბრიტპოპის ვარსკვლავი პირველად გლასტონბერიში ამოვიდა. როცა სახელებიც "ფალფი", "ბლერი" და, რაც მთავარია, "ოაზისი" მსმენელის მეხსიერებაში პირველად სწორედ აქაური ცის ქვეშ ჩაიბეჭდა. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, იმ წელს განსაკუთრებულად ძნელი დასავიწყებელი ლაიამ გალაჰერი იყო. ის ენერგიულად დარბოდა სცენაზე, თითს იშვერდა ნაცნობებისკენ, ხელს უქნევდა ხალხს და ყველას აგრძნობინებდა, რომ მათ ნამდვილ, ინდივიდუალურ და თავისუფალ როკ-ენ-როლთან აქვთ საქმე.

გლასტონბერი მართლაც თავისუფლებაა. ამ განცდის სისავსეს უზრუნველყოფს ღია ცის ქვეშ სხვადასხვა ჟანრის მუსიკის მოსმენა, ძველის გახსენება, ახლის აღმოჩენა და ექსკლუზიური ნიშანი – წვიმასა და ტალახში გართობა და ცეკვა.

კარგი მუსიკა და თავისუფლების შეგრძნება ეს ის ღირებულებებია, რომელიც გლასტონბერის საზღვრებგადალახულ ჩინოვნიკსა და მრეცხავს შორის სოციალურ სტატუსს სპობს, ხალხს სახელდახელოდ მოწყობილ საშხაპეებთან და საპირფარეშოებთან დამდგარ რიგებს ავიწყებს, ანდა ინგლისის საფეხბურთო ნაკრების შინ უდროოდ დაბრუნებით გამოწვეულ გაღიზიანებას მკურნალობს.

ლიამ გალაჰერი ვახსენეთ და გეტყვით, რომ ორწლიანი დუმილის შემდეგ "ოაზისი" სომერსეტის საგრაფოს 900-აკრიან მინდორზე გუშინ ღამითაც გამოჩნდა (ჯგუფს Heathen Chemistry-ის შემდეგ აღარაფერი გამოუშვია). წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით, დასარტყამ ინსტრუმენტზე მათთვის რინგო სტარის შვილს უნდა დაეკრა.

ფესტივალზე წელს უკვე ყოველ მიზეზ გარეშე ელიან "უკან, საბჭოთა კავშირში" მოგზაურობიდან დაბრუნებულ პოლ მაკარტნისაც. როგორც მუსიკალური მიმომხილველები შენიშნავენ, არავინ იცის, რამდენად ისიამოვნებს გლასტონბერის ჭრელი პუბლიკა Hey Jude-ის ვინ იცის მერამდენედ მოსმენით, მაგრამ ხალხი ხომ იქ კონკრეტულად Hey Jude-ის მოსასმენად არც ჩადის. აქ უკვე საქმეში ერთვება ცნობილი სახის ახლოდან და თან ასეთ თავისუფალ გარემოში ხილვის ტენდენცია. როცა გგონია, რომ იგივე პოლ მაკარტნი წოდებით სერი და ბეკინგემის სასახლეში ნასეირნები კი არ არის, არამედ სოციალური კლიშეებისგან თავისუფალი მომღერალია, რომელიც მარტო შენთვის და გლასტონბერის მინდვრებზე შეკრებილი "შენიანებისთვის" მღერის.

თუმცა, რახან გლასტონბერის ეს ზღაპარი გამორჩეულად ინგლისურია, ის დიდი დოზებით ინგლისურ ირონიასა და სახალისო პარადოქსებსაც შეიცავს. ეს, პირველ რიგში, მონაწილეთა ეკლექტურობაში იჩენს თავს: მაშინ, როცა ბევრ გლასტონბერელს აქვს პრეტენზია ნამდვილ და თავისუფალ როკ-ენ-როლზე, აქ წელს, ნორა ჯონსისა და ქეთი მელუას რანგის, მსუბუქად მოსასმენი ჯეიმი ქოლამიც იმღერებს და ასეთი თავყრილობებისთვის დამახასიათებელი ეთნო-მუსიკაც წარმოდგენილი იქნება საჰარელი Tinariwen-ის სახით. იქნება ნოსტალგიაც – გაიხსენებენ მორისის და 80-იან წლებს. სიამოვნებით მოუსმენენ "ბეისმენთ ჯექსს" და "ქემიქალ ბრაზერსაც". აჰყვებიან ჯეიმს ბრაუნის ძველ რიტმებს და შეეცდებიან, გაითავისონ გაცილებით ახალი – "ბლექ აიდ ფიზ" და ნელი ფურტადო. დღეს ამ ორომტრიალში ინგლისის ნაციონალური ოპერაც ჩაერთვება. ცალ-ცალკე სცენები და ტენტები დაეთმობა ჯაზს, პოეზიას, გამოფენებს, საცეკვაო მუსიკას.

ასე რომ, გლასტონბერიში არაფერი იცვლება. ნიშნით "დამზადებულია ინგლისში" აქ წელსაც გატაცებით "აწარმოებენ" მუსიკას, ტალახს (პირველი ორი მზიანი დღის შემდეგ, დღეს ფესტივალზე წვიმას ელიან) და ახლა უკვე ფეხბურთსაც.

ე.ი. "აწარმოებენ" თავისუფლებასა და ვნებათაღელვას და რაზმავენ მუსიკით გატაცებულთა ძლევამოსილ არმიას, რომელიც, შეგახსენებთ, ტერორისტთა ყველა დაჯგუფებაზე უფრო ძლიერია.

# ყურადღება, მწევარი ეძებს ნამდვილ მამაკაცებს

თამარ ბაბუაძე




მიუხედავად იმისა, რომ თბილისს ზაფხულის ე.წ. მკვდარი სეზონი უახლოვდება და ცხოვრების ეპიცენტრი ნელ-ნელა ზღვისპირეთში გადადის, კულტურული ღონისძიებები და პრეზენტაციები ქალაქს მაინც არ აკლია. სხვა საქმეა მათი ხარისხი, თუმცა, თბილისში ახლახან გამოჩენილ "ტრუსარდის" ვერც ხარისხს დავუწუნებთ. ცხადია, "მარინო ალლა სკალას" – კომპანიის მთავარი მილანური კომპლექსის ფილიალის გახსნას ჩვენთან ჯერ არავინ აპირებს, სამაგიეროდ, ცნობილი იტალიური ბრენდი საქართველოს საზღვრებს სურნელოვნად კვეთს. "ისი პარიში" ორიოდე დღის წინ გამართულ პრეზენტაციაზე ოფიციალურად გაიჭრა ლენტი 2004 წლის ახალი სუნამოსთვის – მამაკაცებისთვის შექმნილი "ტრუსარდი ჯინსისთვის". ვინც ამ ასწლოვანი ტრადიციის მქონე სავაჭრო ნიშნის ერთგული მომხმარებელია, კარგად ემახსოვრება, რომ შარშან, დაახლოებით ამავე დროს "ტრუსარდი ჯინსი" ქალებისთვის გამოვიდა. მაშინ აღვნიშნავდით, რომ ტყავის უნიკალური წარმოებით გამდიდრებულმა ტრუსარდებმა ტყავი იცვალეს – არისტოკრატული ფირმა ახალგაზრდობასთან კომპრომისზე წავიდა; ძვირფასი ტყავი, იგივე ფუფუნების სიმბოლო შეცვალა ჯინსით – ოქროს მაძიებლების, კოვბოების, 60-იანელი ჰიპებისა და როკერების საყვარელი მატერიით. ანუ, "ტრუსარდი" კიდევ ერთხელ გახდა პიონერი. მან შეძლო, თავის არისტოკრატულ სამყაროში თანამედროვეობაც შეეტანა.

ახლა კი, მას შემდეგ, რაც "ტრუსარდების" სახელგანთქმული სიმბოლო, გრძელცხვირა მწევარი ელეგანტური მამაკაცების მოსაძებნად დაგეშეს, ტყავის ცვლის ნოვაცია კაცებზეც გავრცელდა. მათთვის შექმნილი "ტრუსარდი ჯინსი" სრულიად უნიკალური სურნელია. ის თავის თავში აერთიანებს "ტრუსარდის" არისტოკრატიზმს, მდიდრულობას და ამავე დროს ახალგაზრდულობასა და თანამედროვეობასაც. სპეციალისტების განმარტებით, "ტრუსარდი ჯინსი" მამაკაცებისთვის ნამდვილი იტალიური სტილის სუნამოა – გრილი, შუშხუნა ზედა ნოტა (რასაც ლიმონი უზრუნველყოფს) რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ, უფრო და უფრო მაცდური და მიმზიდველი ხდება (აქ უკვე საქმეში ლეღვი, შავი მოცხარის ფოთლები, კედარი, თეთრი მუსკუსი და სხვები ერთვებიან და დავალებას შესანიშნავად ართმევენ თავს).

ლურჯი ფლაკონი ძველებურად ჰგავს ჯინსის შარვლის ჯიბეს, რომელსაც სქელი, სტაფილოსფერი გვირისტივით ზოლი დაჰყვება და არა მარტო სუნამოს, "ტრუსარდის" მიერ ნაწარმოები ჯინსის ტანსაცმლის დათვალიერებასაც განდომებს.

თუმცა, მამაკაცებისთვის გამოშვებულ "ტრუსარდი ჯინსში" არის ერთი სიახლე – სუნამოს სარეკლამო რგოლებში ჩნდება ძვირფასი ჯიშისა და წმინდა გენიალოგიის მქონე მედიდური მწევარი. მას სიმპათიური იტალიელი (რა თქმა უნდა, ძვირფას, მაგრამ ამავე დროს სადა ტანსაცმელში გამოწყობილი და "ტრუსარდი ჯინს"-მიპკურებული) მეგობრებთან ერთად, ბაღში ასეირნებს. ეს იტალიელი "ტრუსარდის" განსხეულებაა – სულ ახლის ძიებაშია და შესაბამისად, იცვლება მისი ცხოვრებისეული დეკორაციები – სპორტი, მეგობრები, ქალაქი, ბუნება – მაგრამ ის მაინც იგივე რჩება. ანუ, მართალია, ჯინსს იცვამს და მასში თავს კომფორტულადაც გრძნობს, მაგრამ თანდაყოლილ არისტოკრატიზმს არ კარგავს.

უკვე მეორე წელია, "ტრუსარდი" სწორედ ამას გვიმტკიცებს, რომ გული არ ბერდება და რომ 1910 წელს დაარსებული ფირმა ძველებურად ახალგაზრდაა.

ასე რომ, გამოდის, ჩვენ "ტრუსარდის" მხოლოდ "ისი პარის" მიერ თბილისში შემოტანილ სუნამოზე და ცარიელ სიტყვებზე უნდა ვენდოთ. თორემ, მის ბუტიკებში გავლა-გამოვლის შესაძლებლობაც რომ გვქონდეს, დავრწმუნდებოდით, რომ არისტოკრატი იტალიელები არ ცრუობენ. თუ არ დაიზარებთ და თუ თქვენი კომპიუტერის მეხსიერებაში "ფლეშ-6"-იც ჩატვირთული იქნება, დაათვალიერეთ "ტრუსარდის" გაზაფხული/ზაფხულის კოლექცია მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და თავად დარწმუნდებით უბერებელი გულის შესახებ სენტენციის ჭეშმარიტებაში. მოდელებს თეთრი, ცისფერი ჯინსის პერანგები და შარვლები, მხიარული ფერების მაისურები აცვიათ, ახალგაზრდები და ლაღები არიან, მაგრამ არისტოკრატულ გარემოში ცხოვრობენ. სუპერთანამედროვე ჯინსის შარვლებითა და სპორტული მაისურებით ჩუქურთმებიანი და მასიური ხის საწოლებისა და კარადების, მდიდრული მაგიდებისა და ჩარჩოების ფონზე დასეირნობენ.

ასე რომ, "ტრუსარდი ჯინსი" მამაკაცებისთვის ახალგაზრდული ტრადიციის გაგრძელებად უნდა აღვიქვათ. წმინდა სისხლის მწევარი, კომპანიის ლოგოც ხომ თანდაყოლილ არისტოკრატიზმზე, დინამიკურობასა და წინსვლაზე მიგვანიშნებს.

## ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ირაკლი წერეთელი | "არჩილის სამეფო" | | 15.6 |
| ირაკლი მახარაძე | "ერთხელ ამერიკაში... [illegible]" | "სანი" | 4 |
| ლაშა ბუღაძე | "მესამე სართული" | "არეტე" | 3.6 |
| [illegible] | "[illegible]" | "[illegible]" | 3.6 |
| ალენ კარი | "ბოლო სიყვარული – მარტივი გზა" | "რუსთაველი 2 პრინტი" | 2.8 |
| [illegible] | "[illegible]" | | 2.8 |
| აკა მორჩილაძე | "მოგზაურობა ყარაბაღში" | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 2.4 |
| ლადო ასათიანი | "[illegible]" | "[illegible]" | 2.4 |
| [illegible] | "[illegible]" | გია ქარჩხაძის გამომცემლობა | 2 |
| [illegible] | "[illegible]" | [illegible] | 2 |

**კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| Dodgeball: A True Underdog Story | როუსონ ტურბერი | ბენ სტილერი, ვინს ვონი, კრისტინ ტეილორი | 30,070,196 | 30,070,196 |
| "ტერმინალი" | სტივენ სპილბერგი | ტომ ჰენქსი, კეტრინ ზეტა-ჯონსი | 19,053,199 | 19,053,199 |
| "ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე" | ალფონსო კუარონი | დენიელ რედკლიფი, ემა უოტსონი, გერი ოლდმანი | 18,027,466 | 198,925,253 |
| "შრეკი-2" | ენდრიუ ადამსონი | მაიკ მაიერსი, ედი მერფი, კამერონ დიასი, ჯული ენდრიუსი, რუპერტ ევერეტი, ანტონიო ბანდერასი | 13,941,950 | 378,623,263 |
| "გარფილდი" | პიტერ ჰიუიტი | ბილ მიურეი, ჯენიფერ ლავ ჰიუიტი | 11,340,298 | 42,357,064 |
| "რიდიკის ქრონიკები" | დევიდ ტუჰი | ვინ დიზელი, ჯუდი დენჩი | 9,415,155 | 42,498,480 |
| "სტეპფორდის ცოლები" | ფრენკ ოზი | ნიკოლ კიდმანი, გლენ კლოუზი, კრისტოფერ უოკენი, ... | 8,762,198 | 39,016,446 |
| "დღე ხვალის შემდეგ" | როლანდ ემერიხი | დენის კუეიდი, ჯეიკ ჯილენჰოლი | 8,104,100 | 167,310,267 |
| "80 დღე მსოფლიოს გარშემო" | ფრენკ კორაჩი | ჯეკი ჩანი, ჯონ კლიზი | 7,576,132 | 10,362,264 |
| "[illegible]" | [illegible] | [illegible] | 1,778,352 | 34,620,345 |



**თანამედროვე როკის ცხელი ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**

| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული კვირები |
|---|---|---|---|
| "ბისტი ბოიზი" | Ch-Check It Out | 1 | 7 |
| "ველვეტ რევოლვერი" | Slither | 3 | 10 |
| "ჯეტი" | Cold Hard Bitch | 4 | 19 |
| "მოდესტ მაუსი" | Float On | 6 | 13 |
| "ლინკინ პარკი" | Lying From You | 2 | 18 |
| "ინკუბუსი" | Talk Shows on Mute | 7 | 11 |
| ემი ლი და Seether | Broken | 8 | 9 |
| "ჰუბასტანკი" | The Reason | 5 | 20 |
| "მიუზი" | Time Is Running Out | 9 | 12 |
| Three Days Grace | Just Like You | 10 | 10 |

*კალათბურთი*

# 18 წლის ქორი

### კიდევ ერთი ქართველი NBA-ში

ვინ წარმოიდგენდა რამდენიმე წლის წინათ, რომ მოკლე ხანში NBA-ში ოთხი ქართველი კალათბურთელი ითამაშებდა. არადა, ეს უკვე ასეა. ვოვა სტეფანიას, ზაზა ფაჩულიასა და ნიკა ცქიტიშვილს კიდევ ერთი, ვიქტორ სანიკიძე მიემატა, რითაც ოკეანისგაღმა მოთამაშე ქართველ კალათბურთელთა რიცხვმა ოთხს მიაღწია.

203-სანტიმეტრიანი ქართველი ფორვარდი "ატლანტა ჰოუკსის" ღირსებას დაიცავს. "ქორებმა" ის დრაფტის მეორე რაუნდში აიყვანეს – სანიკიძე 42-ე ნომერი იყო. დრაფტში პირველი ნომერი იყო დუაიტ ჰოვარდი, რომელიც, წესისამებრ, გასული სეზონის ყველაზე უარესმა გუნდმა "ორლანდომ" აირჩია. ყოფილი საბჭოეთიდან ამერიკაში სამი რუსი, ერთი ლატვიელი და ერთი უკრაინელი მოხვდა. კიდევ ერთ რუსის, ვიქტორ კარაულოვის აყვანისგან კი ამერიკულმა კლუბებმა თავი შეიკავეს.

*ბოულინგი*

# აი, ასე ვერთობით!

### ბოულინგური კურიოზები და გართობა გართობისთვის

კარგი თამაშია ბოულინგი, არ უნდა იყოს ცუდი. დღეს ამ მოარული ფრაზით ბევრი ხუმრობს. ხუმრობა იქით იყოს და, მართლა კარგი გასართობია ეს მადლიანი თამაში. რაო, გაგიკვირდათ?! აბა, მობრძანდით და ნახეთ, როგორ ერთობიან. მთელი მუღამი ის არის, რომ გასახალისებლად სროლის ტექნიკის დიდი ცოდნა სულაც არ მოგეთხოვებათ, ადექით და გააგორეთ ბურთი. გაგორებას თუ ომახიანი შეძახილითაც დაამშვენებთ, ნამდვილად სრული განტვირთვა გარანტირებული გაქვთ. რა უჭირს მერე, თუ ბურთის სროლაში ვერ ივარგეთ? თქვენ ხომ სათამაშოდ ხართ მოსული! ჰოდა, თამაში სხვას არაფერს ითხოვს თქვენგან. ერთ-ორ სახუმარო ამბავსაც გიამბობთ ბოულინგთან დაკავშირებით: ბოულიგნცენტრი სულ ახალი გახსნილი იყო და ბევრმა არ იცოდა, რომ სათამაშო ბილიკები დაზეთილია. მასზე მოთამაშის გადასვლა რეკომენდებული არ არის, თუნდაც, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბურთთან ერთად, შესაძლოა, თქვენც მოგიხდეთ გასრიალება. აბა, ზოგიერთი მოთამაშე თავს როგორ შეირცხვენს, რომ გაერკვეს თამაშის ელემენტარულ წესებში და საოცრად ავტორიტეტულად იღებს ბურთს, მიეშურება ბილიკზე და ავიწყდება, საიდან უნდა გააგოროს ბურთი. ურჩევნია, რაც შეიძლება ახლო მივიდეს მიზნამდე და აი, მაშინ ხდებოდა კურიოზები: ხალხი ტყაპატყუპით ეცემოდა ბილიკზე, უფრო მოხერხებულნი კი სრიალ-სრიალით მიაგორებდნენ ბურთს, იქნებ უკეთ დავუმიზნოთ კეგლებსო. მაგრამ თუ მაინც დაეცემოდნენ, არ იმჩნევდნენ, თითქოს ეს აუცილებელი ტრიუკი იყო, წამოწოლილნი ოსტატურად გააყოლებდნენ თვალს ბილიკზე მიმავალ ბურთს. თან დარბაზში მიმოიხედავდნენ, ხომ არავინ შეგვამჩნიაო. ასეთი კურიოზი არაერთ ცნობილ ადამიანს დაემართა, მათ შორის ბევრ ყოფილ მინისტრსაც. ამის შემხედვარე სხვა მოთამაშეები ბილიკზე დაცემას ლამის პრესტიჟულადაც თვლიდნენ - ამაში მაინც არ ჩამოვრჩეთ სახელოვან ხალხსო. ეს ადრე ხდებოდა, თორემ ახლა ისე გაიწაფნენ, ისე აითვისეს ყველა ნიუანსი... ერთხელ მარჯვენა ბილიკზე მოთამაშემ ისე მოინდომა, რომ მარცხნივ გადაუვარდა ბურთი. გვერდით მდგომ მოთამაშეს სროლა არ აცალა, ისე წააქცია მიმდებარე ბილიკზე მდგარი კეგლები. თან სიამაყით უთქვამს, რა მაგარი ვარ, ერთი ბილიკი არ მყოფნის, ერთდროულად ორ ბილიკზე ვთამაშობო. აი, ასეც მომხდარა კლუბის ისტორიაში. ისეთი შემთხვევაც იყო, როცა საჭმლის შესაკვეთად მისული მიმტანისთვის მენიუდან კერძის არჩევის ნაცვლად ფეხსაცმლის ზომები დაუსახელებიათ. დაბნეულობის გასაქარწყლებლად მიმტანს ღიმილით აუხსნია, რომ თუ ფეხსაცმლის შეკვეთა სურთ, არც ეს არის პრობლემა, რადგან შეძენის პრაქტიკაც არსებობს, თუკი საკუთარი ფეხსაცმლით თამაშს ამჯობინებთ. ზოგჯერ გამოცვლა დავიწყებიათ და, რომ არა ინსტრუქტორის დროული გაფრთხილება, ბოულინგის სათამაშო ფეხსაცმლითაც ბევრჯერ წავიდოდნენ შინისკენ.

თქვენ კიდევ არ გჯერათ, რომ ბოულინგი კარგი თამაშია. ნამდვილად არ უნდა იყოს ცუდი, მით უმეტეს, თუ საჭმლის ნაცვლად ფეხსაცმელს არ შეუკვეთავთ და არც ბილიკზე გასრიალდებით ბურთის ნაცვლად.

მოკლედ, მობრძანდით და გჯეროდეთ, რომ გართობად ნამდვილად ღირს. კარგი თამაშია და რას ვიზამთ? უნდა გავერთოთ, აბა?!



*TV-სპორტი*

## შაბათი. 26 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ელჯინ ბეილორი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. ფინალი. "NEW JERSEY NETS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-4 მატჩი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "დინამო" (უკრაინა) – პსვ
15:00 "ევროფანკლუბი"
15:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:00 ფუტზალი. ევროპის თასების თასი ესპანეთში
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფინალი. "სანტო ანდრე" – "ფლამენგო". პირველი მატჩი
19:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "ბაიერი" – "სპარტაკი"
22:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 "დარტყმა გოლისთვის"
23:35 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "ბავარია"
01:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ბრეშა" - "იუვენტუსი"
03:05 03:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV – NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. "SAN ANTONIO SPURS" - "NEW JERSEY NETS". მე-2 მატჩი
06:30 NBA TV - დღიური

**НТВ+СПОРТ**

10:00 "ფორმულის ჰარმონია"
11:00, 14:00, 17:00, 19:00, 22:00 პრესცენტრი
11:20, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:25 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
14:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
14:45 ფიგურული სრიალი. სკოტ ჰამილტონის შოუ
15:40 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
16:05 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. პირველი ნაწილი
17:15 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
17:55 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 მძლეოსნობა. IAAF გრან-პრი საფრანგეთში
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ბაიდარები და კანოე. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. 500მ.
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შესვენებისას (01:15)- ახალი ამბები

**EUROSPORT**

10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
11:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:00 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
13:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
14:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი თურქეთში
14:30 მოტორბოლები. ჰოლანდიის გრან-პრი
19:15 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
20:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
21:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
22:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
22:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
23:30 ფეხბურთის სიახლენი
23:45 კრივი
01:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი თურქეთში
02:15 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
02:45 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
03:15 ახალი ამბები
03:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
04:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები

*EURO-2004*

# საფრანგეთი 0:1 საბერძნეთი

გოლები: 0:1 ხარისტეასი (65'),
გაფრთხილება: ზიდანი, საჰა, კარაგუნისი, ზაგორაკისი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)




შეცვლები:
დაკური - ველტორდი,
ტრეზეგე - საჰა,
პირესი - როტენი

| | | |
|---|---|---|
| 2 | დარტყმა კარში | 2 |
| 11 | დარტყმა | 9 |
| 20 | ჯარიმა | 16 |
| 15 | კუთხური | 2 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |

შეცვლები:
ნიკოლაიდისი - ლაკისი,
ბასინასი - ციარტასი



REUTERS

# "ვიტ ჯორჯიას" და "თბილისს" გაუმართლათ. "დინამოს"?

მიხეილ აბაიშვილი

იმ დროს, როცა მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ევროპის ჩემპიონატისკენაა მიპყრობილი, უეფა არც საკლუბო ფეხბურთს ივიწყებს. გუშინ შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის წინასწარი ეტაპების წილისყრა, სადაც გაირკვა ჩვენი გუნდების მეტოქეთა ვინაობა. ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში თბილისის "ვიტ ჯორჯიას" მეტოქე იქნება ფარერის კუნძულების წარმომადგენელი "ტორსჰაგენი". პირველ მატჩს "ვიტ ჯორჯია" 14 ივლისს საკუთარ მოედანზე ჩაატარებს, განმეორებითი კი 21 ივლისს ფარერებზე გაიმართება. წარმატების შემთხვევაში "ვიტ ჯორჯიას" მეტოქე მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონეთის ჩემპიონი "ვისლა" იქნება. მეორე ეტაპის მატჩების გამართვის თარიღი გახლავთ 28 ივლისი და 5 აგვისტო. წილისყრის მიხედვით, პირველი მატჩის მასპინძლობა პოლონეთის გუნდს ერგო.

გთავაზობთ "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტის გურამ რუხაძის კომენტარს.

"წილისყრის შედეგებით ძალზე კმაყოფილები ვართ. ფარერის კუნძულების ჩემპიონი ის ბარიერი არ არის, რომლის გადალახვაც არ შეგვიძლია. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეტოქის შესაძლებლობებს არ გავითვალისწინებთ და არასერიოზულად მივუდგებით მასთან ორრაუნდიან დაპირისპირებას. მთელ მსოფლიოში ფეხბურთი სწრაფი ტემპით ვითარდება და არც ფარერებია გამონაკლისი, რაზეც ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების სულ უფრო უკეთესი შედეგები მეტყველებს. ფარერების ნაკრებში "ტორსჰაგენის" ოთხი ფეხბურთელი თამაშობს. ამ გუნდში რამდენიმე ლეგიონერიცაა. ასე რომ, მხოლოდ ძალების მაქსიმალური კონცენტრაციით და მობილიზებით შევძლებთ მომდევნო ეტაპზე გასვლას.

შემდეგ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან მოგვიწევს თამაში, თუმცა, ვფიქრობ, რომ ფორტუნამ არც აქ გვიმტყუნა. თავისუფლად შეიძლებოდა, მეტოქედ გვრგებოდა ბელგიის "ბრიუგე", თურქეთის "ტრაბზონსფორი", მოსკოვის "ცსკა". მათთან შედარებით "ვისლა" არც ისე გადაულახავი ზღუდის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გუნდი ბოლო წლებში პოლონური ფეხბურთის გამოკვეთილ ლიდერად ჩამოყალიბდა და იოლად არავის დააჩაგვრინებს თავს.

აქვე უნდა ვთქვა, რომ "ვიტ ჯორჯიას" გარშემო ქართულ მედიაში აგორებული ჭორები სიმართლეს არ შეესაბამება. ტრადიციულად, გუნდის ბირთვი შენარჩუნებული გვაქვს. გუნდიდან მხოლოდ რევაზ გოცირიძე წავიდა და თუ ვინმეს საქართველოს ჩემპიონ გუნდში თამაშს რუსეთის ჩემპიონატის ქვედა ლიგაში ყოფნა ურჩევნია, ეს მისი ნება იქნება და ჩვენ ხელს არ შევუშლით. რაც შეეხება დანარჩენებს, ჩვენ გუნდის ბირთვის თითქმის ყველა ფეხბურთელთან უკვე გავაფორმეთ ახალი კონტრაქტი. კობიაშვილი, ნოზაძე, ინწკირველი და ყველა დანარჩენი ფეხბურთელი, რომლებსაც მედია სხვა კლუბებში გადასვლას უწინასწარმეტყველებდა, "ვიტ ჯორჯიას" ახალი ხელშეკრულებებით დაუკავშირდნენ. ღიად დარჩა მხოლოდ ადამიას საკითხი, თუმცა, აქაც მალე სიცხადეს შევიტანთ", - ასეთია რუხაძის პოზიცია კენჭისყრასთან და გუნდში მიმდინარე საკადრო როტაციასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება უეფას თასს, მნიშვნელობით ამ მეორე ევროპულ ტურნირში საქართველოს წარმოადგენს ორი თბილისური გუნდი – "დინამო" და "თბილისი". ქართული საკლუბო ფეხბურთის სამარცხვინოდ, დაბალი რეიტინგის გამო, ჩემპიონთა ლიგის მსგავსად, ჩვენები აქაც ყველაზე დაბალი საფეხურიდან, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ებმებიან გათამაშებაში და ჯგუფურ ტურნირში გასაღწევად სამი ასეთი ეტაპი უნდა გადალახონ. რაც შეეხება საწყის ეტაპს, წილისყრამ ორივე კლუბს პოსტსაბჭოური სივრცის წარმომადგენლები არგუნა. "დინამოს" მეტოქე იქნება ბელორუსის "ბატე", ხოლო "თბილისის" - აზერბაიჯანის "შამქორი". ორივე ქართული გუნდი პირველ მატჩს სტუმრად თამაშობს, რაც ორი მატჩის ჯამში ჩვენების გამარჯვების შანსს გაცილებით ღირებულს ხდის. ამ ტურნირის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები 15 ივლისს, ხოლო განმეორებითი – 29 ივლისს შედგება.

გერმანიის დაბა რუიტში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელს გია გეგუჩაძეს ამ კლუბის პრესატაშის ლევან სალუქვაძის დახმარებით დავუკავშირდით და მომავალი წილისყრის შედეგებზე კომენტარი ვთხოვეთ.

"ბელორუსის "ბატე" სერიოზული მეტოქეა. ამ გუნდის 7-8 ფეხბურთელი თამაშობს ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელმაც ცოტა ხნის წინ დასრულებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზა. ქვეჯგუფში ამ გუნდმა მომავალი ჩემპიონი, იტალიის ნაკრები დაამარცხა (2:1), რაც ბელორუსული ფეხბურთის და კონკრეტულად "ბატეს" მზარდ პოტენციალზე მეტყველებს. ჩვენც ძალზე ახალგაზრდული გუნდი გვყავს – შეკრებაზე მყოფი ფეხბურთელების საშუალო ასაკი 22 წელია. იმის თქმა, რომ წილისყრამ იოლი მეტოქე გვარგუნა, სწორი არ იქნება. თუმცა, ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი მოწინააღმდეგე, მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ვიბრძოლებდით. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება უკეთ მოვემზადოთ და პირველი ბარიერი გადავლახოთ", - განაცხადა გეგუჩაძემ.

ამ ოთხი წლის წინ "დინამო" ასეთივე ტურნირში შეხვდა "ბატეს". მაშინ ქართული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ახალი სამარცხვინო ფურცელი გადაიშალა: ბელორუსულმა გუნდმა "დინამო" 4:0 დაამარცხა და გამოთიშა გათამაშებას. ოთხი წელიწადი არც ისე დიდი დროა, რომ ეს მარცხი დაგვიწყებოდა. მით უმეტეს, რომ დღევანდელი "დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელი იმ ორრაუნდიან დაპირისპირებაში მონაწილეობდა. "დინამოში" განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, "24 საათის" სპორტულ რედაქციას "ბატე"-"დინამოს" წყვილში ფავორიტად ბელორუსის გუნდი მიაჩნია. მოხარული ვიქნებით, თუ ეს მოსაზრება მცდარი გამოდგება და "დინამო" რევანშს აიღებს.

## ჩემპიონთა ლიგა

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

**14-21 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | კრ (ისლანდია) | – | შელბურნი (ირლანდია) |
| 2. | სკონტო (ლატვია) | – | რილი (უელსი) |
| 3. | ფლორა (ესტონეთი) | – | გორიცა (სლოვენია) |
| 4. | ჰიკი (ფინეთი) | – | ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) |
| 5. | პობედა (მაკედონია) | – | პიუნიკი (სომხეთი) |
| 6. | შერიფი (მოლდოვა) | – | ჟენესი (ლუქსემბურგი) |
| **7.** | **ვიტ ჯორჯია (საქართველო)** | – | ტორსჰავნი (ფარერები) |
| 8. | სლიმა (მალტა) | – | კაუნასი (ლიტვა) |
| 9. | შიროკი ბრიეგი (ბოსნია) | – | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) |
| 10. | გომელი (ბელორუსი) | – | ტირანა (ალბანეთი) |

მეორე ეტაპი:
**28 ივლისი, 4 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| მე-5 მატჩის გამარჯვებული | – | შახტარი (უკრაინა) |
| აპოელი (კვიპროსი) | – | სპარტა (ჩეხეთი) |
| როსენბორგი (ნორვეგია) | – | მე-6 მატჩის გამარჯვებული |
| იანგ ბოიზი (შვეიცარია) | – | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) |
| მე-3 მატჩის გამარჯვებული | – | კოპენჰაგენი (დანია) |
| მე-9 მატჩის გამარჯვებული | – | ცსკა (რუსეთი) |
| ჟილინა (სლოვაკეთი) | – | დინამო (რუმინეთი) |
| მე-4 მატჩის გამარჯვებული | – | მაკაბი (ისრაელი) |
| მე-2 მატჩის გამარჯვებული | – | ტრაბზონსპორი (თურქეთი) |
| ბრიუგე (ბელგია) | – | ლოკომოტივი (ბულგარეთი) |
| მე-10 მატჩის გამარჯვებული | – | ფერენცვაროში (უნგრეთი) |
| ჰაიდუკი (ხორვატია) | – | პირველი მატჩის გამარჯვებული |
| იურგორდენი (შვედეთი) | – | მე-8 მატჩის გამარჯვებული |
| მე-7 მატჩის გამარჯვებული | – | ვისლა (პოლონეთი) |

## უეფა-ს თასი

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი:

| | | |
|---|---|---|
| ლევადია (ესტონეთი) | – | ბოჰემიანსი (ირლანდია) |
| ჰავერფორდვესტი (უელსი) | – | ჰაფნარფორდური (ისლანდია) |
| ოსტერი (შვედეთი) | – | ტნს (უელსი) |
| პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) | – | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ბ 68 (ფარერები) | – | ვენტსპილსი (ლატვია) |
| ჰაკა (ფინეთი) | – | ეტცელა (ლუქსემბურგი) |
| ეკრანასი (ლიტვა) | – | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) |
| ვადუცი (ლიხტენშტეინი) | – | ლონგფორდი (ირალნდია) |
| ბ 36 (ფარერები) | – | მეტალურგსი (ლატვია) |
| ალიანსი (ფინეთი) | – | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) |
| აკრანესი (ისლანდია) | – | ტვმკ (ესტონეთი) |
| სილეკსი (მაკედონია) | – | მარიბორი (სლოვენია) |
| პრიმორიე (სლოვენია) | – | მარსაკსლოკი (მალტა) |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | – | პენიაროსა (სან-მარინო) |
| დინამო (ალბანეთი) | – | ოცელული (რუმინეთი) |
| მოდრიცა (ბოსნია) | – | სანტა-კოლომა (ანდორა) |
| ომონია (კვიპროსი) | – | სლოგა (მაკედონია) |
| პარტიზანი (ალბანეთი) | – | ბირკირკარა (მალტა) |
| ილიჩევეცი (უკრაინა) | – | ბანანცი (სომხეთი) |
| შამქორი (აზერბაიჯანი) | – | **თბილისი (საქართველო)** |
| ბატე (ბელორუსი) | – | **დინამო (საქართველო)** |
| შირაქი (აზერბაიჯანი) | – | ტირასპოლი (მოლდოვა) |
| ნისტრუ (მოლდოვა) | – | შახტიორი სოლიგოროკი (ბელორუსი) |
| მიკა (სომხეთი) | – | ჰონვედი (უნგრეთი) |
| ბანსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი) | – | ყარაბახი (აზერბაიჯანი) |

რაგბი

# თბილისიდან კიევში, კიევიდან მალიორკაზე



გია ლაბაძე და მისი თანაგუნდელები კიევშიც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პაატა თოთაძე

დღეიდან კიევში იწყება შვიდკაცაში ევროპის სერიის დასკვნითი ეტაპი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც იღებს მონაწილეობას. ბორჯღალოსნებისთვის ეს რიგით მეორე ტურნირია. ცოტა ხნის წინათ, სერიაში პირველად, ქართველებმა თბილისის შვიდკაცაზე ითამაშეს და პირველობა არავის დაუთმეს. ამ მოგებით ჩვენმა გუნდმა, ფაქტობრივად, გაინაღდა მომავალ თვეში მალიორკაზე, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე თამაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნაკრების წევრები და მწვრთნელი კიევში უბრალოდ თამაშს არ აპირებენ.

“ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებისთვის ვიბრძვით”, - განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა ზაზა ლეჟავამ, - “ჩვენს გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და ვეცდებით, ის ბოლომდე გამოვავლინოთ”.

ნაკრების შემადგენლობა კიევის ტურნირზე არ შეიცვლება – უკრაინაში იგივე მორაგბეები ითამაშებენ, რომლებმაც თბილისში ითამაშეს: გია ლაბაძე, ნონო ანდღულაძე, ირაკლი გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მოდებაძე, ლაშა ფირფილაშვილი, გიორგი კაჭარავა, ირაკლი აბუსერიძე, ლექსო გუგავა. შესაძლოა, მათ კიდევ ორი მორაგბე, ბადრი ხეხელაშვილი და ოთარ ბარკალაია დაემატოს. ხეხელაშვილს არაერთხელ უთამაშია საქართველოს ნაკრებში, ბარკალაიამ კი თბილისის შვიდკაცაზეც ითამაშა, ოღონდ – მეორე ნაკრებში.

საქართველოს ნაკრები A ჯგუფში ითამაშებს უკრაინის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და ავსტრიის ნაკრებებთან ერთად. B ჯგუფში ითამაშებენ პორტუგალიის, ესპანეთის, შვედეთის, ლატვიისა და მოლდოვის ნაკრებები. ტურნირს საქართველო-ავსტრიის მატჩი გახსნის. ჩვენს ჯგუფში ფავორიტი, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრებია. ამას უკრაინელებიც აღიარებენ, თუმცა, იმედოვნებენ, რომ ჯგუფიდან ქართველებთან ერთად სწორედ ისინი გავლენ. მეორე ჯგუფში უდავო უპირატესობას პორტუგალიელები და ესპანელები ფლობენ.

ამასობაში შეიცვალა და ნაწილობრივ დადგინდა ერთა თასის მომავალი გათამაშების კალენდარი. ევროპული რაგბის მმართველებმა, როგორც იქნა, გაიზიარეს გუნდების მოსაზრება და ზამთარში თამაშების ჩატარება გადაიფიქრეს. ისიც დაამატეს, თავადვე მოილაპარაკეთ, ვინ როდის ითამაშებთო. ყველაზე სწრაფად რუმინელებმა იმოქმედეს და უკვე შეადგინეს კალენდარი. “სტეჟარებისთვის” ერთა თასი წლეულს, ნოემბერში დაიწყება – 20 ნოემბერს რუმინეთი ჩეხეთს ეთამაშება. მომდევნო მატჩს რუმინელები 26 თებერვალს გამართავენ რუსეთის ნაკრებთან – ამ პერიოდში ჩვენთან ზღვის სანაპიროზე არ ცივა და თამაშსაც შევძლებთო. საქართველოს 12 მარტს ესტუმრებიან, ერთი კვირის შემდეგ კი უკვე უკრაინაში მოუწევთ ჩასვლა. ბოლო და, რუმინელთა აზრით, გადამწყვეტ მატჩს “სტეჟარი” შინ, 11 ივნისს ჩაატარებს პორტუგალიის ნაკრებთან. კალენდარს აზუსტებენ ჩეხები და პორტუგალიელებიც. ჩვენ როდის დავიწყებთ ამაზე ფიქრს, ჯერჯერობით არაა გარკვეული. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ გუნდები თავიანთთვის ხელსაყრელ კალენდარს ადგენენ და ჩვენთანაც მათთვის მოსახერხებელ დროს ითამაშებენ. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი მერაბ ანთაძე ამჟამად მოსკოვშია და ეს საქმეც მხოლოდ მისი ჩამოსვლის შემდეგ მოგვარდება. რუმინელები იმდენად მონდომებულნი არიან, რომ ნაკრების მწვრთნელიც კი შეცვალეს. ამიერიდან “სტეჟარს” ფრანგი დანიელ სანტამა გაწვრთნის. ამ პოსტზე მან თანამემამულე ფილიპ სატონი შეცვალა. ახალ მწვრთნელს პირველი გამოცდის ჩაბარება დღეს მოუწევს – რუმინელები იტალიელებს ეთამაშებიან ტესტ-მატჩში.

ცურვა

# ”ლაგუნაზე” ოქროს თევზს ეძებენ



ლაგუნას ერთ-ერთი ბინადარი.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ბიბა ბურასაშვილი

გინდა-არ გინდა, “ლაგუნა ვერეს” საცურაო კომპლექსს უნდა მიადგე, ადგილს, რომელსაც ბოლო წლების ქართული საწყლოსნო სახეობების ერთგვარი მაშველის ფუნქცია აკისრია. სწორედ “ლაგუნა ვერეს” დამსახურებით გადარჩა ოთხივე სახეობა - სინქრონული ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი და ცურვა. სხვა საკითხია წმინდა სპორტული მხარე ანუ შედეგები, მაგრამ ამისთვის გაცილებით მეტი რამაა საჭირო. ზოგადად საწყლოსნო სახეობებს საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის გამაჯანსაღებელი ფუნქცია უნდა ეკისრებოდეს. მიუხედავად ამისა, გარკვეული წარმატებები მაინც გვაქვს, რაც, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელიც კია, მაგრამ ფაქტია: წყალში მხტომელებისგან მოდის ისეთი თაობა, რომელიც საერთაშორისო, ამასთან, მეტად პრესტიჟული შეჯიბრებებიდან მედლებით ბრუნდება. ძლიერი თაობაა წყალბურთელებშიც. ეს ის სახეობაა, რომელმაც რამდენჯერმე მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ასპარეზობის უფლება. რაც შეეხება სინქრონულ ცურვასა და ცურვას, აქ რაიმე წარმატებაზე ფიქრი ჯერჯერობით წარმოუდგენლად ჩანს და, ალბათ, კიდევ დიდხანს ასე იქნება.

მაგალითად, გუშინ “ლაგუნა ვერეს” აუზში დასრულდა ოთხდღიანი საქალაქო ჩემპიონატი ცურვაში, რომელშიც ოლიმპიური რეზერვების სკოლის, თბილისის მერიის საწყლოსნო სახეობათა ოლიმპიური რეზერვების სასპორტო სკოლის, ოლიმპიური მომზადების ცენტრის, “ლაგუნა ვერესა” და “შევარდენის” გუნდები და რუსთაველი მოცურავეები ასპარეზობდნენ - დაახლოებით 200 ახალგაზრდა. ბუნებრივია, მათი შედეგებით დავინტერესდით, მაგრამ ისეთი ვერაფერი ალმოვაჩინეთ, რომ სამომავლოდ მაინც ოპტიმისტური განწყობა შეგვქმნოდა. ვლადიმირ გოიაშვილმა – საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმაც აღნიშნა, ის შედეგები, რომელიც ამ ოთხი დღის განმავლობაში მივიღეთ, ვერაფერი ბედენაა, მაგრამ დღეს ამით უნდა დავკმაყოფილდეთო.

საქმე ისაა, რომ ადრე, საბჭოთა ეპოქაში, საქართველოში არსებობდა საცურაო ტრადიციების მქონე ქალაქები - სოხუმის, გაგრის, ქუთაისის, ბათუმის სკოლები. დღეს, აფხაზეთსაც რომ თავი დავანებოთ, სახარბიელოდ არც აქეთაა საქმე. სკოლების გაუქმებასა თუ დახურვას სპორტული ბაზების გაპარტახება მოყვა. თუმცა, გოიაშვილის თქმით, არიან ბავშვები, რომლებთანაც სათანადო მუშაობის შემთხვევაში, შესაძლოა, კარგ შედეგებზეც ვიფიქროთ, მაგრამ მშობლებთან საუბრისას ირკვევა, რომ მათი მიზანია არა სპორტით სერიოზული გატაცება, არამედ ბავშვებისთვის სხეულის გაკაჟება.

“პირადად მე ძალიან მეამაყება რომ “ლაგუნა ვერეს” 26-წლიან ისტორიაში 250 ათასამდე ადამიანმა ისწავლა ცურვა. მართალია, დიდი წარმატებები არასდროს ჰქონია საქართველოს, მაგრამ ყოველთვის ჰყავდა ერთეულები, რომლებიც გარკვეულ ფონს ქმნიდნენ. გვყავდა ოლიმპიური თამაშების პრიზიორები, ევროპის ჩემპიონი თინათინ ლეკვეიშვილი... დღეს კი სპორტულ მხარეზე მეტად იმაზე გვმართებს ყურადღების გამახვილება, რომ ახალგაზრდა თაობას ცურვა ვასწავლოთ. დიდ საქმეს აკეთებდა სოხუმის, გაგრის, ქუთაისის, აჭარის სკოლები. მათი წყალობით მუდმივად ოქროს თევზის ძიებაში ვიყავით. ახლა კი მთელი დატვირთვა თბილისზე მოდის და ისიც - ორი კინკილა აუზის იმედად. დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება. საქართველოს პრეზიდენტი შეგვპირდა, რომ ყველაფერს იღონებს იმისთვის, რათა მარტივი ტიპის საცურაო აუზები შეიქმნას საქართველოს ყველა რეგიონში, რომლის შენახვა ბევრად იოლი იქნება. ერთი სიტყვით, ცურვის მომავალი საქართველოში დამოკიდებულია აუზების ფუნქციონირებაზე”.

# კონკურსი ევრო 2004

25 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული შუალედური შედეგები, ტექნიკური მიზეზების გამო, დაიბეჭდა შეცდომით, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

ლიდერთა მდგომარეობა 26 ივნისისთვის და მათი პროგნოზები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქალაქი | ქ | პროგნოზი ნახევარფინალისტები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 2. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | თბილისი | 96 | პორტუგალია | გერმანია | ესპანეთი | იტალია |
| 3. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | თბილისი | 91 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 4. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 89 | პორტუგალია | ჩეხეთი | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 5. | გიორგობიანი მერაბ რევაზის ძე | თბილისი | 86 | პორტუგალია | შვეცია | ესპანეთი | იტალია |
| 6-8. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 85 | პორტუგალია | ინგლისი | იტალია | ჩეხეთი |
| 6-8. | დოლიძე დავით პაატას ძე | თბილისი | 85 | ჰოლანდია | იტალია | საფრანგეთი | ესპანეთი |
| 6-8. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 85 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 9-14. | ალბუთაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | თბილისი | 84 | პორტუგალია | ბულგარეთი | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 9-14. | გიორგაძე ჟორა აკაკის ძე | ქუთაისი | 84 | პორტუგალია | ჰოლანდია | საბერძნეთი | იტალია |
| 9-14. | გრიგოლაშვილი ვალერი ილიას ძე | თბილისი | 84 | პორტუგალია | გერმანია | ინგლისი | ჩეხეთი |
| 9-14. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 84 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 9-14. | მუმლაძე მარეხ შოთას ასული | | 84 | ესპანეთი | საფრანგეთი | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 9-14. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 84 | პორტუგალია | გერმანია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 15. | გუსეინოვი თემურ ჰამლეტის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 16-22. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 80 | პორტუგალია | ინგლისი | ჩეხეთი | ჰოლანდია |
| 16-22. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 80 | პორტუგალია | საფრანგეთი | გერმანია | ჰოლანდია |
| 16-22. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 80 | პორტუგალია | ინგლისი | იტალია | ჩეხეთი |
| 16-22. | მატარაძე ოთარ მამუკას ძე | თბილისი | 80 | პორტუგალია | გერმანია | ინგლისი | საფრანგეთი |
| 16-22. | მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | ბათუმი | 80 | პორტუგალია | გერმანია | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 16-22. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 80 | პორტუგალია | საფრანგეთი | გერმანია | ჰოლანდია |
| 16-22. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | თბილისი | 80 | ინგლისი | იტალია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 23-27. | გოგინაშვილი ბექა ვალერიანის ძე | თბილისი | 79 | იტალია | პორტუგალია | ესპანეთი | გერმანია |
| 23-27. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 79 | პორტუგალია | იტალია | ესპანეთი | ჩეხეთი |
| 23-27. | ცინცაძე დავით გიორგის ძე | თბილისი | 79 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 23-27. | წულუკიძე როსტომ ზურაბის ძე | თბილისი | 79 | პორტუგალია | ჰოლანდია | საფრანგეთი | იტალია |
| 23-27. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | თბილისი | 79 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 28-33. | გიორგი უშვერიძე თამაზის ძე | თბილისი | 78 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 28-33. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | თბილისი | 78 | პორტუგალია | იტალია | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 28-33. | უშვერიძე გიორგი თამაზის ძე | თბილისი | 78 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 28-33. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | თბილისი | 78 | საფრანგეთი | პორტუგალია | შვეცია | ჩეხეთი |
| 28-33. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | თბილისი | 78 | ჩეხეთი | პორტუგალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 28-33. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 78 | პორტუგალია | საბერძნეთი | იტალია | ინგლისი |
| 34-35. | ბერიძე თორნიკე მუხრანის ძე | თბილისი | 77 | პორტუგალია | იტალია | საბერძნეთი | ჰოლანდია |
| 34-35. | სულთანოვი მიხეილ ნურის ძე | თბილისი | 77 | პორტუგალია | იტალია | საბერძნეთი | ჰოლანდია |
| 36-37. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 75 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 36-37. | ჩაჩანიძე არჩილ ტიტეს ძე | თბილისი | 75 | ესპანეთი | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 38-59. | აიდოევი ზვიად შალვას ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 38-59. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | საფრანგეთი | ჩეხეთი | გერმანია |
| 38-59. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 38-59. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | ესპანეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 38-59. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | გერმანია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 38-59. | გეთიაშვილი გიორგი გოჩას ძე | თბილისი | 74 | საფრანგეთი | ჰოლანდია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 38-59. | გელაშვილი ზურა ვაჟას ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | ესპანეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 38-59. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | ჩეხეთი | იტალია | საფრანგეთი |
| 38-59. | დარჯანია გიორგი რევაზის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | ჰოლანდია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 38-59. | თავბერიძე ზურა კახის ძე | | 74 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 38-59. | ისმაილოვი რუსლან ნიაზის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 38-59. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | ინგლისი | იტალია | ჩეხეთი |
| 38-59. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | ჰოლანდია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 38-59. | კახელიშვილი მამუკა ნოდარის ძე | | 74 | ესპანეთი | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია |
| 38-59. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | გერმანია |
| 38-59. | მელაშვილი დავით დიმიტრის ძე | თბილისი | 74 | ინგლისი | ჰოლანდია | გერმანია | პორტუგალია |
| 38-59. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | იტალია | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 38-59. | ონიანი დავით როლანდის ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | ჩეხეთი | ჰოლანდია | ინგლისი |
| 38-59. | ქავთარაძე გივი ილიას ძე | | 74 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 38-59. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | საფრანგეთი | ჰოლანდია | გერმანია |
| 38-59. | ცხაკაია რეზო ვასილის ძე | თბილისი | 74 | იტალია | პორტუგალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 38-59. | წიკლაური თამაზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 74 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 60-72. | გირკელიძე არჩილ ვალერის ძე | თბილისი | 73 | გერმანია | ესპანეთი | პორტუგალია | იტალია |
| 60-72. | დავითულიანი გიორგი როლანდის ძე | თბილისი | 73 | საფრანგეთი | პორტუგალია | იტალია | ჰოლანდია |
| 60-72. | ელბაქიძე ლია ივანეს ასული | თბილისი | 73 | პორტუგალია | იტალია | ინგლისი | გერმანია |
| 60-72. | კაციტაძე კახაბერ ჯემალის ძე | თბილისი | 73 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 60-72. | კოპალეიშვილი პაატა ალექსანდრეს ძე | თბილისი | 73 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 60-72. | მაკრახიძე ნოდარ დიმიტრის ძე | თბილისი | 73 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 60-72. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | თბილისი | 73 | პორტუგალია | იტალია | ესპანეთი | ჰოლანდია |
| 60-72. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 73 | პორტუგალია | იტალია | ჰოლანდია | საფრანგეთი |
| 60-72. | ქაჯაია ლევან კარლოს ძე | | 73 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 60-72. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | თბილისი | 73 | პორტუგალია | გერმანია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 60-72. | ჩხაიძე გიორგი შოთას ძე | თბილისი | 73 | ესპანეთი | იტალია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 60-72. | ცუცქირიძე თეიმურაზ გიორგის ძე | თბილისი | 73 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ესპანეთი |
| 60-72. | ხუნდაძე ვაჟა სიმონის ძე | სამტრედია | 73 | იტალია | ინგლისი | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 73-78. | არღვლიანი ზვიად ბიძინას ძე | თბილისი | 72 | ინგლისი | შვეცია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 73-78. | ასვანუა ლევან პაატას ძე | თბილისი | 72 | პორტუგალია | იტალია | ესპანეთი | ჰოლანდია |
| 73-78. | დანელია არველოდ ილიას ძე | | 72 | პორტუგალია | იტალია | ინგლისი | ჰოლანდია |
| 73-78. | კალმახელიძე აკაკი დავითის ძე | თბილისი | 72 | ესპანეთი | იტალია | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 73-78. | რობაქიძე ოთარ მურმანის ძე | | 72 | საფრანგეთი | ინგლისი | იტალია | პორტუგალია |
| 73-78. | ფილია ვიქტორ ანზორის ძე | თბილისი | 72 | პორტუგალია | ჰოლანდია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 79. | ხატიაშვილი შალვა ნოდარის ძე | თბილისი | 71 | პორტუგალია | იტალია | საბერძნეთი | ჰოლანდია |
| 80-82. | გელაძე გელა ტარიელის ძე | თბილისი | 70 | საფრანგეთი | ჩეხეთი | ინგლისი | ჰოლანდია |
| 80-82. | დარბინიანი ვოსკან ძე | | 70 | ესპანეთი | რუსეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 80-82. | ხვედელიანი ირაკლი მიხეილის ძე | თბილისი | 70 | საფრანგეთი | იტალია | ჩეხეთი | ინგლისი |
| 83-99. | გელენავა გიორგი ზაურის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | საფრანგეთი | გერმანია | იტალია |
| 83-99. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | ინგლისი | გერმანია | ხორვატია |
| 83-99. | ზაზაშვილი ზურაბ ბეჟანის ძე | თბილისი | 69 | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 83-99. | ზანგალაძე ნოდარ ქრისტეფორეს ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | ჰოლანდია | საფრანგეთი | გერმანია |
| 83-99. | იმნაიშვილი არჩილ ვაჟას ძე | თბილისი | 69 | ესპანეთი | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 83-99. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | ინგლისი | გერმანია | ჰოლანდია |
| 89. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | ჩეხეთი | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 83-99. | კალანდაძე ბადრი გივის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | გერმანია |
| 83-99. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | ჰოლანდია | საფრანგეთი | გერმანია |
| 83-99. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | შვეცია | საფრანგეთი | გერმანია |
| 83-99. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | თბილისი | 69 | საფრანგეთი | იტალია | პორტუგალია | შვეცია |
| 83-99. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | ჩეხეთი | საფრანგეთი | იტალია |
| 83-99. | შაყულაშვილი ვასილ გურამის ძე | | 69 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 83-99. | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | თბილისი | 69 | იტალია | პორტუგალია | ჩეხეთი | საფრანგეთი |
| 83-99. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 69 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 83-99. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 69 | ესპანეთი | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 83-99. | ჯოგლიძე ბესიკ ბეჟანის ძე | ონი | 69 | პორტუგალია | იტალია | ესპანეთი | ჰოლანდია |
| 100-141. | აბშილავა ლუკა თამაზის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 100-141. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | ჩეხეთი | ესპანეთი | გერმანია |
| 100-141. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | ჩეხეთი | ჰოლანდია |
| 100-141. | გარაყანიძე გოდერძი უშანგის ძე | თბილისი | 68 | იტალია | ინგლისი | პორტუგალია | დანია |
| 100-141. | გულისაშვილი ლევან სოლომონის ძე | თბილისი | 68 | ესპანეთი | პორტუგალია | იტალია | გერმანია |
| 100-141. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | ჩეხეთი | ინგლისი | იტალია |
| 100-141. | ზურაბიანი დათო ნოდარის ძე | | 68 | პორტუგალია | ინგლისი | იტალია | გერმანია |
| 100-141. | თავართქილაძე მირიან იოსების ძე | თბილისი | 68 | ინგლისი | პორტუგალია | იტალია | ჰოლანდია |
| 100-141. | თეთვაძე ოთარ ვლადიმერის ძე | თბილისი | 68 | საბერძნეთი | პორტუგალია | დანია | გერმანია |
| 100-141. | ირემაძე გოგა გიზოს ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 100-141. | კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | გერმანია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 100-141. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | ესპანეთი | ჩეხეთი |
| 100-141. | მატარაძე ლევან მამუკას ძე | თბილისი | 68 | ჰოლანდია | იტალია | პორტუგალია | გერმანია |
| 100-141. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | გერმანია |
| 100-141. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 100-141. | მიროტაძე დავით ჯუმბერის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 100-141. | მუმლაძე ლეგა ბახვას ძე | | 68 | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 100-141. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | ესპანეთი | ჰოლანდია | გერმანია |
| 100-141. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 68 | იტალია | პორტუგალია | საფრანგეთი | ესპანეთი |
| 100-141. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 68 | იტალია | საფრანგეთი | ინგლისი | პორტუგალია |
| 100-141. | მხატვარი გიორგი თამაზის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 100-141. | ნათელაშვილი სოსო ვალიკოს ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | ხორვატია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 100-141. | ნამჩევაძე ბადრი გურამის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 100-141. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 100-141. | როგავა რეზო თამაზის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 100-141. | სიმონიშვილი ვასილ თეიმურაზის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 100-141. | ღამბაშიძე კოტე გიორგის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | გერმანია |
| 100-141. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | თბილისი | 68 | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 100-141. | ჩაკვეტაძე ნინო ემზარის ასული | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | გერმანია |
| 100-141. | ჩარგაზია კოტე გიორგის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჩეხეთი |
| 100-141. | ჩუბინიძე გიორგი ამირანის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | გერმანია |
| 100-141. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | თბილისი | 68 | იტალია | ჰოლანდია | ინგლისი | პორტუგალია |
| 100-141. | ცინცაძე ნელი გენოს ასული | თბილისი | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 100-141. | ძაძამია ლაშა მირიანის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | იტალია | ჰოლანდია |
| 100-141. | ძიმისტარიშვილი თეიმურაზ მურთაზის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 100-141. | ხახუტაიშვილი თენგო შუქრის ძე | | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | ხორვატია | ინგლისი |
| 100-141. | ჯაბაური დავით ლევანის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 100-141. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 68 | ესპანეთი | ჰოლანდია | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 100-141. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | იტალია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 100-141. | ჯოხარიძე ზურაბ გიორგის ძე | თბილისი | 68 | ჩეხეთი | ხორვატია | იტალია | პორტუგალია |
| 100-141. | ჯოხარიძე ზურაბ გიორგის ძე | თბილისი | 68 | ინგლისი | პორტუგალია | იტალია | ჩეხეთი |
| 100-141. | ჯოხარიძე ზურაბ გიორგის ძე | თბილისი | 68 | პორტუგალია | საფრანგეთი | ჰოლანდია | ხორვატია |



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მგზავრის წერილი

## პროლოგი

თვითდაჯერებულობაში, სითამამეში ნუ ჩამითვლით, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, ვიფიქრო, რომ ერთი-ორმა მკითხველმა მაინც შეამჩნია, წინა კვირის გაზეთში რუბრიკა "გულახდილად" რომ არ ყოფილა. შვიდი-რვა დღე ბათუმში, უფრო სწორად კი სოფელ გონიოში ვიყავი წასული, სადაც მამაჩემს სამხატვრო სახელოსნო ჰქონდა, დღეს კი მისი სახლ-მუზეუმია გახსნილი. ამ სახლი-სახელოსნოს არსებობის პირველი დღიდან, აი უკვე ცამეტი წელიწადია, გონიოში ყოველ წელს დავდივარ და, შესაბამისად, თბილისი-ბათუმის გზა ერთი პატარა მშობლიური ქუჩასავით ვიცი. ქვეყანა რომ ღრმა ჩიხში იყო შესული და არავინ აპირებდა მის იქიდან გამოყვანას, ბოლო ათწლეული ყველამ კარგად ვიცოდით, ამიტომაც თბილისი-ბათუმის ტრასაზე მძვინვარე გაპარტახებულობასა და აბსურდულობას მიძინებულ-უინიციატივო, აღშფოთებული, მაგრამ უძლური თვალით ვუყურებდი, მტკიოდა და ჩუმად ვიყავი. ვინაიდან ამ ბოლო თვეებში მე, ისევე როგორც მთელ საქართველოს, მომავლის თუნდაც ელემენტარული იმედი გამიჩნდა, არაერთხელ გავლილი გზა ამჯერად სულ სხვაგვარად აღვიქვი. ასეთი ნაცნობი ტრასის სურათს განსაკუთრებული ყურადღებით ვათვალიერებდი, ვცდილობდი გამოსასწორებელი, გასათვალისწინებელი, გასაკეთებელი, შესაცვლელი არაფერი გამომრჩენოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მეც კი რაღაცის შველა, გადარჩენა შემიძლია, მთავარია, არ გამომრჩეს, დროზე შევნიშნო და აღვნიშნო.

## გზა

თბილისიდან დილის 9 საათზე მე, ჩემი ორი მეგობარი და მათი შვილები (6 და 8 წლის გოგონები) მოწესრიგებულად, მხოლოდ ქალებისთვის დამახასიათებელი ორგანიზებულობით გავედით. ერთ-ერთი ჩემი მეგობარი ბოლო თხუთმეტი წელიწადი ამერიკაში ცხოვრობს, დასავლეთ საქართველოში და, კონკრეტულად ბათუმში კი, ოცდახუთი წელიწადი არ ყოფილა. უცნაურია, მაგრამ ჩემი თავი დავიჭირე, რომ ბევრ რამეზე მისი, როგორც "უცხოელი სტუმრის", ყურადღების გამახვილება მინდოდა; ბევრის კი პირიქით, შემრცხვა - თითქოს ჩემი და ჩემი უსუსური პასიურობის ბრალიც იყო. მცხეთას რომ მივუახლოვდით, ბავშვებისთვის ჯვარის, სვეტიცხოვლის ჩვენება გვინდოდა, მაგრამ მივხვდით, რომ, სამწუხაროდ, დღესდღეობით ძველი სატახტო ქალაქი უნიკალურ ძეგლებზე არანაკლებად უნიკალური რესტორნებით არის გამორჩეული, რაც ხმამაღალი, პრეტენზიული სახელწოდებებიდან ("მეფის კარი", "სადარბაზო" და ა.შ.) დაწყებული, სპეციფიკური, პროვინციული არქიტექტურით დამთავრებული, ნამდვილად დღევანდელი მცხეთის გულდასაწყვეტ უნივერსალურობაზე მეტყველებს. ერთადერთი, რაშიც გაგვიმართლა, დილა იყო, უგემოვნო ნეონის განათებები არ ჩახჩახებდა, კლონირებული მახინჯი რესტორნებიდან "სტიუარდესა ჟანას" ზურნა-დუდუკზე შესრულებული მელოდია მაინც არ ისმოდა, რამაც ჯვრის გენიალურობის აღქმაში ბავშვებს საბოლოოდ არ შეუშალა ხელი. მცხეთის გასასვლელში, სრულიად ალოგიკურად, უფრო სწორად კი სიურეალისტურად, გზის პირას, ერთ პატარა მონაკვეთზე, ხელოვნური წითელ-ნარინჯისფერი ვარდებიდან გაკეთებული სამგლოვიარო გვირგვინებით ვაჭრობის ეპიცენტრია, რომელიც მგზავრებში არც ისე სასიამოვნო ასოციაციას იწვევს. ნეტავი ვისთვის არის ეს გვირგვინები? - ალბათ, რესტორნებში უხარისხო საჭმელ-სასმელისგან მოწამლულებისთვის. მეორე მხრივ, საქართველოს ტრასებზე სამარშრუტო ტაქსების, სატვირთო მანქანების სახით ნამდვილი მკვლელები დაქრიან და გვირგვინებიც, ალბათ, მათი მსხვერპლისთვის არის განკუთვნილი. გზატკეცილებზე მანქანის ქართული ტარების მანერის აღწერა შეუძლებელია - ვინ რა სიჩქარით მოფრინავს, ვინ სად აჩერებს, რატომ, როგორ, ვინ ვის უსწრებს, ვინ რა ფერის, სუნის, რაოდენობისა და მომწამვლელობის ბოლს უშვებს! ამ ქართული ავტორალის შედეგად კი თბილისი-ბათუმის მთელ გზაზე, ყოველგვარი სამგლოვიარო გვირგვინების გარეშე, მკვდარი ძაღლების ლეშები კენჭებივით არის მიმობნეული. მძღოლების უმაღლესი პროფესიონალიზმი ამ ყველაფრისგან ერთდროულად თავის არიდებაში გამოიხატება - მარშრუტკის გაჩერება ინტუიციით უნდა ამოიცნო, დაგდებულ ძაღლს ვირაჟით, დროზე აუარო, ტრაილერი გზიდან გადასვლის ფასად როგორმე გაატარო, გამონაბოლქვისგან აირწინალი გაიკეთო, ორმოში არ ჩაარტყა, მესამე რიგში გამსწრები დელიკატურად გაუშვა წინ და მაშინ მცხეთის გასასვლელში ნაყიდი სამგლოვიარო გვირგვინი, ეგება, არც დაგჭირდეს.

გორთან მზისგან ცხელი ხილი, მდუღარე წყალი ვიყიდეთ. ბავშვების ტუალეტში შეყვანა ვცადეთ. მივხვდით, რომ ეს ბავშვების ჯანმრთელობისთვის უკვე ზედმეტად მაღალი რისკი იყო, ბუჩქი ვერსად ვიპოვეთ და აწუწუნებული ბავშვებით გზა გავაგრძელეთ. ხაშურის შესასვლელში წამოჭიმული ორი ტიპური საცხოვრებელი კორპუსი ჯერ კიდევ ბავშვობიდან, დედას ბაკურიანში რომ დავყავდი, ერთ კითხვას მბადებდა - ნეტავ ამ იშვიათად უსახურ სახლში, პატარა ბინაში, ტრასაზე ხედით, როგორი ცხოვრებით ცხოვრობენ. წლები გავიდა, გავიზარდე, ბავშვურ-მიამიტურ შეკითხვაზე ზუსტი პასუხი გამიჩნდა. აწი უკვე ვბერდები, ხაშურის კორპუსები კი პირამიდებივით წლებით დამშვენებული, მოუვლელობისგან, უპატრონობისგან კიდევ უფრო დამთრგუნველი, ქვეყანაში გამძვინვარებული უბადრუკობის სიმბოლო-ძეგლებივით დგას და მათ გარშემო, სრულიად აუხსნელად, მხოლოდ საქართველოსთვის გასაგები მარკეტინგის პრინციპით, ჰამაკები იყიდება. ყველა ხეზე, ბოძზე, ღობეზე, ჭიშკარზე ლურჯი, წითელი, სინთეტიკური, მოსახერხებელი და მოუხერხებელი, უშნო და ლამაზი კუსტარული ჰამაკებია გამოფენილი. ჰამაკი გნებავთ - ხაშურში მიბრძანდით. ისიც მის დასაწყის ნაწილში, თორემ ბოლოში არც იციან, ჰამაკი სად უნდა იშოვო, იქ მხოლოდ წყლით ვაჭრობენ, თანაც ისეთი რაოდენობით, თითქოს სადმე იქვე, ახლომახლო წყალი მოიპოვება. სურამის ციხეს რომ მივუახლოვდით, ჩემმა მეგობარმა ბავშვებს ციხის აშენების ლეგენდა მოუყვა, რამაც თანამედროვე ბავშვები ცოტა შეაშინა. ჩვენ, უფროსები კი, სურამის ბორცვზე რამდენიმე წლის წინ აშენებული წითელსახურავიანი თეთრი ეკლესიის არქიტექტურამ შეგვაშფოთა. ნეტავი ვინ არის ამ ეკლესიის ავტორი? თუ ეკლესიის პროპორციით ვიმსჯელებთ, ალბათ, რუსი არქიტექტორი. სურამის შესასვლელთან თონეში ახალგამოცხობილი ცხელი და ძალიან გემრიელი პური ან ნაზუქი უნდა იყიდო, რომელსაც გამყიდველები მგზავრებს მარაოებივით ცხვირწინ უფრიალებენ და სურამის მეორე ნაწილში, მიწყობილად აშენებულ რომელიმე გაუგებარ ფიცრულ კვების ობიექტში მიირთვა, თან ყავა მიაყოლო, თუ, რა თქმა უნდა, იმ სითხეს შეიძლება ყავა ვუწოდოთ. ჩემი "ამერიკელი" მეგობარი ვერაფრით მიხვდა ქართული ვაჭრობის ამგვარ პრინციპს: ხაშური 1 - ჰამაკი, ხაშური 2 - წყალი, სურამი 1 - ნაზუქი, სურამი 2 - გინდა თუ არა, ჭამე და ჯანმრთელობისთვის არანაკლებად სახიფათო ფასიან ტუალეტში შედი, თორემ მერე მთელ გზაზე ტუალეტს ველარ ნახავ, თუმცა, ისევე, როგორც წყალს ან პურს ველარსად იყიდი, ჰამაკზე რომ აღარაფერი ვთქვა.

რიკოთზე ერთი ლარი გადავიხადეთ, ქვითარი ავიღეთ და ამდენი წლის განმავლობაში პირველად მქონდა ბუნდოვანი რწმენა, რომ, ეგება, ჩემი ლარიანი ვიღაცის ჯიბეში ახლა მაინც არ ჩარჩება. ვაითუ ვცდები!

რიკოთის უღელტეხილის გავლისას ბუნების სილამაზემ ყველა სხვა ემოცია, დაღლა დაჩრდილა. მიძინებული ბავშვებიც კი გამოფხიზლდნენ და მანქანის მთელი შემადგენლობა იმერეთის ენით აუწერელი სილამაზით ვტკბებოდით, რომელიც დილის მზის განათებაზე კიდევ უფრო რბილი, დამამშვიდებელი და შთამბეჭდავი იყო. სამწუხაროდ, ყველამ ვიცით, რომ საქართველო ძალიან ლამაზი, მაგრამ ამავე დროს კონტრასტული ქვეყანაა და ამგვარი ამაღლებული განწყობის შემდეგ ზესტაფონის მოუვლელობამ, გაჭირვებამ და სპილბერგის ან ტარკოვსკის ფილმების დეკორაციის მსგავსმა ფეროს ქარხანამ მომენტალურად, უხეშად დაგვაბრუნა მიწაზე. არ ვიცი და არც მაინტერესებს, ეს ქარხანა ვისია, მაგრამ წარმოუდგენელ დღეში რომ არის, ამაზე ალბათ არავინ შემეკამათება. ქარხნის მფლობელების ზოგიერთი ნამდვილი და ზოგიერთი მონაჭორი რა სახელები და გვარები არ დასახელებულა და, რა? სირცხვილი! მაგრამ, ზესტაფონის ქარხნიდან მიღებული შოკური შთაბეჭდილება კიდევ არაფერია იმ სტრესთან, რომელსაც ქუთაისის, საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქის გარეუბნის ნახვით ღებულობ (ცენტრში არ შევსულვართ). ქუთაისის ნახვისას ერთი სადისტური იდეა დამებადა, რომელიც თქვენც მინდა გაგიზიაროთ. მე მგონი, კარგი იქნება, წლების განმავლობაში იმერეთის ყოფილი გუბერნატორი, დემაგოგი თემურ შაშიაშვილი ქუთაისის გარეუბნის რომელიმე კორპუსის ლოჯიამიწებებულ, მიშენებულ-მოშენებულ, პირველ სართულზე მდებარე ბინაში იძულებით დავასახლოთ. ამას, ჩემი აზრით, არანაირი კამერა არ შეედრება. დასჯაც გამოგვივა, შურისძიებაც, ჭკუის სწავლებაც და ყოფილი გუბერნატორის შესაბამისი ბინით უზრუნველყოფაც. გამაგებინეთ, მიწის ზედაპირიდან ასე უმოწყალოდ, უკვალოდ ქუთაისის ქუჩებში ასფალტი რამ გააქრო, მოსპო, დაადნო? რამ ჩამოფხიკა, მიანგრია, ჩამოანგრია ისედაც მახინჯი ტიპური ნაგებობები? ვინ მისცა ამდენი მიშენების უფლება? რამ გააფუჭა ქუთაისის გარეუბნის ყველა შუქნიშანი? ამდენი ნაგავი ასე საგულდაგულოდ ვინ მიმოაბნია ისე, რომ ერთი ქუჩა, კუთხე-კუნჭულიც არ დავიწყებია? ამდენი ლომბარდი და ტოტალიზატორი ვინ გახსნა? მოლურჯო-მომწვანო სასიკვდილო ბოლის გამომშვები ქუთაისის სამარშრუტო ტაქსები ვის ეკუთვნის? ვის აბარია ქუთაისის სარეკლამო ბილბორდები, რომლებზეც შეყვარებული ქუთაისელი გოგო და ბიჭი ასე უიმედოდ, ყოველგვარი ჟინის გარეშე კოცნიან ერთმანეთს? ჰოდა, დასახლდება თემურ შაშიაშვილი მის მიერ ასეთ მოვლილ, ნაფერებ ქალაქის რაიონში და ხალხის ჭირ-ვარამს უკეთ გაიგებს. აკი ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! მთელი იმერეთის მთავარი ლაიტმოტივი კი, ბუნების სილამაზისა და გემრიელი კერძების მქონე რესტორნების პარალელურად, ჩეროში მიმალული, კარგ იმერულ ხაჭაპურებზე შესუქებული წითელლოყება, კეთილი (ქალებს ფულს არ გვართმევდნენ, უბრალოდ, ცოტა გვეარშიყებოდნენ), ზარმაცი (ხის ჩრდილში დგანან და იქიდან გამოსვლაც კი ეზარებათ) ინსპექტორებია, რომლებიც ყოველ 100-200 მეტრში დგანან და მგზავრების სახით მსხვერპლს ელოდებიან. ნეტა ამდენი ორლარიანი სად, ვისთან მიაქვთ?

გურიაში გზა გაუკეთებიათ! ვაშა!!! აი, რას ნიშნავს არაგურული პრეზიდენტი! მართალია, რამდენიმე გაუკეთებელი მონაკვეთი ჯერ კიდევ დარჩა, მაგრამ ამას ვინღა დაეძებს! გზის ხარისხიდან გამომდინარე, პირველად მოგვეცა საშუალება, ყურადღება ორმოებიდან გურიის სოფლებზე, ეზოებზე გადაგვეტანა. როგორი სიყვარულით, შინაგანი კულტურით არის ყველა ეზო მოვლილი, გამწვანებული და ერთი-ორი ეგზოტიკური მცენარით მაინც დეკორირებული. არა, ქართველები მაინც ძალიან ესთეტი ერი ვართ, თუ გვაცლიან, რა თქმა უნდა! გურია ყოველგვარი ექსცესების გარეშე გავიარეთ და როდესაც ურეკის რკინიგზის სადგურს მივუახლოვდით, ბავშვებმა ჩათვალეს, რომ ეს სათამაშო სახლია, ზუსტად ისეთი, როგორიც ყველა სათამაშო რკინიგზას მოჰყვება, მასში მულტ-პერსონაჟები ბინადრობენ და სათამაშოდ გაჩერება მოგვთხოვეს. სამწუხაროდ, ჩვენი რეალისტური ასაკიდან გამომდინარე, ზუსტად ვიცოდით, რომ ამ არქიტექტურულ შედევრში მიკი მაუსი არ ცხოვრობს და ერთადერთი, ვინც შეიძლება შეგვხვდეს, ულვაშებიანი კარაბას ბარაბასია. ამიტომ სადგურს გაუჩერებლად გავცდით და ბავშვებს იმედი გავუცრუეთ. ჩოლოქთან დაკავშირებით ამერიკაში მცხოვრები მეგობრის შემზადება ურეკიდან დავიწყეთ. წვრილად ვუყვებოდით, სად იდგა საგუშაგოები, ბეტონები, ჯიხურები, რამდენი პოლიციელი იცავდა ამ მოგონილ საზღვარს, როგორ ამოწმებდნენ საბუთებს, მანქანებს და თავისუფალი ჩოლოქის გავლით რამხელა ბედნიერება გველის წინ. წინასწარ არასდროს არ უნდა იფიქრო! ჩოლოქს მივადექით და რას ვხედავთ! ჩვენს წინ, ისე, რომ ჩვენი მანქანა რიგში მეორე აღმოჩნდა, ჩოლოქის გზის მონაკვეთი ჩაიკეტა. დიდ, ჭილოფის დაწნილ ქუდებში და საგულდაგულოდ შავებში გამოწყობილმა ასამდე გურულმა მეჩაიე ქალმა, რომლებიც ოზურგეთიდან სატვირთო მანქანით, დროშებით, დამჭკნარი ვარდებითა და კედელზე გასაკვრელ "აბოებზე" დაწერილი ტრანსპარანტებით ხელში ჩამოვიდნენ, მანიფესტაცია მოაწყვეს და ჩაის მწარმოებელი კომპანია "მარტინ ბაუერისგან" კუთვნილ დავალიანებას და ტარიფის გაზრდას ითხოვდნენ (1 კგ - 10 თ.), პრეზიდენტს ელოდებოდნენ, დაშლას არც აპირებდნენ და ბოლო ხმაზე მიშა! მიშა! მიშას! გაჰკიოდნენ. რა არ ვეცადეთ! ჩემი "ამერიკელი" მეგობარი თავდაპირველად თავს იმით აცოდებდა, რომ ქალები ბავშვებით თბილისიდან მოვდივართ, ფეხზე ძლივს ვდგავართ, ბავშვები ტირიან; რომ 25 წელიწადია; შავი ზღვა არ უნახავს, მაგრამ ყველაფერი ამაოდ. მიშა! მიშა! მიშა! ყველაზე ნერვიულები, მოუთმენლები, არაკომუნიკაბელურები ქართველი კაცები აღმოჩნდნენ - ზოგიერთი ყვიროდა, იგინებოდა, ცდილობდა, თუნდაც ვინმეს გაჭყლეტის ფასად, მანქანით ხალხი გაერღვია, მაგრამ გურული ქალები ასე იოლად დასამარცხებლები არ არიან, მით უმეტეს, როდესაც მართლები არიან. მიშა! მიშა! მიშა! ხალხში დეპუტატი ელენე თევდორაძე გამოჩნდა, რომელიც აჭარიდან მოდიოდა, მასაც გზა გადაკეტილი დახვდა, საკმაოდ ზედაპირულად სცადა მოლაპარაკება - უშედეგოდ, პრეზიდენტისადმი მიწერილი წერილების მთელი დასტა აკრიფა, მეჩაიეებს დაჰპირდა, რომ ხელიდან ხელში გადასცემს და გაუჩინარდა. მიშა! მიშა! მიშა! ამ დროს ჩაქვის დასასვენებელი კომპლექსი "ოაზისი" დეპუტატებით იყო სავსე, რომელთა უმრავლესობა (თუ ტელესიუჟეტებით ვიმსჯელებთ) ხელბურთს, ჩოგბურთს თამაშობდა, აჭარულ ხაჭაპურს მიირთმევდა და ზღვის ნაპირზე შავდებოდა. ჩოლოქზე შექმნილი მდგომარეობის განმუხტვის მიზნით გულუბრყვილოდ ვცადეთ მათთან დაკავშირება, მაგრამ ხალხის რჩეულებს მათთან დაკავშირების ყველა საშუალება ოპერატიულად ჰქონდათ აღმოფხვრილი. მიშა! მიშა! მიშა! მომიტინგე მეჩაიეების დეპუტატის - ჩხარტიშვილის მოძებნა კი რატომღაც არავის მოსვლია აზრად, როგორც წინასწარ უშედეგო. ვანომო, წყალი გაგვიყვანაო და მერე დანარჩენში მოგვატყუაო, - ყვიროდნენ ქალები. მძღოლებმა ეს ინფორმაციაც ადვილად დაიჯერეს, მეჩაიეებს არავინ შეკამათებია და ჩხარტიშვილის თემა ამოიწურა. მიშა! მიშა! მიშა! ამ დროს ოზურგეთის გამგებელი გამოჩნდა, რომელსაც, სახის ფერით თუ ვიმსჯელებთ, იმ მომენტში საკმაოდ მაღალი არტერიული წნევა ჰქონდა, ალბათ, 190-120-ზე. მიშა! მიშა! მიშა! გამგებლის და მანიფესტანტების ურთიერთობის შემხედვარეს, ვაჟას გენიალური ლექსი - "არწივი ვნახე დაჭრილი" - გამახსენდა. არ ვიცი, ოზურგეთის გამგებელი არწივს რამდენად წააგავდა, მაგრამ მეჩაიეებმა რომ ნამდვილად არწივივით გაპუტეს, ეს ჩემი თვალით ნანახი ფაქტია, მისი ბუმბული კი ქარს ზღვისკენ მიჰქონდა. მიშა! მიშა! მიშა! ჩვენს უკან, გურიისა და ქობულეთის მხრიდანაც კილომეტრიანი საცობი შეიქმნა, ქართველებს კი დგომის, მოთმინებით ლოდინის როგორი კულტურა გვაქვს, ყველას მოგეხსენებათ. მერსედესების, მარშრუტკების მძღოლები სხვისი გადავლის ფასად ცდილობდნენ, ერთი მეტრით წინ წასულიყვნენ, იქ საბოლოოდ გაჭედილიყვნენ და სამუდამოდ ჩარჩენილიყვნენ. ვერც წინ და ვეღარც უკან. მიშა! მიშა! მიშა! საკმაოდ აგრესიული, დასიცხული, დაღლილი მეჩაიეები ჯინსებს, მანქანას, ზღვაზე წასვლას, შავ სათვალეებს, ინგლისურენოვან ბავშვებს, მობილურებს, კატლეტებს (ბავშვებისთვის თბილისიდან წინდახედულად წამოღებულს) გვაყვედრიდნენ. მასაში ჩვენი ბავშვობის მეგობარი და მისი სტუმარი, საოცარი ხარისხის თეთრ ტილოებში, ოქროებში და ზამშეს ფეხსაცმელებში გამოწყობილი რუსი ინვესტორი გამოჩნდნენ. რუსი ოპერატიული წინადადებით შემოვიდა - "Ну, что девочки, меняемся машинами" (ისინი ქობულეთის მხრიდან იდგნენ), "наша машина получше вашей", მაგრამ მანქანების გაცვლა, აჭარაში საბუთების გარეშე სხვისი მანქანით შესვლა შეგვეშინდა. წინადადება არ მივიღეთ, რითაც მოდური ინვესტორის ჩვენდამი ინტერესი საბოლოოდ დავკარგეთ. მიშა! მიშა! მიშა! დღემდე ვერ ვხვდები, როგორ - გაჭირვება მანახე და გაქცევას განახებო, მანქანა დავატრიალეთ, ჩოლოქზე ოთხი საათის უშედეგო დგომის შემდეგ მომიტინგე მეჩაიეები მივატოვეთ და ქაქუთის გზით წასვლა გადავწყვიტეთ. ესეც შენი ჯებირებმოხსნილი ჩოლოქი, გაჭირვებულ-მოტყუებული მეჩაიეები, მათი დეპუტატი ჩხარტიშვილი, წნევააწარდნილი გამგებელი, ჩაქვში გაშავებული პარლამენტარები და საქართველოს რეალობა.



*ჩვენ მგზავრობას ბავშვები ასე აფასებენ*

ქაქუთი!!! ეს თუ გზა არის, მაშინ მე ამ სიტყვის არაფერი გამეგება! მთის მდინარის კალაპოტის მსგავსი, ერთი მანქანისთვისაც სახიფათოდ ვიწრო, კავკასიონის კონტურის მქონე "გზა" ისეთი მანქანებით, უმეტესად ჯიპებით, გაივსო, რომელთა მსგავსი ადგილობრივ მოსახლეობას არასდროს უნახავს. ბავშვები მანქანების სანახავად ეზოებიდან გამორბოდნენ, ხელში პატარა დროშები, დაუმჭკნარი ვარდები ეკავათ, გზას მიგვასწავლიდნენ და ბოლო ხმაზე "მიშა! მიშა! მიშას" ყვიროდნენ. მანქანის უსაფრთხოების მიზნით მე, ჩემი "ამერიკელი" მეგობარი, ორი ბავშვი ხელჩანთებით მანქანიდან გადმოვედით და ქაქუთის გზა, ფაქტობრივად, ფეხით გავიარეთ. ნეტა ამ რაიონის დეპუტატი ვინ არის? სულ წინ და უკან ამ გზაზე უნდა ატარო, ეგება მერე მაინც მიხვდეს რამეს! ამ რაიონის დეპუტატსაც შაშიაშვილივით დასჯაც გამოუვა და თვალების ახელაც.

ჩავედით! ქობულეთი! ზღვა! პალმები! ქობულეთში გზას აკეთებენ, სეზონისთვის ემზადებიან. თბილისის ნომრიან მანქანებს უმიზეზოდ აღარ აჩერებენ! ნეტა როდისმე მოვესწრებით, რომ ქობულეთის ულამაზეს სანაპიროზე მიტოვებული, გაპარტახებული, საბჭოთა დროიდან უპატრონო უზარმაზარი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები გაკეთდება, გამოცოცხლდება, პატრონი მოეძებნება და ჭიანი კბილებივით ქობულეთის ნაძვნარს აღარ დაამახინჯებს?

ბათუმში შევედით, გოგი შევარდნაძის სუპერმარკეტში "უთუსბირად" საჭირო პროდუქტები შევიძინეთ, პატარკაციშვილისეულ იერგანახლებულ "ბერეგზე" ყავა დავლიეთ და ცოცხალმკვდრები გონიოში ჩავედით.

## ეპილოგი

წესით, ჩემი მგზავრობის აღწერა აქ უნდა დასრულდეს, ვინაიდან გონიოში დასვენების მშვიდი დღეები იწყება. მაგრამ ერთი-ორჯერ ჩვენი დამსვენებლური სიმყუდროვე მაინც დაირღვა. ერთხელ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი გონიოს ეწვია. მთელმა სოფელმა საუკეთესო ჩაიცვა და პრეზიდენტის სანახავად დაირაზმა. ჩემს მეგობარსაც უნდოდა სააკაშვილთან შეხვედრა, მაგრამ შეცდომა მოგვივიდა და პრეზიდენტს გონიოს ციხესთან ამაოდ ველოდით, მაშინ, როდესაც იგი სოფლის ცენტრში მოსახლეობას ხვდებოდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჩვენგან 200-300 მეტრშია და არც დაცვა ჩანს, არც გზებია გადაკეტილი და არც პოლიცია დაძრწის. აი, ასე, პრეზიდენტის თავმდაბლობამ შეცდომაში შეგვიყვანა. ზედმეტი არაფერი ვარგა! ამდენი წელიწადია გონიოში დავდივარ, მეზობლებთან ვურთიერთობ, ვმეგობრობ, მაგრამ არასდროს ვიცოდი, რას ფიქრობდნენ. სიტყვაძუნწი აჭარლები პოლიტიკაზე საუბარს ყოველთვის ერიდებოდნენ. წელს კი ყველა მომავალზე მელაპარაკებოდა, მეკითხებოდა, ჩააბარებინებენ თუ არა მანდარინს, გააყიდვინებენ თუ არა მიწის ნაკვეთებს, გააკეთებინებენ თუ არა კაფეს, ჩამოვლენ თუ არა დამსვენებლები და ა.შ. სამწუხაროდ, ვერც ერთ შეკითხვაზე კომპეტენტური პასუხი ვერ გავეცი, მაგრამ იმედებიც არ გავუცრუე. ვერ წარმოიდგენთ, როგორი შთამბეჭდავია შენთვის ასეთ ნაცნობ ხალხში, ასეთ მოკლე ვადაში ამხელა რწმენის გაღვიძებას რომ ხედავ.

დასვენების კვირის განმავლობაში ბათუმში სულ რამდენიმეჯერ წავედით. ერთხელ "ლაგუნაში" აჭარული ხაჭაპურის საჭმელად, მეორედ კი სადილად რესტორანში დაგვპატიჟეს. რესტორნის დიდ საბანკეტო დარბაზში შევიხედე და უზარმაზარი სუფრის თავში ედვარდ სურმანიძე რომ დავინახე, რომელსაც სუფრის მეორე ბოლოში ფეხზე მდგომი 8-9 მომღერალი "მრავალჟამიერს" უმღეროდა და მათგან ცოტათი წინ მდგომი მგოსანი კი დაახლოებით ასეთ - "შენ საქართველოს გმირო!" (მრავალჟამიერ), "შვილო!" (მრავალჟამიერ), "იმედო!" ... ოდას უკითხავდა, მართალი გითხრათ, სანახაობას ვერ მოვწყდი და მომღერლებზე და მეხოტბეზე უფრო თვით სურმანიძის კმაყოფილებით აღსავსე სახემ მიმაჯაჭვა. ნანახის უკომენტაროდ დატოვებას ვამჯობინებ. ბათუმში ერთ-ერთი გასვლა კი სტადიონზე არჩევნების წინა საღამოს გამართული დიდი საზეიმო კონცერტის გამო მოხდა, რომელშიც სუხიშვილების "ასსა" და ესტრადის სხვადასხვა ვარსკვლავი მონაწილეობდა. კონცერტის დაწყებამდე მოიღრუბლა, ჭექა-ქუხილი დაიწყო და ბათუმი კოკისპირული წვიმისთვის მოემზადა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სტადიონზე ნემსის ჩასაგდები ადგილი არ იყო. ეტყობა, ხალხისთვის კონცერტის გამართვის მიზეზი და ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეტეოროლოგიური პირობები. სუხიშვილები ცეკვავდნენ, სცენიდან ცეცხლს აფრქვევდნენ და სტადიონზე მოსული ათასობით ახალგაზრდაც მათთან ერთად ცეკვავდა. ჩვენს წინ ორი, 20-25 წლის ბიჭი ისე ცეკვავდა აჭარულს, რომ მათი ყურებით ვერ გაძღებოდი. ნაღდი, გლეხური, შეულამაზებელი, გულიანი, უშუალო, ბედნიერი ნაციონალური ცეკვა! ამაზე ლამაზი რა შეიძლება იყოს? უცბად, შუა კონცერტში, პოლიციამ სირბილი, მღელვარება დაიწყო, ხალხი მიგვწი-მოგვწიეს, ცოტა გვიყვირეს, ცოტაც ხელი გვკრეს, ცოტა ბავშვებიც შეგვიშინეს და გენიალური ხორუმის მუსიკის ფონზე სტადიონზე უზარმაზარი, შავი, შუშებჩაბნელებული, VIP-222, VIP-... და ა.შ. ნომრების მქონე მანქანების უწყვეტი ხაზი ხორუმის მოცეკვავეების მსგავსად შემოსისინდა. გულახდილად გეტყვით, გული გამიჩერდა. ბათუმში ამგვარი შავი მანქანების უწყვეტი კოლონა რამდენიმე თვის წინ ყველას ახსოვს და მხოლოდ და მხოლოდ ერთ სახელთან და გვართან ასოცირდება. წამების განმავლობაში მეგონა, და არა მარტო მე, გარშემო ხალხიც დაიძაბა, რომ დრო უკან დაბრუნდა და ახლა ერთ-ერთი მანქანიდან ასლან აბაშიძე გადმოვა... სცენაზე ამ დროს ქალბატონი ნინო - რუსუდან ბურჯანაძე (ასე მოიხსენია კონცერტის წამყვანმა) გამოჩნდა. მე გამიკვირდა, ხალხს კი მოეშვა.

წვიმამ დაცხო, სუხიშვილებმაც დაცხეს, ულამაზესმა ფეიერვერკმაც დაცხო და მაყურებელმაც ცეკვა, სიმღერა დაცხო. განათების სხივებში წვიმის უზარმაზარი ნაკადი კარგად ჩანდა, რომელიც ხალხს ასველებდა და ამით მათ ბედნიერ ჟინს კიდევ უფრო აღვიძებდა, ამხნევებდა.

კვირას გონიოში ყველა ჩემი მეზობელი არჩევნებზე წავიდა და თავის ხვალინდელ დღეს მისცა ხმა. ჩემმა "ამერიკელმა" მეგობარმა, არჩევნებზე მიმავალი გამოპრანჭული გლეხების და მათი გლობალური რწმენის შემხედვარემ, თქვა - "არა, არა, საქართველოს აუცილებლად ეშველება". ჰამაკი ყველგან გაიყიდება, ზესტაფონის ფეროს მიხედავენ, იმერელი ინსპექტორი აღარ აიღებს ორ ლარს, გურული მეჩაიეები კუთვნილ 10 თეთრს მიიღებენ და დეპუტატისას იწამებენ, ქაქუთის გზას გაიყვანენ, ბერძენიშვილი აღარ იქნება სულ გაბრაზებული (ვის უბრაზდება?) და კონცერტზე მოცეკვავე ბიჭები კი კიდევ ასი წელი სუხიშვილებთან ერთად ისეთივე ხალისით თავისი ულამაზესი კუთხის ცეკვას იცეკვებენ. იწვიმებს? მერე რა! ხვალ ნამდვილად გამოიდარებს. ცაზე ვარსკვლავები ჩანს.

# დოკუმენტურ პროზაში დაბრუნებული მაესტრო

**წიგნი, რომელიც ევგენი მიქელაძის 101 წლისთავს მიეძღვნა**

ვერა ნეფარიძე

*27 ივნისი ევგენი მიქელაძის დაბადების დღეა. შარშან მაესტროს ას წლისთავს "24 საათში" სტატია მიეძღვნა; შარშანვე დაიგეგმა ევგენი მიქელაძის ტრაგიკული ცხოვრების შესახებ წიგნის დაწერა. წიგნი - "მაესტროს დაბრუნება" მიქელაძის 101-ე წლისთავზე გამოიცა და მისი ავტორი, ისევე როგორც უკანასკნელ წლებში ქართულ პრესაში მაესტროს შესახებ გამოქვეყნებული წერილების, ჟურნალისტი შორენა ლებანიძეა.*



"მაესტროს დაბრუნება" პროფესიონალი ჟურნალისტის პირველი წიგნია. შორენა ლებანიძემ საკუთარ ნამუშევარს დოკუმენტური მოთხრობის სტატუსი მიანიჭა, რაც, პრინციპში, ზუსტად განსაზღვრავს წიგნის ფორმას. ფორმის წყალობით, წიგნი მშვენიერი მაგალითია, როგორ შეიძლება დაიწეროს მხატვრულად საზარელი სინამდვილე, ერისა და პიროვნების ტრაგიკული ისტორია.

"შარშან აპრილში დამირეკა თინათინ მიქელაძემ და მითხრა, მამაჩემის ასი წლისთავი ახლოვდება და წიგნი მინდა გამოვცეთ. მაგრამ, არ მინდა ეს წიგნი თქვენს გარდა სხვამ დაწეროს. რასაკვირველია, კარგად იცოდა, რომ რამდენიმე თვეში ამის გაკეთება შეუძლებელი იყო", - გვიამბობს ევგენი მიქელაძეზე პირველი დოკუმენტური მოთხრობის ავტორი. დროებით უმუშევრად დარჩენილი ჟურნალისტისთვის ასეთი ნდობა მოულოდნელი და განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. თუმცა, შეუძლებელი იყო სხვაგვარი არჩევანი - შორენა ლებანიძე ხომ ევგენი მიქელაძეზე გამოქვეყნებული ყველაზე საინტერესო პუბლიკაციების ავტორი იყო.

პირველად ტრაგიკულად აღსრულებული მაესტროს ბედით შორენა ლებანიძე 1998 წელს დაინტერესდა. მაშინ იგი "საქართველოს გაზეთში" მუშაობდა. გაზეთის რედაქცია ქიქოძის ქუჩაზე იყო, მამია და მარიამ ორახელაშვილების სახლის მეზობლად. ქვის მოჩუქურთმებული ლამაზი სახლი ყურადღებას იპყრობს. "ამ სახლში იცი, ვინ ცხოვრობდა?", - უთხრა "საქართველოს გაზეთის" მთავარმა რედაქტორმა ზვიად ქორიძემ ჟურნალისტს, - "მამია ორახელაშვილი და მისი სიძე ევგენი მიქელაძე". იქვე გაირკვა, რომ რედაქტორი მაესტროს ქალიშვილს, თინათინ მიქელაძეს დაურეკავდა და შორენა ლებანიძეს შეახვედრებდა. "ჟურნალისტებთან ურთიერთობას ვერიდები, მაგრამ ზვიადს ისე კარგად ვიცნობ, მისი ხათრით უარს ვერ გეტყვით შეხვედრაზე", - ეტყვის თინა მიქელაძე მორიგ ჟურნალისტს. ასე აღმოჩნდება მიქელაძე-ორახელაშვილების ცხოვრების სიღრმეებში საინტერესო პიროვნებებზე წერის მოყვარული ჟურნალისტი. "საქართველოს გაზეთის" ყოველკვირეულ დამატებაში ("ეს კვირა") იბეჭდება პირველი სტატია; პუბლიკაციას საფუძვლად დაედო ევგენი მიქელაძის რეპრესირებული მეუღლის, ქეთუსია ორახელაშვილის მემუარები, რომლებიც თინათინ მიქელაძემ ახლადგარდაცვლილი დედის პირად არქივში აღმოაჩინა 1975 წელს. 2000 წელს, როდესაც მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას შექმნილი ევგენი მიქელაძის ქანდაკება ოპერის სკვერში დაიდგა, კვლავ ზვიად ქორიძის ინიციატივით შორენა ლებანიძე მორიგ წერილს ამჯერად "ჯეოსელის" გამოცემაში, ჟურნალ "დიალოგში" ბეჭდავს. უკვე შარშან კი იგივე ავტორი მიქელაძის ასი წლისთავს ჩვენს გაზეთში უძღვნის ვრცელ სტატიას. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ჩამოთვლილი სტატიებისთვის ჟურნალისტი საკმაოდ კარგად იცნობდა დიდ მასალას, წიგნის დასაწერად ის საკმარისად არ მიიჩნია. ამიტომ, თინა მიქელაძის რჩევით, შორენა ლებანიძემ სახელმწიფო არქივში ნანა ქიქოძეს მიმართა.



*"... რატომ გამალვიძე იმ ღამეს და არ მომეცი საშუალება, ის სიზმარი ბოლომდე მენახა? იქნებ მაშინ ჩემი სიკვდილი ასე ხანგრძლივი არ ყოფილიყო...".*

ნანა ქიქოძე მაესტროზე უზომოდ შეყვარებული იყო. ჰქონდა პირადი არქივი, სადაც ევგენი მიქელაძესთან დაკავშირებულ ყოველ წვრილმანს ინახავდა. არქივისთვის მას მოვლილი ჰქონდა ყველა ის ქალაქი, სადაც ევგენი მიქელაძეს მოუწია ყოფნა. მასთან ინახებოდა ყველაფერი: დაბადების მოწმობით დაწყებული 90-იანი წლების პუბლიკაციებამდე. მათ შორის კი იყო: ნაწყვეტები წიგნებიდან, კომპოზიტორთა კავშირის ყრილობის სტენოგრაფიული ჩანაწერები და რა აღარ... არქივის შესწავლის გარდა, წიგნის მომავალმა ავტორმა ინახულა ყველა ის ადამიანი, ვისაც რაიმეს თქმა შეეძლო ევგენი მიქელაძეზე. მაგრამ, მის შრომას აზრი არ ექნებოდა, რომ არა მთავარი - წიგნის დაფინანსება. ჟურნალისტმა წიგნის მასალა კლასიკური მუსიკის ცნობილ თაყვანისმცემელს, თვითნასწავლ მუსიკოსს გოგი ნიჟარაძეს აჩვენა. მასალა მოიწონეს, შედეგად კი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საკუთარ თავზე აიღო წიგნის დაფინანსება.

საზოგადოება დღემდე ევგენი მიქელაძის ორ მონოგრაფიულ ნამუშევარს იცნობს. ესენია 50-იან და 60-იან წლებში დაწერილი წიგნები გიორგი თაქთაქიშვილისა და ანტონ წულუკიძის ავტორობით. მაგრამ, რამდენადაც იმ დროისათვის 1937 წლის თემა ტაბუდადებული იყო, ვერცერთ მათგანს ექნება პრეტენზია სრულყოფილებაზე. ამ მხრივ, შორენა ლებანიძის ნამუშევარი მართლაც გამორჩეულია. იმის გარდა, რომ ის სასიამოვნოდ იკითხება, მდიდარია დოკუმენტური მასალით. სხვადასხვა პასაჟები 30-იანი წლების თბილისის პოლიტიკურ-სოციალური ყოფის საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს ქმნის. შორენა ლებანიძის დოკუმენტურ პროზაში ქეთუსია ორახელაშვილის მემუარებიცაა გაერთიანებული. ეს მემუარები წიგნის დასასრულს კიდევ უფრო ამძაფრებს. სხვათა შორის, მაესტროს რეპრესირებული მეუღლე ლანა ღოღობერიძემ გადაიღო ფილმში "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"; როგორც ცნობილია, მიქელაძეების ოჯახური ტრაგედიის მაგალითზე თენგიზ აბულაძემ შექმნა თავისი ცნობილი კინონამუშევარი, სადაც მთავარი გმირი - ბარათელი სწორედ ევგენი მიქელაძის პროტოტიპია; ხოლო ცალკეული პასაჟების საფუძვლად გამოყენებულია ქეთევან ორახელაშვილის ბიოგრაფიული დეტალები. მათ შორის, ფილმიდან ცნობილი სიზმარიც, რომელიც ქეთევან ორახელაშვილს თავის მემუარებში დაწვრილებით აქვს აღწერილი. ამავე სიზმარით მთავრდება შორენა ლებანიძის წიგნიც. "... რატომ გამალვიძე იმ ღამეს და არ მომეცი საშუალება, ის სიზმარი ბოლომდე მენახა? იქნებ მაშინ ჩემი სიკვდილი ასე ხანგრძლივი არ ყოფილიყო...".

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*26 ივნისი*

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "ჯადოქარი" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ოქროს ვარდის გამოქვაბული **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "გულთამყრობელები" (გ) **15.15** მხ. ფილმი "სფერული ელვა" (გ) **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.30** კურიერი **18.20** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **21.00** კურიერი **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** სერიალი "საჰარის საიდუმლო" **23.00** "ფსიქო"-"ავანტი". რეჟ. ბილი უაილდერი (12).

### TV5

**08.35** ღია ბარათი გურმანი. **09.30** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" 3-5 წლის ბავშვებისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ხოლო მესამე ნაწილი მოუხმობს მოზარდებს 10 წლის ზევით. **13.25** ერთ ზაფხულს. მხ.ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვს. ტელეთამაში. **20.05** საგუნდო მუსიკა. **21.30** კრიმინალი. მხ. ფილმი.მ **23.05** ჰაერში ხსნადი. **05.20** ორმაგი მე.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 01.35** მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.20** მხ. ფილმი "მომხიბვლელი თოვლის ქალი" **14.00** სერიალი "სანდრა და მისი გუნდი" **15.20** სერიალი "რვაფეხა-5" **16.20** ცირკის საერთაშორისო ფესტივალი **17.00** დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" მე-3ს. **18.00** "ვესტნიკი" **18.30** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **18.55** იმღერე რამე **19.30** ისტორიანი **20.35** ცაიტნოტი **22.00** ფორტუნა **22.40** "საღამოს საუბარი" **23.35** ფეხბურთი. მეოთხედფინალი. **01.45** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **02.05** მხ. ფილმი "გააღე პოლიციაა" (12)

### ЛСТ

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო" "ხიდი" მთ. რ-ში სასკია რივზი, დევიდ ო-ხარა.

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "როგორ გახდე პრინცესა" (გ) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "რიგითი რაიანის გადასარჩენად" (ტ. ჰენკსი) (12) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში კინო" (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "საოცარი მითები და ლეგენდები" **10.00** მულტფილმი "ჯაფარას დაბრუნება" **11.00** საბ. სერიალი "დინოტოპია" **12.30** მხ. ფილმი "გადახურებული თავები" (გ) (ჩარლი შინი) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა" (გ) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "ლარედოს ქუჩები" **18.05** სერიალი "გაქცევა ველური კატის კანიონიდან" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** მხ. ფილმი "ბეტმენი სამუდამოდ" (გ) (ვილ კელმერი) **23.00** მხ. ფილმი "ბატონი ბედისწერა" (გ) (ჯეიმს ბელუში)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი "სამიზნე" (15)

### კავკასია

**17.00** მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** მხ. ფილმი

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05, 11.15, 01.55** იმედის მელოდიები **10.15** ანიმაც. ფილმი "მეზღაპრე ფაიფერი" **10.30** დილის ფოსტა **11.00** "იმედითა შენითა" **11.30, 01.05** ტვმარკეტი **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "ჩალის ქუდი" (გ) **17.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.30** "ერთხელ ჰოლივუდში" **19.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.00, 01.35** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "კოლეჯი" (15)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ცისფერი ჩაფხუტი" **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.20** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ექსპერიმენტი გენეტიკური კოდის შესაცვლელად" (18)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** ისტორიული ფილმი "მისიე ტ" **11.00** მუსიკა **11.20** კომედია "ქალბატონები იწვევენ კავალერებს" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** ფილმი-ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები" **14.45** მუსიკა **15.00** მელოდრამა "პონეტი" **16.45** მულტფილმი "პიტერ პენის ჯადოსნურ ქვეყანაში დაბრუნება" **18.00** მუსიკა **18.10** მხ.ფილმი "გამოსასყიდი" **21.00** კომედია "მატყუარა მატყუარა" **22.20, 03.20, 05.30** მუსიკა **23.00** თრილერი "კერკეტი კაკალი-3" **01.30** მხ.ფილმი "მსაჯული" **03.50** მხ.ფილმი "ციხე"

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00** Новости. **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Спящая акула Юкатана". **07.40** Татьяна Доронина в фильме **"КАПЕЛЬ"** **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря. **10.10** Здоровье. **11.10** "Смак" с Андреем Макаревичем. **11.30** "Любовные истории". Эммануил Виторган. **12.00** "Пестрая лента". Зоя Федорова. **13.10** История с географией. "Братья по крови: Возвращение в воду". **14.10** Дог-шоу. **15.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **15.20** "Ералаш" **15.40** Умницы и умники. **16.20** Евгений Матвеев в фильме **"ОСОБО ВАЖНОЕ ЗАДАНИЕ"** **18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **19.00** "Шутка за шуткой". **19.10** "КВН-2004". Премьер-лига. Четвертая игра. **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время. **22.20** "Розыгрыш". **23.35** Футбол. Чемпионат Европы. **1**/4 финала. Прямой эфир из Португалии. **01.40** Эммануэль Беар в мелодраме **"ФРАНЦУЗСКАЯ ЖЕНЩИНА"** **03.30** Джин Хэкмен в триллере **"РАЗГОВОР"** **05.40** Мистический триллер **"В ПЛЕНУ У ПРИЗРАКОВ"**.

### НТВ

**07.20** Алессандро Гассман в комедии **"ДАВАЙТЕ ОТДЫХАТЬ!"** **09.00, 13.00, 17.00** Сегодня **09.20** "Улица Сезам" **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.00** Кулинарный поединок: Павел Лобков - Андрей Бильжо. **12.00** "Квартирный вопрос": "Внимание, экран!" **13.20** "Дикий мир: тонет енот". Экспедиция Тимофея Баженова. **14.00** Вкусные истории. **14.05** Сергей Горобченко в комедии **"БАШМАЧНИК"** **16.20** Криминальная Россия: двойное убийство. **17.20** "Женский взгляд". Сергей Катанандов. **17.55** Сериал **"ИДЕАЛЬНАЯ ПАРА: ИГРА В ПОДДАВКИ".** **19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад". **21.00** Красная стрела. Спецвагон. **21.15** Андрей Ильин в фильме **"КАКАЯ ЧУДНАЯ ИГРА"** **23.20** Клинт Иствуд в боевике **"ГРЯЗНЫЙ ГАРРИ"** **01.40** Теннис. Уимблдонский турнир. **02.30** Двое в городе. **02.55** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

# პატარა ბალერინები "სტუმრად ჩაიკოვსკისთან"

## ახალი სპექტაკლი ბავშვებისთვის და არა მარტო მათთვის

სალომე კიკალეიშვილი

**28 ივნისს, 5 და 8 საათზე ოპერისა და ბალეტის თეატრში მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია და ნორჩი ბალერინები ახალ სპექტაკლს წარმოადგენენ - "სტუმრად ჩაიკოვსკისთან". მანამდე კი სამეფო უბნის თეატრში, აქტიური სარეპეტიციო დღეები მიმდინარეობდა. სწორედ ასეთ, ერთ-ერთ ჩვეულებრივ სარეპეტიციო დღეს ვეწვიე პატარა ბალერინებს.**

ის თუ იცოდით, რომ ბალეტში მთელი "მუღამი" ფეხებში ყოფილა? ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს პირველი გიმნაზიის საბალეტო სტუდიის ერთ-ერთი პატარა ბალერინა. მეორე კი მონდომებით მიხსნის, რომ მას ჩოგბურთიც ძალიან უყვარს, უბრალოდ - "კარგი ტანი რომ მქონდეს, იმიტომ მომიყვანა დედამ ბალეტზე. ახლა კი ბალეტი ძალიან, ძალიან შემიყვარდა" - მპასუხობს ბედნიერი სახით და საკუთარი სახელის გაგონებაზე ელვის სისწრაფით გარბის სცენისკენ.

ჯერ შესვენებაა. სკამებზე გადაკიდებული პატარა ტანსაცმელი, თეატრის სცენაზე ბუზებივით მოზუზუნე, ერთმანეთში არეული, სავარჯიშო ფორმებში ("კუპალნიკებში" "ბალეტკებსა" და შიფონის მოკლე ქვედაბოლოებში) გამოწყობილი უამრავი პატარა ბალერინა... ზოგი იმპროვიზაციით არის დაკავებული, ზოგი კი სცენის ფარდას ჩამოკონწიალებული... მოკლედ, უყურებ და მარტო ერთს ფიქრობ - როგორი მონდომება და ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ აქედან რამე შექმნას, გამოძერწოს. მაგრამ, თუ თქვენ ერთხელ მაინც გინახავთ: "მაკნატუნა", "კოპელია", "ლურჯი ფრინველი" ან "მძინარე მზეთუნახავი", მაშინ აუცილებლად იგრძნობდით იმ სითბოსა და სიყვარულს, რომელიც თითოეულ სპექტაკლშია ჩაქსოვილი.

მომავალ სპექტაკლამდე, კი ორიოდე სიტყვით პირველი გიმნაზიის ამ საბალეტო (თუმცა დღეს იქ გაცილებით მრავალფეროვანი სწავლება მიმდინარეობს, ვიდრე უბრალოდ საბალეტო ხელოვნების შესწავლა) სტუდიის შესახებ, რომელიც უკვე შვიდი წელია არსებობს. მაკა მახარაძე, ლალი მესხი, მანანა კოკილაშვილი, თამარ ანდრონიკაშვილი, ლიკა გიორგაძე - ვახტანგ ჭაბუკიანის ყოფილი მოსწავლეები, დღეს უკვე პედაგოგები, რომლებიც დიდი ხნის შემდეგ, ისევ ბალეტმა და, როგორც ქალბატონი მაკა ამბობს, ჭაბუკიანმა დააკავშირა ერთმანეთს - "მართალი გითხრათ, ასეთი სტუდიის შექმნის იდეა იქედან მოდის, რომ როდესაც ბალერინა 38 წლის ხდები, გადიხარ პენსიაზე და, ფაქტობრივად, უპროფესიოდ რჩები. სწორედ იმის გამო, რომ არ გვინდოდა ასე მომხდარიყო, გადავწყვიტეთ რამე სასარგებლო საქმისთვის მოგვეკიდებინა ხელი და შეგვექმნა სტუდია, სადაც თუნდაც 10 ბავშვს ვასწავლიდით. სპექტაკლების დადგმაზე ხომ არც კი გვიფიქრია, ამას ალბათ ვერც კი გავბედავდით. დასაწყისში სწავლაც სამწლიანი იყო, მაგრამ ისევ ბავშვების მოთხოვნით გავაგრძელედ კურსი ხუთ წლამდე". სტუდიაში დღეს უკვე 120 ბავშვი სწავლობს, სადაც, მიუხედავად მონაცემებისა, ყველას შეუძლია სწავლა. ზოგი მიჰყვება საბალეტო ხელოვნებას, ზოგი კი ამთავრებს ხუთწლედს და მერე მთელი ცხოვრება ამახსოვრდებათ პირველი გიმნაზიის სტუდია, რეპეტიციები და მკვეთრი შუქით გაჩახჩახებულ სცენაზე შესრულებული პატარა როლები. საბალეტო ხელოვნების გარდა სწავლობენ ქართულ, თანამედროვე ცეკვებს, მუსიკის ისტორიას, ქარგვას, ხელოვნების ისტორიას, ხატვას.

რაც შეეხება დღეს წარმოდგენილ სპექტაკლს "სტუმრად ჩაიკოვსკისთან", მას ორი ჯგუფი შეასრულებს, სადაც სტუდიის ყველა მოსწავლე (მიუხედავად მცირე ასაკისა - ერთ-ერთი ბალერინა 4 წლისაა) მიიღებს მონაწილეობას. სპექტაკლში, გაერთიანებულია ჩაიკოვსკის "მძინარე მზეთუნახავი" (მთლიანი სპექტაკლი რამოდენიმე წლის წინ იყო წარმოდგენილი) და "გედის ტბის" მუსიკაზე შექმნილი Гадкий утёнок, ასე რომ, სპექტაკლზე მისულს პატარა გედების მუსიკაზე სამი "გემრიელი" გოჭი დაგხვდებათ, და თეთრი გედის პარტიის მუსიკაზე იხვის ჭუჭული...

კოსტიუმები, როგორც ყოველთვის, მხატვარ ანკა კალატოზიშვილს ეკუთვნის, ქორეოგრაფია თამაზ ვაშაკიძეს. ჩვენ კი, თუ წინა სპექტაკლებით ვიმსჯელებთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორშაბათს, პატარებს და, არა მარტო მათ, ნამდვილი ზეიმი ელოდებათ.


















## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

პოლიტიკა ადამიანური მცდელობის ის ასპარეზია, რომელშიც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება მორალურ მგრძნობიარობას, საკუთარი თავისადმი კრიტიკულ აზროვნებას, ჭეშმარიტ პასუხისმგებლობას, გემოვნებასა და ტაქტს, თანაგრძნობას, ზომიერებასა და თავმდაბლობას. ეს არის საქმიანობა თავმდაბალ ადამიანთათვის, ანუ მათთვის, ვისი ცდუნებაც შეუძლებელია.

ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, ყოველი ჩვენგანის წინაშე ცრუობენ. პოლიტიკა არის საქმიანობა, რომელსაც განსაკუთრებულად სპეტაკი ადამიანები ესაჭიროება, რადგან იქ ძალიან ადვილია მორალური დალაქავება; იმდენად ადვილი, რომ ნაკლებად ფრთხილმა ადამიანმა, შესაძლოა, ეს პროცესი საერთოდ ვერც კი შენიშნოს.

ამგვარად, პოლიტიკა უნდა იქმნებოდეს იმ ადამიანთა მიერ, ვინც დიდი დაკვირვებით, სიფხიზლითა და სიფრთხილით გამოირჩევა და ვინც ძლიერ მგრძნობიარეა ეგზისტენციური თვითდამკვიდრების ბუნდოვან დაპირებებთან დამოკიდებულებაში.

მე არ ვიცი, ვარ თუ არა ასეთი ადამიანი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ვალდებული ვარ, ვიყო ასეთი, რადგან ამ თანამდებობაზე თანხმობა განვაცხადე.

**ვაცლავ ჰაველი**

კოპენჰაგენის უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვიდან



## პოლიტიკური მეცნიერების ლექსიკონი

*ვიცით, რომ ხელისუფლების მშვიდობიან ცვლილებას, რომელიც "ვარდების რევოლუციად" მოინათლა, ხალხის უმრავლესობა დიდი ნდობითა და იმედით შეეგებება. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლების ცვლა არის არა მიზანი, არამედ მიზნის მისაღწევად აუცილებელი (მაგრამ არასაკმარისი) საშუალება. ჩვენი რწმენით, საჭიროა, რომ საზოგადოების თავისუფლებისადმი ლტოლვას ახალი ხელისუფლების მხრიდან მოჰყვეს მართლაც რევოლუციური ცვლილებები როგორც მმართველობის ოპერირების სტილში, ისე მმართველ სუბიექტთა მიერ საკუთარი როლისა და სტატუსის გადაფასებისა და ახლებურად გააზრების საქმეში. გაჩნდა დიდი იმედი, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაწყვეტილი საუკუნოვანი კავშირი, რომელიც იდეაში ურთიერთმომთხოვნელობასა და პროაქტიურ აზროვნებას ეფუძნება, აღდგენის კონდიციაშია. ჩვენ გვაქვს იშვიათი შესაძლებლობა იმისა, რომ ვირწმუნოთ - ჩვენი მთავრობა აღარ არის ჩვენი მტერი. ამის მიუხედავად, ნებისმიერი ხელისუფლებისადმი სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ჯანმრთელი ეჭვის არსებობა თავისუფლების შენარჩუნების უმთავრეს ფაქტორად ითვლება, რომელიც კეთილგონიერებითა და ისტორიის გაკვეთილებითაა ნაკარნახევი. მომხდარმა ცვლილებებმა კიდევ უფრო მეტად გახადა აუცილებელი, რომ საზოგადოების წევრებმა ლოკალურ ქმედებებს გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისათვის კი საჭიროა გავეცნოთ იმ უნივერსალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებს, რომელთა საშუალებითაც დღეისათვის ყველა თავისუფალი ქვეყანა ურთიერთობს. მკითხველს ვთავაზობთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცებაც, ერთი მხრივ უმიზნო და, მეტწილად მსმენელთა დაბნევაზე გათვლილი მრავალსიტყვიანობისგან დაგვიცავს; მეორე მხრივ კი, არსებულ გაუგებრობათა აღმოფხვრაში დაგვეხმარება.*

**ურბანიზაცია** - დიდ ქალაქთა რიცხვის ზრდა მოდერნიზაციის პროცესის ნაწილს წარმოადგენს. ის ასევეა მჭიდრო კავშირში ინდუსტრიალიზაციასთან; უდავოა, რომ დიდი ქალაქები ინდუსტრიულმა რევოლუციამ წარმოშო. მრავალრიცხოვანი მშრომელთა ძალები, რომლებიც ახალ ფაბრიკა-ქარხნებს ესაჭიროებდნენ, ძირითადად სოფლებიდან მოვიდნენ; განსაკუთრებით უმიწო გლეხების რიგებიდან. ამგვარი განვითარება ხშირად ასოცირდება კაპიტალიზმის ფენომენთან. თუმცა, საბჭოთა კავშირის შემთხვევაც, რომელსაც ქვეყნის მასიური ინდუსტრიალიზაცია ხუთლწედების საშუალებით ჰქონდა გადაწყვეტილი, საკმაოდ ანალოგიური იყო. ინდუსტრიული ქალაქები მსოფლიოში ყველგან განსხვავებული ტიპის ადამიანს წარმოშობენ, რომელიც იზრდება საკუთარ სოფლელ თანამოქალაქისაგან ძლიერ კონტრასტულ გარემოში. ურბანულ ცხოვრებას ახასიათებს მოსახლეობის უზომო ზრდა, საცხოვრებელი ფართის დეფიციტი, ანტისანიტარია და დამნაშავეობა. დიდი ქალაქების მოსახლეობის შესახებ შექმნილ ნაწარმოებებში ადამიანთა შორის გაუცხოების პრობლემა საკმაოდ ხშირად გვხვდება. მასზე რეაგირებას სხვადასხვა სახე გააჩნია. ესენია: ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, რადიკალური ან რევოლუციური პოლიტიკა და ევანგელიკური (თუ არა მილენარული) რელიგიური სწავლება. მაშინ, როცა წარსულში ჩამოთვლილი მხოლოდ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაზე ითქმოდა, მეოცე საუკუნის ბოლოსათვის იგივე ფენომენი დამახასიათებელი გახდა ჩრდილოეთ ამერიკისა და აფრიკისთვისაც.

**ქსენოფობია** - უცხოელთა მიმართ შიშისა და სიძულვილის გრძნობა, რაც ხშირად ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების შევიწროებაში აისახება. ქსენოფობია შესაძლოა დაიწყოს განსხვავებულ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანთა მიმართ გაღიზიანებით და გადაიზარდოს სპეციფიკურ ფობიებში, როგორც ეს, მაგალითად, ებრაელთა ან პაკისტანელთა მიმართ არსებული ფობიების შემთხვევაში მოხდა. ქსენოფობიამ ყველაზე ნოყიერი ნიადაგი შეიძლება იპოვოს მაშინ, როდესაც ესა თუ ის თემი ან ხალხი თავს დაუცველად გრძნობს.

**სითი მენეჯერი** (ქალაქის მენეჯერი) - მრავალი დიდი ამერიკული ქალაქის ადმინისტრირებას ე.წ. სითი მენეჯერი ახდენს მრავალრიცხოვან საბჭოსთან კონსულტაციების დახმარებით. ამ სისტემის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ შემუშავებულ იქნას ბიზნესის ტიპის მმართველობა, რომელსაც წარმართავდა კორპორაციის დირექტორთა საბჭოსმაგვარი ერთეული. სითი მენეჯერი ურბანულ პრობლემებს პრაგმატული მიდგომით უპირისპირდება - იგი იდეოლოგიურად დამოუკიდებელია და პარტიკულარული პოლიტიკური შეხედულებებისაგან თავისუფალი. მის ფუნქციებში სამუშაო გუნდის შერჩევა, ქმედებათა კოორდინაცია, ბუღალტერიის წარმოება და არჩეული საბჭოს მიერ დაწესებული ნორმების ფარგლებში მოქმედებაა.

სითი მენეჯერის ინსტიტუტი, არაპოლიტიკური ნიშნით ჩატარებული არჩევნების ფენომენთან ერთად, პროგრესული მიმდინარეობის პროდუქტს წარმოადგენს. ეს ასევე იყო ერთგვარი რეაქცია დიდ ქალაქებში არსებული კორუფციისა და ეთნიკური კონფლიქტის ფაქტების წინააღმდეგ. ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში რეფორმატორებმა განიზრახეს, რომ შეეცვალათ ე.წ. "უორდების" (თვითმმართველობის ადგილობრივი ერთეული) მიერ შერჩეული საბჭო ისეთით, რომელიც მთელი ქალაქის ტერიტორიაზე ჩატარებული არჩევნების შედეგად იქნებოდა დაკომპლექტებული; რეფორმატორებს აგრეთვე სურდათ, რომ ადრე არსებული "ბოსი" ჩაენაცვლებინათ მენეჯერისმაგვარი ფიგურით, ვინც იქნებოდა პატიოსანი და თემზე ორიენტირებული, ნაცვლად პარტიაზე ორიენტირებულობისა. ეს მუნიციპალური მთავრობის რაციონალიზაციას ემსახურებოდა. ამგვარმა პოლიტიკამ შეასუსტა ეთნიკური ჯგუფების ძალაუფლება და ამავდროულად დაასუსტა პროფკავშირული მოძრაობის გავლენა ამერიკულ პოლიტიკაზე. ეს პოლიტიკა ძირითადად საშუალო კლასს ემსახურებოდა და იმის დემონსტრირებას ახდენდა, რომ ბიზნესი ამერიკის შეერთებულ შტატებში სარგებლობდა უფრო მაღალი სტატუსით, ვიდრე პოლიტიკა.

ასეთი დასკვნიდან შესაძლებელია მოყვანილ იქნეს არგუმენტი, რომ სითი მენეჯერები ძირითადად კონსერვატორები არიან და ისინი ბუნებრივად ბიზნესს ანიჭებენ უპირატესობას ასოციაციის სხვა ფორმებთან შედარებით, როდესაც საქმე მათ ურბანულ პოლიტიკას ეხება. გამოკვლევებმა ცხადყო - მიუხედავად იმისა, რომ სითი მენეჯერები კონსერვატორები არიან, ისინი საკუთარ თავს ადმინისტრატორებად თვლიან. მათ გააჩნიათ საზოგადოებრივ სერვისზე ორიენტირებული ეთიკა და არ განიხილავენ საკუთარ საქმიანობას ბიზნესში ჩაბმულ მენეჯერთა საქმიანობის ანალოგიად.

**შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა** (Due process of Law) - ეს წარმოადგენს ფრაზას აშშ-ს კონსტიტუციის უფლებათა ბილის მეხუთე ჩასწორებიდან, რომელიც 1791 წელს შეიქმნა.

მოცემული ჩასწორება უზრუნველყოფს იმას, რომ ადამიანს წაეყენოს ბრალდება იქამდე, სანამ ის გასამართლდება, და რომ "არავის შეიძლება ჩამოერთვას სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის გარეშე".

იგივე განმეორებულია კონსტიტუციის მეთოთხმეტე ჩასწორებაშიც, რაც ინდივიდუალურ შტატებს ეხება, რაც 1868 წელს დაკანონდა. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მიღებულ გადაწყვეტილებებში აშშ-ს უზენაესი სასამართლო ამ ფრაზის იმგვარ ინტერპრეტაციას ახდენდა, რომელიც მას ეკონომიკის მარეგულირებელი კანონების გაბათილების საშუალებას ანიჭებდა. ამგვარად, 1905 წლის გადაწყვეტილებაში "ლოქნერი ნიუ-იორკის წინააღმდეგ", უზენაესი სასამართლო აუქმებს შტატის კანონს, რომელიც სამუშაო საათებს არეგულირებს; 1935 წელს კი საქმეში "შექტერის ხორცის კორპორაცია აშშ-ს წინააღმდეგ" სასამართლომ ფრანკლინ დელანო რუზველტის "ახალი თანხმობის" პროგრამის პირველი ნაწილი არაკონსტიტუციურად ცნო. 1950-იან წლებში კი სასამართლომ "შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის" კონცეფცია სამოქალაქო თავისუფლების დასაცავად გამოიყენა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა სისტემებში ამ პრინციპის სიტყვასიტყვით გამეორება არ გვხვდება, მას თითქმის ყველა სამართლებრივ სისტემაში ვხვდებით. 1215 წლის "მაგნა კარტას", ანუ "დიდი ქარტიის" 39-ე თავი აცხადებს, რომ არც ერთი თავისუფალი მოქალაქე არ შეიძლება დაკავებულ იქნას, ან ჩამოერთვას მას საკუთრება, გარდა თანამოქალაქეთა მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესისა თუ არსებული კანონის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევებში. სასამართლო გადაწყვეტილებებმა მოგვიანებით ეს ტერმინები განავრცო და განმარტა, რომ ეს ნიშნავდა მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარებულ სასამართლო პროცესს და შესაბამის სამართლებრივ პროცედურას. ეს ფრაზა ასევე შეტანილია გაერო-ს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დეკლარაციაში. ადამიანის უფლებების ევროპის კონვენცია მეხუთე ნაწილში აზუსტებს შემთხვევებს, რომელთა განმავლობაშიც შესაძლოა ადამიანის დაკავება და მეექვსე ნაწილი კი უზრუნველყოფს სამართლიანი და საჯარო სასამართლო პროცესის უფლებას.

## პრეცედენტი

# ჩარლზ I-ის სასამართლო პროცესი

კოლინ ევანსი

**_განსასჯელი_ - ჩარლზ სტიუარტი.**

**_ბრალდება_ - ქვეყნის ღალატი.**

**_მთავარი დამცველი_ - არავინ.**

**_მთავარი ბრალმდებელი_ - ჯონ კუკი.**

**_მოსამართლე_ - ჯონ ბრედშოუ.**

**_პროცესის ადგილმდებარეობა_ - ლონდონი, ინგლისი.**

**_პროცესის თარიღი_ - 1649 წლის 20-27 იანვარი.**

**_განაჩენი_ - დამნაშავე.**

**_სასჯელი_ - სიკვდილით დასჯა.**

**_მნიშვნელობა_ - მე-17 საუკუნის შუამდე ბრიტანეთის სამეფო დინასტიებში მოთამაშეთა წინასწარგანზრახული გადაადგილებები, როგორც წესი, მალულ ხასიათს ატარებდა, რის მთავარ მაგალითადაც 1327 წელს მეფე ედვარდ II-ის მკვლელობა გამოდგება; მაგრამ ეს ყველაფერი შეცვალა ჩარლზ I-ის სასამართლო პროცესმა: პირველად ისტორიის განმავლობაში მმართველი მეფე უჩინოთა მიერ გამოშვებული ბრძანების სამიზნედ იქცა. თუმცა, ამ ბრძანების კონსტიტუციურობაზე შესაძლებელია ბევრი კამათი, მაგრამ მისი შედეგები დღევანდლამდე საგრძნობნი არიან.**



*თემთა პალატის ამსახველი გრავიურა, შესრულებული ჯონ გლოვერის მიერ 1648 წელს.*

1625 წლისათვის, სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, ჩარლზ I-მა ხელოვნების დიდი მცოდნისა და თავმდაბალი ადამიანის სახელი დაიმკვიდრა, რაც შესამჩნევ კონტრასტად გვევლინებოდა მისი გაუთლელი და უხეში მამის ჯეიმს I-ის ფონზე. სამწუხაროდ, ახალგაზრდა მეფის ყველა ეს თვისება უმოკლეს ხანში გაფერმკრთალდა, როდესაც გაირკვა, რომ ამ უკანასკნელს ძვირი საერთაშორისო კონფლიქტების გაჩაღების დიდი მადა გააჩნდა. საფრანგეთსა და ესპანეთში მოუმზადებლად წამოწყებულმა სამხედრო კამპანიებმა სახელმწიფო ხაზინას წარმოუდგენლად დიდი მოთხოვნები წაუყენეს, რის გამოც მეფე ჩარლზი და პარლამენტი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერენ. ამ დროში გაწელილმა კინკლაობამ მწარე კულმინაციას 1642 წლის 4 იანვარს მიაღწია, როდესაც ჩარლზ I თემთა პალატაში შეიჭრა ხუთი ოპოზიციონერი პარლამენტარის დასაპატიმრებლად. იმავე წლის ბოლოსათვის ქვეყანა ცეცხლისა და ომის ალში გაეხვია - ერთმანეთს სასტიკად ებრძოდნენ პარლამენტის მომხრენი და მეფის ლოიალისტები.

ეს საკმაოდ სისხლიანი დისპუტი არც ისე მალე აღმოიფხვრა. 1647 წლის თებერვლისათვის ჩარლზმა გააცნობიერა საკუთარი პოზიციის უიმედობა და მოწინააღმდეგეს დანებდა. იმ წუთიდან იგი პარლამენტის განკარგულებაში აღმოჩნდა. მისი დღიურებიდან ნათელი ხდება, რომ ყველაზე უარესს, რასაც ის მოელოდა, იყო სამეფო ტახტზე იძულებით უარის თქმა - აბდიკაცია. მისი ეს შიში ასევე აისახა მისსავე მცდელობაში, რომ საკუთარი შვილი, ჩარლს II, უელსის პრინცი, ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. პატიმრობის პირველ და არცთუ ისე რთულ რამდენიმე თვეში ჩარლზს ეჩვენებოდა, რომ მან ამ მიზანს მიაღწია, მაგრამ ჰემპტონ კორტის ტუსაღმა თანდათან იგრძნო, თუ როგორ მძიმდებოდა მდგომარეობა და უარესდებოდა ხალხის განწყობა მის საწინააღმდეგოდ. მან შეთქმულებათა მთელი სერია წამოიწყო, რომელთაგანაც ერთის წყალობით პატიმარმა მეფემ კარისბრუკის ციხეს თავი დააღწია; თუმცა, როიალისტთა ყველა ოცნება 1648 წელს პრესტონში ოლივერ კრომველის გამანადგურებელმა გამარჯვებამ დაასამარა. კრომველმა, ვინც იმ დროისთვის ინგლისში ყველაზე ძლევამოსილი ადამიანი იყო, გადაწყვიტა, რომ მოუსვენარ მონარქთან ანგარიშსწორების დრო დამდგარიყო.

1649 წლის 1 იანვარს თემთა პალატამ გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა მეფის ღალატისათვის გასამართლებას. მეფეს ბრალად ედებოდა საკუთარი პარლამენტისა და ქვეყნის წინააღმდეგ ომის დაწყება. მიუხედავად ამისა, როდესაც ბრძანება დასამტკიცებლად ლორდთა პალატას გადაეგზავნა, ამ უკანასკნელმა მის დამტკიცებაზე ცივი უარი განაცხადა. საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების სურვილით მოცულმა თემთა პალატამ ბრძანება ხელმეორედ მიიღო, და თანაც იმავე კანონით დააფუძნა ე.წ. "მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო", რომელშიც პარლამენტართა და ჯარისკაცთა რიგებიდან შერჩეული 135 კომისიონერი, ანუ სასამართლოს წევრი იქნებოდა გაწევრიანებული. ინგლისის მეფის ირგვლივ წრე სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა.

### გაუბედავი კომისია

1649 წლის 19 იანვარს ჩარლზ I უინძორის ციხე-სიმაგრიდან ლონდონში გადმოიყვანეს. მომდევნო დღეს იგი სასამართლო კომისიის წინაშე წარდგა, რომელსაც ჩესტერის სასამართლოს თავმჯდომარე ჯონ ბრედშოუ ხელმძღვანელობდა; ეს უკანასკნელი სამართლებრივ საკითხებში დიდად დახელოვნებული პირი არ გახლდათ. მისი დამსახურება მდგომარეობდა იმაში, რომ მან ერთადერთმა, მთელი ინგლისის მოსამართლეებიდან, განაცხადა მზადყოფნა ამგვარი სკანდალური პროცესის წარმართვაზე. გაუბედაობის აშკარა ატმოსფერო, რომელიც პროცესს თან სდევდა, მთელს სასამართლოს ჩაშლით ემუქრებოდა, რასაც კრომველიც აცნობიერებდა. იგი კომისიის ქვორუმის შენარჩუნებას ხშირად საკმაოდ ისტერიული გამოსვლებით ცდილობდა. როდესაც კომისიის 135 წევრიდან თითქმის ნახევარი ვესტმინსტერ ჰოლში გამოცხადდა, პროცესი დაწყებულად გამოაცხადეს. გამცდენი კომისიონერები რაღას არ იმიზეზებდნენ არყოფნის გასამართლებლად: ავადმყოფობას, გადაუდებელ საქმეებს და სხვა ამგვარ საბაბს. თავდაცვის ინსტინქტი აშკარად ამოქმედებულ ფაქტორს წარმოადგენდა; დედაქალაქში ვნებათაღელვა არ ცხრებოდა და არსებობდა მოარული ხმები, რომ თითქოსდა იყო შანსი ჩარლზის მხარდამჭერთა მიერ მათი მეფის ნებისმიერი ხერხით გამოხსნისა. არსებული პიროვნული ხიფათის რეალობა მოსამართლეთათვის განამტკიცა იმ ფაქტმაც, რომ სხდომის თავმჯდომარე ბრედშოუმ საკუთარი ქუდი აქეთიქიდან ლითონის ფილებით გაამაგრა.

ჩარლზი არ ჰგავდა ამდენად შეშფოთებულს. იგი საზოგადოებას შავ სამოსში გამოწყობილი გამოეცხადა. მან დარბაზში სპეციალურად მისთვის მომზადებული ადგილი დაიკავა, რომელიც დამსწრეთათვის უხილავ კუთხეში იმყოფებოდა. აქ მეფემ მთავარი ბრალმდებლის, ჯონ კუკის სიტყვები მოისმინა: "მე, ინგლისელი ხალხის სახელითა და ინგლისელი ხალხის მაგიერ, ამ სასამართლოს წინაშე წარვადგენ ბრალდებას სახელმწიფო ღალატისა და სხვა მძიმე დანაშაულთათვის, რომელთათვისაც ბრალს ვდებ ჩარლზ სტიუარტს, ინგლისის მეფეს"...

"თუ შეიძლება, შეჩერდით" - შეაწყვეტინა სიტყვა ჩარლზმა, თუმცა მეფეს სთხოვეს სიჩუმე და ბრალდება გაგრძელდა:

"... რომელმაც, განიზრახა რა ხალხის უფლებათა და თავისუფლებათა მოსპობა, წამოიწყო მოღალატური და მავნებლური ომი არსებული პარლამენტისა და ხალხის წინააღმდეგ". ამ ბრალდების განსამტკიცებლად კუკმა სამოქალაქო ომისდროინდელი ბრძოლების ჩამონათვალი გააკეთა და მსმენელთა ყურადღება საკუთარი მიზნების მისაღწევად ამ ბრძოლებში ჩარლზის მიერ უცხოელთა ჯარების გამოყენების ფაქტებს მიაპყრო.

ბრალდების ბოლოსკენ ჩარლზმა საკუთარ ბრალმდებლებს მოულოდნელად სახეში შესცინა და მოსთხოვა იმის ახსნა, თუ რა უფლების ძალით იყო იგი ამ სასამართლოში წარმოდგენილი. "მე თქვენი მეფე ვარ. მე უფლება მეფობისა ღმერთისგან მაქვს მონიჭებული, უძველესი და კანონიერი მემკვიდრეობით. მე არ ვაპირებ ვუღალატო ამ უფლებას და დავუთმო იგი ახალ, უკანონო ძალას". ეს იყო ის თემა, რომელსაც ჩარლზი პროცესის განმავლობაში სისტემატურად უბრუნდებოდა; იგი ჯიუტად უსვამდა ხაზს პროცესის უკანონობას და იმ ფაქტს, რომ მეფეს ვადაგასული და არაწარმომადგენლობითი, რვა წლის წინათ არჩეული თემთა პალატის ნარჩენები ასამართლებდნენ.

"მე ჩემი ხალხის თავისუფლებას ბევრად უფრო მეტად ვიცავ, ვიდრე ნებისმიერი აქ ჩემი გასამართლებისათვის მჯდომი" - ამბობდა მეფე. ამან მოსამართლე ბრედშოუს მრისხანე გამოხმაურება გამოიწვია: "თქვენ, იმის მაგივრად, რომ პასუხი გასცეთ ამ სასამართლოს, მის დაკითხვას აწარმოებთ, რაც თქვენს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის შეუფერებელია".

ჩარლზი მას ასე გამოეხმაურა:

"მაშინ ნება მიბოძეთ ვთქვა, რომ სამართლებრივ უფლებას ჩემი გასამართლებისა, რომელსაც თქვენ ასე იჩემებთ, არც ერთი გონიერი ადამიანი კანონიერად არ ჩათვლიდა".

ამ მომენტის შემდეგ სხდომა შაბათის დადგომის მიზეზით გადაიდო. ციხეში უკან მიმავალ ჩარლზს

ბრბო ერთნაირი ხალისით თან ესალმებოდა და თან ლანძღავდა. თუმცა, მის მცველთა შორის არ არსებობდა ანალოგიური გახლეჩილობა - მათ იგი ცალსახად სძულდათ. მთელი შაბათ-კვირის განმავლობაში ისინი საკუთარ ტყვეს დამამცირებლად და შეურაცხმყოფელად ექცეოდნენ; მაგალითად, ყოველ ჯერზე, როდესაც ჩარლზი ჩაძინებას დააპირებდა, მცველები მას სახეში თამბაქოს კვამლს აბოლებდნენ (რომელსაც იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ იტანდა) და ამას იმ მიზნით აკეთებდნენ, რომ მეფე ნაკლებად მხნე და ენერგიული შეხვედროდა ორშაბათ დილას დანიშნულ სასამართლო პროცესს.

ორშაბათს კი ბრედშოუმ იქიდან განაგრძო, სადაც შაბათს შეჩერდა: "სასამართლო მოელის თქვენგან ბრალდების აღიარებას და იმას, რომ აღარ დავკარგავთ მეტ დროს. ასევე იმას, რომ თქვენი პასუხი დამაკმაყოფილებელი იქნება".

ჩარლზი ურყევი დარჩა. "მე მსურს გავიგო, თუ რომელი უფლების ძალით ვიმყოფები აქ - ვგულისხმობ მხოლოდ კანონიერ უფლებას, - რადგანაც სამყარო იცნობს მრავალ უკანონო ძალას, როგორიცაა მძარცველთა და ყაჩაღთა ძალები". ჩარლზს მოახსენეს, რომ იგი სამართლდებოდა ინგლისელი ხალხის მიერ მინიჭებული ძალაუფლებით, რაზეც ჩარლზმა ღიმილით უპასუხა:

"თუ უკანონო ძალას აქვს უფლება კანონთა შექმნისა, მაშინ მე არ მეგულება ინგლისში ერთი ადამიანიც კი, ვისაც საკუთარი სიცოცხლის დაცვის რაიმე საშუალება გააჩნია".

ბრედშოუს მრისხანება სულ უფრო მატულობდა:

"ან აღიარეთ, არ უარყავით ბრალდება!"

"რა უფლებით წარმართავთ ამ სხდომას?" - იყო პასუხი.

"გაიყვანეთ ის აქედან!" - იღრიალა ბრედშოუმ.

"მე მოვითხოვ, რომ მომეცეს ჩემი მოსაზრების გამოთქმის საშუალება".

"პატიმარს არ აქვს უფლება რაიმე მოითხოვოს!"

"მე ჩვეულებრივი პატიმარი, მგონი, არ გახლავართ".

ამ წუთისთვის ერთ-ერთი მოსამართლე, ვინმე გენერალი ჯონ ჰიუსონი, წამოიჭრა, დაიყვირა - "სამართალი!" და მეფეს სახეში შეაფურთხა.

"კარგით, ბატონებო" - შენიშნა ჩარლზმა საკუთარი სახის მოწმენდისთანავე - "ღმერთს აქვს სამართალი შემონახული თქვენთვისაც და ჩემთვისაც".

მომდევნო დღეს ბრედშოუმ კიდევ ერთხელ სცადა ჩარლზის იძულება, რომ მას ბრალდებაზე პასუხი გაეცა. როდესაც განსასჯელმა კიდევ მიმართა დროის გასაყვან ტაქტიკას, ბრედშოუმ კუკს ბრალდების უკანასკნელად წაკითხვა უბრძანა, რის შემდეგაც ჩარლზმა კიდევ ერთხელ უარყო სასამართლოს ლეგიტიმურობა.

### სასამართლოს ბრძანება

ბრედშოუს მოთმინებამ საბოლოოდ უმტყუნა. "ბატონო!" - დაიგრგვინა მან - "ეს უკვე მესამე შემთხვევაა, რაც თქვენ სახალხოდ ამცირებთ ამ სასამართლოს და ეწინააღმდეგებით მას". ჩარლზის პროტესტის მიუხედავად, ბრედშოუმ გააგრძელა: "თუ რამდენად იცავდით ქვეშევრდომის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ამას თქვენი ქმედებებიც ნათელყოფს, იმიტომ, რომ ადამიანის ზრახვები მისივე საქციელიდან გამოსჭვივის. თქვენ საკუთარი გულისწადილი სისხლიანი ასოებით დაწერეთ მთელი სამეფოს მიწაწყალზე. თანაშემწევ, ჩაიწერეთ მორიგი დარღვევა! და თქვენ კი, ბატონებო, ვინც ეს პატიმარი აქ მოგვგვარეთ, გთხოვთ, რომ ის დილეგში დააბრუნოთ".

წარბშეუხრელმა ასეთი უცერემონიო მოპყრობით, ჩარლზმა რალაცის პასუხად დაყვირება სცადა, მაგრამ მისი ხმა დამსწრეთა ღრიალმა ჩაახშო დაიგი დარბაზიდან გაიყვანეს.

კვირის დასასრულამდე მოხატულ დარბაზში, რომელიც ვესტმისტერ ჰოლს ემიჯნებოდა, კომისია მტკიცებულებებს ისმენდა ბრალდებულის წინააღმდეგ; ეს უკანასკნელი კი ამ დროისთვის საპყრობილეში რჩებოდა. ეს იყო მომენტი, როდესაც კრომველმა მთელი თავისი გავლენის გამოყენება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კრომველი ყველაზე ძლევამოსილი კომისიონერი იყო დამსწრეთა შორის, პროცესზე ის ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, სამაგიეროდ, იგი მთელი მოქმედების რეჟისორად რჩებოდა. პარასკევისთვის კრომველმა შეძლო სასამართლო დაერწმუნებინა, რომ მომავალი დღისთვის საჭირო იყო განაჩენის გამოტანა.

27 იანვარს ჩარლზი ვესტმინსტერ ჰოლში საკუთარი ვერდიქტის მოსასმენად მოიყვანეს. როდესაც ბრედშოუმ კომისიონერთა მიერ გამოტანილი განაჩენის კითხვა დაიწყო, მოულოდნელად ორმა ნიღბიანმა ქალბატონმა ერთხმად წამოიძახა: "ეს სიცრუეა... ოლივერ კრომველი კი ტირანი!" დამსწრეების აზრით, ერთი ქალბატონი, ვინმე ფერფაქსის, იქ არმყოფი კომისიონერის ცოლი იყო; მაგრამ რადგან ქალებმა საერთო არეულობით ისარგებლეს და გაიქცნენ, დარწმუნებით ამის თქმა არავის შეეძლო. როდესაც ბრედშოუმ სიტყვა დაასრულა, მან ჩარლზს უკანასკნელი განცხადების უფლება მისცა, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი არ შეურაცხყოფდა სასამართლოს ღირსებას. ეს იყო წამი, როდესაც მეფეს ბოლო შანსი მიეცა. მეფემ საკმაოდ გამჭრიახობა გამოიჩინა და მოითხოვა უფლება თემთა და ლორდთა პალატისათვის მიმართვისა, რითაც იგი გვერდს უვლიდა კომისიას და რითიც მოითხოვდა იმ უფლებას, რომელსაც მას კონსტიტუცია ანიჭებდა.

ამ სამართლიანმა მოთხოვნამ კომისიონერთა რიგებში საკმაო არეულობა შეიტანა. კომისიის ერთმა წევრმა, ვინმე ჯონ დაუნსმა, აშკარად უარყო კრომველის პროტესტი მეფის მოთხოვნაზე და მოითხოვა ამ ახალი გარემოების გარშემო საფუძვლიანი მსჯელობა. ბრედშოუმ სასწრაფოდ გამოაცხადა სხდომა დახურულად. საჯარო განხილვის მიღმა დარჩენილმა დაუნსმა კოლეგებს კიდევ ერთხელ მოსთხოვა დისკუსიის ჩატარება, მაგრამ კრომველის ურყევი ნების წინაშე უძლური აღმოჩნდა. დაუნსმა გარდაუვალის მხოლოდ მცირე ხნით შეჩერება შეძლო. სულ ცოტა ხანში სასამართლო ისევ შეიკრიბა განაჩენის მოსასმენად.


Numb.3. 14

A Continuation of the
NARRATIVE
BEING
The last and final dayes Proceedings
OF THE
High Court of Iustice
Sitting in Westminster Hall on Saturday, Jan. 27.
Concerning the Tryal of the King;
With the severall Speeches of the King, Lord President, & Solicitor General.
Together with a Copy of the
Sentence of Death
upon CHARLS STUART King of England.
Published by Authority to prevent false and impertinent Relations.

To those Proceedings of the Tryall of the King, I say, Imprimatur, GILBERT MABBOT.

London, Printed for John Playford, and are to be sold at his shop in the Inner Temple, Jan. 29. 1648.

The third instalment of Mabbott's licensed account of the trial.
(By courtesy of the Trustees of the British Museum)

*ჩარლზ I-ის სასამართლო პროცესისა და განაჩენის ამსახველი აფიშა, (დაბეჭდილი 1648 წლის 29 იანვარს).*

"ყველა ჩადენილი ღალატისა და დანაშაულისთვის ეს სასამართლო ბრძანებს, რომ ჩარლზ სტიუარტს, როგორც ტირანს, მოღალატეს, მკვლელსა და საზოგადოების მტერს, ამ ნაციის მოქალაქეთა სიკეთისათვის მიესაჯოს სიკვდილი თავის მოკვეთის გზით".

ჩარლზი, რომელმაც განაჩენი კვლავ ხმამაღლა გააპროტესტა, დარბაზიდან ძალით გაიყვანეს და განაჩენის აღსრულებამდე სენტ ჯეიმსის სასახლეში ჩაკეტეს. მოწვეული კომისიის 135 წევრიდან სასიკვდილო განაჩენს ხელი 59-მა მოაწერა. ხელმომწერთა რიგში ბრედშოუ პირველი იყო, შემდეგ მოდიოდა ლორდ გრეი, და მესამე ხელმოწერა კი ოლივერ კრომველს ეკუთვნოდა.

### აღსრულება

სამი დღის შემდეგ ჩარლზი ვესტმინსტერის საბანკეტო დარბაზის ფანჯრიდან პირდაპირ შენობაზე მიშენებულ, შავი ნაჭრით შებურულ ხის ეშაფოტზე ავიდა. ცოტა ხნით ადრე მან ერთ-ერთ მსახურს დამატებითი ტანსაცმელი სთხოვა. "ისეთი ცივი ამინდია, რომ ალბათ გარეთ გავლისას კანკალს დავიწყებ, რაც ზოგიერთმა დამკვირვებელმა შეიძლება შეცდომით შიშს მიაწეროს". იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რომელიც მას ამქვეყნიური ცხოვრებისთვის ჰქონდა დარჩენილი, მეფემ მოკლე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც იმეორებდა საკუთარ მოსაზრებას მონარქიის უფლების თაობაზე. "მე ვალდებული ვარ მოგახსენოთ, რომ ხალხის თავისუფლება შედგება იმგვარი მთავრობის არსებობისაგან, რომლის კანონებიც ხალხის სიცოცხლესა და საკუთრებას იცავს, და არა ისეთი მთავრობისაგან, რომლის მონაწილეც მაინცდამაინც ხალხი უნდა იყოს; ეს მათ არ ეხება. სიუზერენი და ქვეშევრდომი ორ განსხვავებულ რამეს წარმოადგენს".

შემდეგ ჩარლზმა თავი ხის კუნძზე მშვიდად დადო და ჯალათის ნაჯახის ერთმა მოქნევამ ყველაფერს წერტილი დაუსვა.

როგორც მალე გაირკვა, ბრიტანეთი არცთუ ისე მტკიცე რესპუბლიკა აღმოჩნდა. 1658 წელს კრომველის სიკვდილისთანავე ლორდ პროტექტორის ძალაუფლება ხელში მისმა შვილმა, რიჩარდმა აილო, მაგრამ მამის მაგვარი ძლიერი ხასიათის არქონის გამო მისმა მმართველობამ ერთ წელიწადს ძლივს გასტანა. მისმა კონტინენტიდან გაქცევამ სამეფო ტახტზე ჩარლზ II აიყვანა. ჩარლზს თითქმის მთელმა ქვეყანამ მხარი დაუჭირა, რასაც დაუყოვნებლივ მის მიერ საკუთარი მამის ინკვიზიტორების დევნა მოჰყვა. სასიკვდილო განაჩენზე ხელმომწერთაგან 49 კომისიონერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მრავალმა მათგანმა ქვეყნის საზღვრები მეფის მრისხანების შიშით სასწრაფოდ დატოვა, მაგრამ რამდენიმე შეპყრობილ იქნა და ცხრა მათგანს სიკვდილი მიესაჯა. მიუხედავად ამისა, სიკვდილმისჯილებს დიდი სინანული ჩადენილის გამო არ გამოუხატავთ. ერთ-ერთმა მათგანმა, ვინმე ტომას ჰარისონმა, რომელიც ყველაზე მეტ ზიზღს ავლენდა შურისმაძიებელი მეფისწულის მიმართ, ამაყად განაცხადა: "ის, რაც ჩავიდინეთ, ბნელ კუთხეში ნამდვილად არ მომხდარა".

ახალი მონარქის მრისხანებისაგან საფლავსაც კი აღარ შეეძლო ვინმეს დაცვა. 1658 წელს კრომველი პომპეზურად დაკრძალეს ვესტმინსტერის სააბატოს სასაფლაოზე. ახალი მეფის ტახტზე ასვლისთანავე კი მისი ექსჰუმაცია მოხდა და კრომველის გვამი ლონდონის ქუჩებში იქამდე ათრიეს, სანამ ტუბურნის მიდამოებში მიცვალებულის საჯაროდ გამოკიდვა არ გადაწყდა. მოგვიანებით კრომველის ცხედარი საერთო სასაფლაოზე დამარხეს. მომდევნო ოცი წლის განმავლობაში, სანამ იგი ქარბუქმა არ ჩამოაგდო, კრომველის მოკვეთილი თავი ვესტმინსტერის ჰოლის გარეთ, ჭოკზე წამოცმული გამოფინეს.

თუ ისტორია ორჭოფობს ჩარლზ I-ის, როგორც მონარქისა და კაცის ღირსებაზე, ბევრად ნაკლები კამათია მისი სიკვდილით დასჯის შედეგებზე. არასდროს ამ ფაქტის შემდეგ ინგლისის არც ერთ მეფეს ან დედოფალს არ ჰქონია ისეთი შეუზღუდავი ძალაუფლება, როგორსაც მათი წინაპრები ძალიან ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევდნენ. ერთი ხელის მოსმით მონარქთა მირონცხებულობის იდეა ისტორიის საკუთრება გახდა, და თუნდაც მხოლოდ ამ მიზეზის გამო, ჩარლზ I-ის სასამართლო პროცესი შეიძლება ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან სასამართლო პროცესად ჩაითვალოს.

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ნიკა რურუამ*

პრაქტიკული რჩევები

# ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება



სოფო ჩაჩავა

### ზოგადად

თითოეული მოქალაქე ყოველდღიურ ცხოვრებაში დებს სხვადასხვა ხელშეკრულებას და ხდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. აღნიშნული ანიჭებს ხელშეკრულების მხარეებს უფლებებსა და მოვალეობებს, რის საფუძველზეც ისინი უფლებამოსილნი ხდებიან მოითხოვონ ხელშეკრულების შესაბამისი მხარის მიერ გარკვეული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

ნასყიდობა ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა. ამასთან, თუ ხელშეკრულების საგანი მოძრავი ნივთია, მაშინ, ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, იგი შეიძლება დაიდოს ნებისმიერი, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით. ფორმის თავისუფლების პრინციპი ვრცელდება ყველა იმ გარიგებაზე, რომლისთვისაც კანონი ან უშუალოდ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სავალდებულო ფორმას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 186-ე მუხლის თანახმად მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა უნდა მოხდეს ნამდვილი უფლების საფუძველზე ნივთის გადაცემით. ნამდვილი უფლება, როგორც წესი, წარმოიშობა ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე. გადაცემად ჩაითვლება ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა, ისევე როგორც არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემა ისე, რომ წინა მესაკუთრე დარჩეს ნივთის პირდაპირი მფლობელი (პირდაპირი მფლობელობა ნიშნავს ნივთის უშუალო პყრობას). აგრეთვე შესაძლებელია შემძენს მიენიჭოს ნივთის მესამე პირის მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება.

რაც შეეხება უძრავ ნივთებს, მასზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და მესაკუთრის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სსკ-ის 183-ე მუხლი). (ვალდებულებით-სამართლებრივი) ხელშეკრულების სავალდებულო ფორმას ადგენს აგრეთვე სსკ-ის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის 323-ე მუხლი, რომლის თანახმად ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საკუთრების უფლების გადაცემას უძრავ ნივთზე, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, დამოწმდეს სანოტარო წესით და საკუთრების უფლების გადაცემის ნამდვილობისათვის უნდა მოხდეს შემძენის რეგისტრაცია ახალ მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.

### არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

საქართველოში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც ავტომანქანის "შეძენა" ფორმდება გენერალური ან ხშირად სპეციალური მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე.

აღნიშნული პრაქტიკა არასწორია შემდეგი გარემოებების გამო.

ავტომანქანა მოძრავი ნივთია და, შესაბამისად, მასზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებელია **ნამდვილი უფლება** და ამ უკანასკნელის საფუძველზე **ნივთის გადაცემა**. ნამდვილი უფლება გულისხმობს მხარეებს შორის შეთანხმების არსებობას ხელშეკრულების საგანზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.

### ნივთის გადაცემა

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, რომლის დროსაც ავტომანქანის ნასყიდობა ფორმდება მინდობილობით, ძირითადად ხდება შემძენისათვის ავტომანქანის, ისევე როგორც ავტომანქანის საბუთების, პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა. შესაბამისად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის კანონით განსაზღვრული ერთი წინაპირობა, კერძოდ შემძენისათვის ნივთის მფლობელობაში გადაცემა, როგორც წესი, სრულდება.

### ნამდვილი უფლება

ძირითადად პრობლემას წარმოადგენს მეორე წინაპირობა, კერძოდ, ნამდვილი უფლების არსებობა.

### ნასყიდობის ხელშეკრულებისა და რწმუნებულების (მინდობილობის) გამიჯვნა

**ნასყიდობის ხელშეკრულება**: ნასყიდობის ხელშეკრულებით (სსკ-ის 477-ე მუხლი) მხარეები თანხმდებიან, რომ გამყიდველმა შემძენს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, მყიდველი კი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამასთანავე სსკ-ის 487-ე მუხლის თანახმად გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

**რწმუნებულება (მინდობილობა):** გარიგება სსკ-ის 103-ე მუხლის თანახმად შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით, რაც გამომდინარეობს კანონიდან ან წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. რაც შეეხება დავალების (მინდობილობის საფუძველზე) წარმოშობილ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, აღნიშნული გულისხმობს შემდეგს: სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. აღნიშნულის შესაბამისად ხშირად პრაქტიკაში განასხვავებენ სპეციალურ და გენერალურ რწმუნებულება (მინდობილობას), რაც კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული. სპეციალური რწმუნებულება (მინდობილობა) გულისხმობს, რომ წარმოდგენილი პირი წარმომადგენელს ავალებს, შეასრულოს ერთი (მაგ.: მიიღოს მისი ამანათი ფოსტაში) ან რამდენიმე მოქმედება (შეიძინოს ოფისის მოწყობისათვის ყველა საჭირო ინვენტარი). მთავარი კრიტერიუმი სპეციალური რწმუნებულებისა არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გავრცელება ცალკეულ სამოქალაქო ურთიერთობათა სფეროზე, კონკრეტულ მოქმედებაზე ან მოქმედებათა ერთობლიობაზე. რაც შეეხება გენერალურ რწმუნებულებას, აღნიშნული წარმომადგენელს ანიჭებს უფრო ფართო და მრავალმხრივ უფლებებს და ხშირად იგი დროის უფრო დიდ მონაკვეთზე არის ხოლმე გათვლილი. მაგალითად, თუ ერთი პირი მეორეს მიანიჭებს რწმუნებულებას, რომლის თანახმადაც იგი უფლებამოსილი და ვალდებულია მოაგვაროს

გაგრძელება C4 გვერდზე

პრაქტიკული რჩევები

# ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება

C3 გვერდიდან

წარმოდგენილი პირის ყველა სახის ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები, მაშინ საქმე გვაქვს გენერალურ რწმუნებულებასთან. თუმცა, არც გენერალური რწმუნებულება შეიძლება იყოს ყველა სახის ურთიერთობის მომცველი, რადგან ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა მისი სპეციფიკის გამო წარმომადგენლის მეშვეობით ვერ განხორციელდება, მაგ.: ქორწინება.

კანონიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ყველაზე გავრცელებულ მაგალითს წარმოადგენს მშობლის მიერ არასრულწლოვანი შვილის ინტერესების დაცვა (უფლება-მოვალეობათა განხორციელება) მესამე პირებთან ურთიერთობაში. მაგ.: სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული ხელშეკრულება ბათილია, თუ კანონიერი წარმომადგენელი არ მოიწონებს მას (ე.ი. გარიგების დადების შემდგომ არ განაცხადებს აღნიშნულზე თანხმობას).

კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს განსაზღვრავს თვით კანონი. რაც შეეხება წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რომელიც გამომდინარეობს გარიგებიდან, აღნიშნულის წარმოშობისათვის, როგორც ითქვა, სსკ-ის 103-ე მუხლის თანახმად, აუცილებელია დავალების ხელშეკრულების არსებობა (ზეპირი ან წერილობითი ფორმით). აღნიშნული მითითება, რომ გარიგებიდან წარმოშობილი რწმუნებულება აუცილებლად და მხოლოდ დავალების ხელშეკრულებას უნდა ემყარებოდეს, არასწორია, ვინაიდან რწმუნებულებას შეიძლება საფუძვლად ედოს ხელშეკრულების სხვა ფორმა, როგორიცაა: მომსახურების, ნარდობის, შრომის და სხვა ხელშეკრულება. მაგ.: ხელოსანი მოქმედებს მისი სახელოსნოს სახელით, მშენებელი - იმ სამშენებლო ორგანიზაციის სახელით, რომელსაც წარმოადგენს, ისე, რომ აღნიშნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისათვის დამატებით დავალების ხელშეკრულების არსებობა საჭირო არ არის. ის სამართლებრივი საფუძველი (მაგ.: მომსახურების, დავალების და სხვ. ხელშეკრულება), რაც წარმომადგენლობით უფლებამოსილებას აფუძნებს, არის წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის არსებულ შიდა ურთიერთობა და იგი მესამე პირებთან ურთიერთობაში არ წარმოშობს არავითარ სამართლებრივ შედეგს.

სსკ-ის 107-ე მუხლის თანახმად, რწმუნებულების მიცემა უნდა მოხდეს რწმუნებულის ან მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა, ე.ი. ნების გამოვლენა რწმუნებულების მიცემის თაობაზე უნდა გამოხატავდეს ამავე შინაარსს, კერძოდ კი, რომ წარმოდგენილი პირი წარმომადგენელს ანიჭებს უფლებამოსილებას, გარკვეული მოქმედებები განახორციელოს მისი სახელით და მის ხარჯზე. წარმომადგენელი კი უფლებამოსილი და/ან ვალდებულია განახორციელოს გარკვეული, შიდა ურთიერთობით განსაზღვრული მოქმედებები.

გერმანული გამოცდილების თანახმად, აუცილებელია გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის არსებული ე.წ. შიდა ურთიერთობა და, მეორე მხრივ, მესამე პირებთან არსებული ე.წ. გარე ურთიერთობა. სსკ-ის 107-ე I მუხლის თანახმად რწმუნებულების გაცემის შესახებ ნების გამოვლენა გარე ურთიერთობაა და, შესაბამისად, ის მკაცრად უნდა გაიმიჯნოს იმ ხელშეკრულებისაგან, რაც მხარეებმა შიდა ურთიერთობაში დადეს.

რწმუნებულების (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების) გაცემა, როგორც წესი, ზეპირი ფორმით ხორციელდება. მხოლოდ გარკვეულ, კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში იგი საჭიროებს წერილობით და/ან სანოტარო წესით დამოწმებულ ფორმას.

## რწმუნებულება როგორც ნამდვილი უფლება

თუ ავტომანქანის შეძენა გაფორმდება რწმუნებულების სახით, წარმოიშობა შემდეგი პრობლემები:

თუ დავეყრდნობით რწმუნებულების შინაარსს, მაშინ შემძენი არ გამხდარა ავტომანქანის მესაკუთრე. მას წარმოეშვა რწმუნებულების შინაარსის თანახმად წარმოდგენილი პირის სახელითა და მის ხარჯზე გარკვეული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება (ვალდებულება). ასეთ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული გარიგება ჩაითვლება თვალთმაქცურად. თვალთმაქცურია გარიგება, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა. ასეთ დროს გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. შესაბამისად, თუ ზემოთ აღწერილი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ორივე მხარე აღიარებს, რომ მათ მართლაც დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება ავტომანქანაზე, ხოლო რწმუნებულება გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულების დაფარვის მიზნით (მაგ.: ნასყიდობიდან გამომდინარე გადასახადების გადახდიდან თავის არიდების გამო), მაშინ გამოიყენება დაფარული, კერძოდ ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები. შესაბამისად, რწმუნებულება ჩაითვლება სსკ-ის 56-ე II მუხლის თანახმად ბათილად, ხოლო ზეპირად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილად. აღნიშნული წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ივარაუდება, რომ მხარეებს მართლაც სურდათ სხვა (კერძოდ, ნასყიდობის) და არა რწმუნებულების სამართლებრივი შედეგების დადგომა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი რთულდება, თუ შემძენი მიუთითებს გარიგების მოჩვენებით ხასიათზე, ხოლო გამსხვისებელი კი უარყოფს აღნიშნულს. ასეთ შემთხვევაში მხარეთა მიერ სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული, დადგინდება თუ არა გარიგების თვალთმაქცური ხასიათი.

პრობლემას ვაწყდებით, პირველ რიგში, იმ კუთხით, რომ, თუ არ დადგინდა გარიგების თვალთმაქცური ხასიათი რწმუნებულების საფუძველზე, პირი ვერ გაასხვისებს ავტომანქანას.

ამას გარდა, გამსხვისებელს (წარმოდგენილს), რომელიც გასცემს რწმუნებულებას, შეიძლება, სსკ-ის 999-ე მუხლის თანახმად, მოუწიოს პასუხისგება გარკვეულ შედეგებზე (ქონებრივ ზიანზე), რაც შეიძლება დადგეს წარმომადგენლის მიერ ავტომანქანით სარგებლობის შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი დაადასტურებს, რომ მასა და შემძენ (წარმოდგენილ) პირს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რის შედეგადაც წარმოდგენილი პირი (უწინდელი მესაკუთრე) აღარ არის ამ ავტომანქანის მესაკუთრე, პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი.

თუ გამსხვისებელი უარყოფს ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის ფაქტს და შემძენი ვერ მოიძიებს სხვა მტკიცებულებებს (როგორიცაა: შეთანხმებული ფასის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ბანკიდან ამონაწერი, მოწმეთა ჩვენება და ა.შ.), რწმუნებულება დარჩება ნამდვილი, ნასყიდობის ხელშეკრულება კი არ ჩაითვლება დადებულად. ე.ი. გამსხვისებელი კვლავ რჩება მანქანის მესაკუთრედ კანონით განსაზღვრული ყველა შესაბამისი შედეგით.

## ავტომანქანის რეგისტრაცია

ხშირად ავტომანქანის სარეგისტრაციო სამსახურში (ავტოინსპექციაში) რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებენ ავტომანქანაზე საკუთრების უფლების წარმოშობას, რაც არასწორია შემდეგ გარემოებათა გამო:

## ზოგადად

1999 წლის 28 მაისის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას. აღნიშნულს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სატრანსპორტო საშუალების სავალდებულო რეგისტრაცია წესრიგდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 28 თებერვლის N59 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად სატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრე, აღნიშნულის შეძენის, საბაჟო გადაფორმების, მათზე ნომრიანი აგრეგატებისა და სხვა გარემოებების წარმოშობის შემდეგ, როდესაც ხდება სარეგისტრაციო მონაცემების შეცვლა", ვალდებულია სატრანსპორტო საშუალება რეგისტრაციაში გაატაროს 30 დღე-ღამის განმავლობაში.

## რეგისტრაციის მოთხოვნები

ბრძანების II თავში (32-ე და შემდგომი მუხლები) მოცემულია სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები და აღწერილია შესაბამისი პროცედურა.

32-ე მუხლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისას წარმოდგენილი უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების **კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი;** რეგისტრაციისათვის დადგენილი ტარიფების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; სატრანსპორტო საშუალება ან მათი რეკვიზიტების შემცველი დოკუმენტი.

ზემოთ მოყვანილი ნორმის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (კერძოდ: ნასყიდობა, ჩუქება ან სხვა ხელშეკრულება, ან ანდერძი). ეს იმას ნიშნავს, რომ თვით რეგისტრაცია არ წარმოშობს საკუთრების უფლებას მანქანაზე. ნივთზე საკუთრების უფლება შემძენ პირზე გადადის შესაბამისი შინაარსის შემცველი სანივთო-სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნული ბრძანების თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისათვის აუცილებელია წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უწინდელი მესაკუთრის მიერ შემძენზე (ახალ მესაკუთრეზე) საკუთრების უფლების გადასვლის ფაქტს.

35-ე მუხლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების გადაფორმება ხდება შემდეგ შემთხვევაში: **მესაკუთრის შეცვლის** ან სხვა გარემოებების არსებობისას, როდესაც ხორციელდება ისეთი ცვლილება, რაც დაკავშირებული და მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მანქანის რეგისტრაციასთან (მაგ.: მესაკუთრის მიერ სახელისა და გვარის შეცვლა და სხვ.)

აქ კიდევ ერთხელაა ხაზგასმული ის გარემოება, რომ რეგისტრაციას არა აქვს უფლების წარმომშობი მნიშვნელობა, ე.ი. რეგისტრაცია არ წარმოშობს საკუთრების უფლებას, ის უკვე უნდა არსებობდეს რეგისტრაციისათვის საბუთების წარდგენის დროს, ვინაიდან რეგისტრაციის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ მესაკუთრის შეცვლაა.

მოსაზრებას, რომ რეგისტრაცია არ წარმოშობს საკუთრების უფლებას, უფრო ამყარებს ბრძანების 33-ე მუხლის ა) ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც სარეგისტრაციო სამსახური რეგისტრაციაში ატარებს სატრანსპორტო საშუალებას**, რათა მოხდეს მონაცემთა შეტანა სარეგისტრაციო ჟურნალში და კომპიუტერულ სისტემაში**.

ე.ი. სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია, პირველ რიგში, სტატისტიკურ და აღმრიცხავ ფუნქციას ემსახურება.

ავტოსატრანსპოროტო საშუალების რეგისტრაციისათვის დადგენილი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის სავალდებულო წერილობითი ფორმა ზღუდავს შემძენს საკუთრების უფლების განხორციელებაში. კერძოდ, შემძენს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას თან უნდა ჰქონდეს მართვის მოწმობა, სარეგისტრაციო დოკუმენტები, ხოლო არამესაკუთრის მიერ მართვისას - მფლობელობის უფლების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი (აღნიშნული ქვემოთ დეტალურად განიხილება). ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ მძღოლს მის სახელზე არა აქვს სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული, მაშინ მას უნდა ჰქონდეს მფლობელობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ნებისმიერ შემთხვევაში მან უნდა დაარეგისტრიროს ავტოსატრანსპორტო საშუალება მის სახელზე, რისთვისაც მან აუცილებლად უნდა წარადგინოს სარეგისტრაციო დაწესებულებაში წერილობითი სახის დოკუმენტი და/ან ადგილზე მიიყვანოს თვით უწინდელი მესაკუთრე. შესაბამისად, ახალი მესაკუთრე იზღუდება მის საკუთრების უფლებაში, რადგან მას გარკვეული დამატებითი წინაპირობის შესრულება უხდება, რათა შეძლოს მის საკუთრებაში გადმოსული ავტოსატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა და მასზე საკუთრების უფლების განხორციელება. შესაბამისად, გამოდის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით მას მხოლოდ შეზღუდულად გადაეცა საკუთრების უფლება, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

საკუთრების უფლება საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 21-ე მუხლითაა გამყარებული. აღნიშნული მუხლის თანახმად, საკუთრება აღიარებული და უზრუნველყოფილია. თუმცა, მეორე პუნქტი მიუთითებს, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია აღნიშნული უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. შესაბამისად, კონსტიტუცია, ერთი მხრივ, აღიარებს და უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრების უფლების სსკ-ით რეგულირებული უფლება ხელშეუხებელია. მაშასადამე, თუ სსკ-ის 186-ე მუხლი მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებისათვის არ აწესებს სავალდებულო წერილობით ფორმას, საკუთრების უფლება გადადის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, სსკ-ის 172-ე II მუხლის თანახმად, თუ პირი საკუთრების უფლებას ვერ ახორციელებს სხვა პირის მიერ ამ უფლებაში ხელშეშლის (ჩვენს შემთხვევაში ავტომანქანის მესაკუთრე ვერ ახორციელებს საკუთრების უფლებას ნივთზე, რომელიც მან მიიღო ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე, ვინაიდან ვერ მართავს მას წერილობითი დოკუმენტის გარეშე) ან მისი ხელყოფის გამო, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული ხელყოფის აღკვეთა, სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე II მუხლი მიუთითებს, რომ აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის მიმართ არსებობს საზოგადოებრივი საჭიროება. ამას გარდა, საკუთრების უფლების შეზღუდვა და მისი წესი კანონით უნდა იყოს დადგენილი.

ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისათვის საკუთრების უფლების გადაცემის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 28 თებერვლის N59 ბრძანების 32-ე მუხლით განისაზღვრება. აღნიშნული ბრძანება არ წარმოადგენს კანონს, ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, ამ ბრძანებით საკუთრების უფლების შეზღუდვა დაუშვებელია (1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს საკანონმდებლო აქტების ნუსხას: კონსტიტუციური, ორგანული და ჩვეულებრივი კანონი, პარლამენტის რეგლამენტი და პრეზიდენტის დეკრეტი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით კი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული ბრძანება კანონქვემდებარე აქტია).

როგორც უკვე ითქვა, ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის სავალდებულობას აწესებს აგრეთვე 1999 წლის 28 მაისის კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ. კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას. აღნიშნულს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ეს კანონი წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის გაგებით, თუმცა, ის თვით არ აწესებს რეგისტრაციის ისეთ პირობებს, რომელიც საკუთრების უფლების განხორციელებას ზღუდავენ. შესაბამისად, ამ წინააღმდეგობის დადგენა შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის გზით, რომლის დროსაც გადამწყვეტი იქნება მხარეთა არგუმენტაცია, ერთი მხრივ, რამდენად შეიძლება ზოგადად დადგენილი რეგისტრაციის სავალდებულობა, რომელსაც აწესებს 1999 წლის 28 მაისის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონი, მივიჩნიოთ შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 28 თებერვლის N59 ბრძანების 32-ე მუხლით დადგენილი საკუთრების უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძვლად. მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანია, რომ საკუთრების შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, საკუთრების უფლების აღნიშნული შეზღუდვა ემსახურება თუ არა საზოგადოებრივ საჭიროებას, და თანაზომიერების (შესაბამისობის) პრინციპიდან გამომდინარე, არის თუ არა დარღვეული სიკეთე (საკუთრების უფლება) ნაკლებად ღირებული სიკეთე ვიდრე ის, რომლის დაცვაც აღნიშნული ბრძანების მიზანს წარმოადგენს.

## მინდობილობის მნიშვნელობა

მინდობილობის შინაარსსა და დატვირთვას კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს N59 ბრძანების 51-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საგზაო პოლიცია გასცემს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მიერ **დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს** და აწარმოებს ნოტარიუსების მიერ გაცემული სახელშეკრულებო ვალდებულების **(მინდობილობების) რეგისტრაციას**, რაც 52-ე მუხლის თანახმად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი აღრიცხვიდან მოხსნის საფუძვლად.

ნორმა მიუთითებს სწორედ მინდობილობის (რწმუნებულების) მნიშვნელობაზე, კერძოდ, იგი მესაკუთრის მიერ მესამე პირისათვის სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემას გულისხმობს, რაც არ აძლევს უფლებას წარმომადგენელს, განახორციელოს მესაკუთრის უფლებები (მაგ.: რეგისტრაციიდან მოხსნას სატრანსპორტო საშუალება). ასეთ შემთხვევაში უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს, ანუ რწმუნებულების (მინდობილობის) გამცემს.

## ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნები

არამესაკუთრის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევაში პირს სთხოვენ მესაკუთრის მიერ წერილობით გაცემულ და სანოტარო წესით დამოწმებულ რწმუნებულებას.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა მოწესრიგებულია ადინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონის 119-ე მუხლით. ნორმის 1-ლი აბზაცის თანახმად, "**მესაკუთრის არყოფნისას პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევაში მძღოლს თან უნდა ჰქონდეს საგზაო პოლიციის მიერ გაცემული მართვის უფლების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მინდობილობა, ანდა საგზაო პოლიციის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი.**"

როგორც ითქვა, დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც არამესაკუთრის მიერ ავტომანქანის მართვის შემთხვევაში აუცილებლად მიიჩნევა ავტმონაქანის მესაკუთრის მიერ გაცემული და სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება (მინდობილობა). შესაბამისად, მესაკუთრის არყოფნის შემთხვევაში აღნიშნულ პირს თან უნდა ჰქონდეს საგზაო პოლიციაში რეგისტრირებული **მართვის უფლების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი** (მაგ.: თხოვების ხელშეკრულება ან შრომის/მომსახურების ხელშეკრულება დამქირავებლის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის მართვის შემთხვევაში) ან **მინდობილობა**, რომელიც თავისთავად არ საჭიროებს რაიმე სავალდებულო ფორმას (მაგ.: სანოტარო წესით დამოწმებას), ე.ი. იგი შეიძლება გაცემულ იქნეს ზეპირი ფორმითაც. თუმცა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის შენიშვნა მიუთითებს, რომ "**სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მიერ მართვის უფლების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის, მინდობილობის რეგისტრაცია საგზაო პოლიციაში** და სატრანსპორტო **საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა** საგზაო პოლიციის მიერ ხდება უსასყიდლოდ".

აღნიშნული შენიშვნა არაპირდაპირ მიუთითებს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მფლობელობის გადაცემის შემთხვევაში აუცილებელია მფლობელობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან წერილობითი მინდობილობა, რომელიც დარეგისტრირებულ უნდა იქნეს საგზაო პოლიციაში. სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი აგრეთვე გაიცემა საგზაო პოლიციაში. თუმცა, ზემოთ მოყვანილი რეგულირება სისტემური და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

შინაგან საქმეთა მინისტრის N59 ბრძანების 51-ე მუხლის თანახმად, რწმუნებულება სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული. 1999 წლის 28 მაისის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 20-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია თან ჰქონდეს შემდეგი დოკუმენტები: 1) მართვის მოწმობა ან, თუ ჩამორთმეული აქვს იგი, დროებითი ნებართვა; 2) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები; 3) მოცემული სატრანსპორტო საშუალების ფლობის, სარგებლობის ან განკარგვის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი, ერთი მხრივ, მიუთითებს მართვის მოწმობის, მეორე მხრივ კი, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის სავალდებულობაზე. ამასთან მე-3 პუნქტი მიუთითებს, რომ მძღოლს უნდა გააჩნდეს სატრანსპორტო საშუალების ფლობისა და სარგებლობის ან განკარგვის დამადასტურებელი **დოკუმენტი**. აღნიშნული თავისთავად მიუთითებს მის სავალდებულო წერილობით ფორმაზე, ვინაიდან დოკუმენტი მხოლოდ წერილობითი ფორმით შეიძლება არსებობდეს (მაგ.: მინდობილობა).

არის თუ არა სავალდებულო ავტოსატრანსპორტო საშუალების თხოვების (მფლობელობის უფლების სხვა პირზე გადაცემის) შემთხვევაში მინდობილობის (რწმუნებულების) გაფორმება, სადაო. თხოვების ხელშეკრულება, რომელიც მოწესრიგებულია სსკ-ის 615-ე და შემდგომი მუხლებით, არ საჭიროებს რაიმე სავალდებულო ფორმას და არც რწმუნებულებას. შესაბამისად მფლობელობის უფლების გადაცემა ნივთებზე დასაშვებია ზეპირი ხელშეკრულებითაც, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს მფლობელობის გადაცემისათვის სავალდებულო ფორმა. შესაბამისად, საინტერესოა, თუ რა მიზანს ისახავს მიზნად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლი და N59 ბრძანების 51-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, მფლობელობის უფლების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, დამოწმდეს სანოტარო წესით და მოხდეს მისი რეგისტრაცია საგზაო პოლიციაში.

პირველ რიგში, იბადება კითხვა, თუ რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობის გადაცემისათვის დამატებით სანოტარო წესით დამოწმებული და პოლიციაში რეგისტრირებული დოკუმენტის სავალდებულობა? მეორე მხრივ, უნდა დავფიქრდეთ, ხომ არ შეიძლება დასახული მიზნის უფრო მარტივი, "ნაკლებად მკაცრი" საკანონმდებლო მოწესრიგებით მიღწევა? თუ საქმე ეხება უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა, რწმუნებულების სავალდებულობა მხოლოდ იმ შემთხვევებისათვის იყოს დადგენილი, როდესაც საუბარია ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანაზე, რათა საქართველოდან მოპარულ ავტსატრანსპორტო საშუალებათა გაყვანა და არალეგალური ვაჭრობა ავიცილოთ თავიდან.

## დასკვნა

განხილული პრობლემების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია:

ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენის შემთხვევაში არ გააფორმოს აღნიშნული რწმუნებულებით (თუნდაც ეს იყოს გენერალური), ვინაიდან რწმუნებულება ვერ გახდება საკუთრების უფლების მასზე გადასვლის საფუძველი.

- მესაკუთრის მიერ პირისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის ან სხვაგვარად განკარგვის უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მან უნდა გასცეს გენერალური რწმუნებულება, რის შედეგადაც რწმუნებულების მიმღები პირი უფლებამოსილი იქნება მესაკუთრის სახელით განკარგოს აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება (დადოს ნებისმიერი გარიგება), რის შედეგადაც უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა უშუალოდ მესაკუთრეს.

მეორე მხრივ, მიზანშეწონილი იქნებოდა კანონმდებლის მიერ გადაისინჯოს ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ინსტიტუტი და მისი საკანონმდებლო რეგულირება. სასურველი იქნება, ნათლად განისაზღვროს რეგისტრაციის ფუნქცია და მიზანი. მხოლოდ ამის შემდეგაა გამართლებული, დადგინდეს რეგისტრაციის პროცედურა **შესაბამისი ნორმატიული აქტით** (სადაც განისაზღვრება სავალდებულო დოკუმენტები, ვადები და ა.შ.), რომელიც ხელს შეუწყობს რეგისტრაციის მიზნის განხორციელებას და გაუმართლებლად არ ხელყოფს კონსტიტუციით გამყარებულ უფლებას.

აღნიშნულით თავიდან იქნება აცილებული საკონსტიტუციო სასამართლოში დავა იმის თაობაზე, არის თუ არა რეგისტრაციის მოთხოვნებით დაწესებული საკუთრების უფლების შეზუდვა კონსტიტუციური, მით უმეტეს, როდესაც ის არა კანონით, რასაც მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებითაა დადგენილი.

მისასალმებელია პარლამენტის ინიციატივა, რომლის თანახმადაც ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობის უფლების გადაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მინდობილობის სავალდებულოობის გადასინჯვა, რაც მოქმედი კანონმდებლობით უსისტემოდაა მოწესრიგებული. აღნიშნული სავალდებულო ფორმა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის შინაარსიდან და უფრო ზუსტად მუხლის შენიშვნიდან, ისევე როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის N59 ბრძანების 51-ე მუხლით და 1999 წლის 28 მაისის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 20-ე მუხლის 1-ლი პუნქტით ივარაუდება. პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ მინდობილობა უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, დამოწმდეს სანოტარო წესით და დარეგისტრირდეს საგზაო პოლიციაში, არ არსებობს. სასურველი იქნება განისაზღვროს, თუ რა მიზანს ემსახურება მინდობილობათა სავალდებულობა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობის უფლების გადაცემისას და ხომ არ შეიძლება აღნიშნული მიზანი სხვა საშუალებით (სხვაგვარი მოწესრიგებით) იქნეს მიღწეული.